ბიბი ჯოსია

ბიბლიური ფენომენოლოგია

გამომცემლობა „ალაშარა“
ნოხუმი — 1991

ეუძღვნი ბიძაჩემის — აკაკი ჭითანავას
ნათელ ხსოვნას

წინდაწინ

—

წინამდებარე მოკრძალებული წიგნის სახელწოდება — „ბიბლიური ზნეთსწავლულება“ — არამც და არამც პრეტენზიული ხასიათის მატარებელი არ გახლავთ. საქმეში ჩახედულთ კარგად მოეხსენებათ, რომ დასახელებული პრობლემა დიდი მონოგრაფიის საგანს წარმოადგენს. ამჟამად შეეცადეთ ნაშრომის მოკლე ვარიანტი მიგვეწოდებინა მკითხველისათვის (სრული ვარიანტის გამოქვეყნება ცოტა მოგვიანებით გვაქვს განზრახული).

ღვთის შეწევნით ბოლო წლებში ქართველი (და არა მარტო ქართველი) მკითხველისათვის შედარებით ხელმისაწვდომი გახდა ბიბლია. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ჯერჯნობით „წმინდა წერილით“ მოსახლეობის სრული დაკმაყოფილება ხერხდებოდეს. ცხადია, ამის განხორციელებას საკმაო დრო დასჭირდება მას, ვინც ამჯერად ეწაფება ბიბლიას (ცხადია, აქ არაფერს ვამბობთ სპეციალისტებზე და სასულიერო საზოგადოებაზე), უეჭველია თანაბრად იპყრობს რიგი საკითხებისა, ამიტომ ადვილი შესაძლებელია ყურადღება ერთნაირად ყველაფერზე ვერ გაანაწილოს (ან ნაკლებ გაანაწილოს), მათ შორის ზნეთსწავლულებასთან წილნაყარ პრობლემებზეც კი. არადა საღმრთო წერილი ხომ ბრძნული აზრების საუნჯეცაა. ბიბლიური ტექსტების ოქროპირ ავტორთა სიბრძნისმეტყველებით სპეციალურად დაინტერესებულთ ატყვევებს მათი ნაზრევის დინამიკა, ზნეობრივი კანონები, სენტენციები, ფრთიანი აფორისტული მეტყველება, მახვილგონიერება და ა. შ. ჩვენც განვიზრახეთ ბიბლიური თვალუწვდენელი სამყაროს სწორედ იმ მომენტებზე შეგვეჩერებინა ყურადღება, რაც გარკვეულ წარმოდგენას (ხასს ვუსვამ — წარმოდგენას) მისცემდა მკითხველ საზოგადოებას ბიბლიური ზნეთსწავლულების გასაცნობიერებლად. ამიტომ მსჯელობის საგნად ვაქციეთ ზნეობრივი აფორიზმები, სენტენციები, რჩევა-დარიგებანი, რასაც ბიბლია გვაწვდის — სულიერად და მორალურად განწმენდის მიზნით. საგანგებოდ ავმოვიკვეთეთ საკითხთა გარკვეული წრე, რომელსაც ბიბლიური ზნეთსწავლულება ეთვალთვალებს: სიღვთო და მიწიერი მიჯნურობა, სწავლა-ცოდნისა და ... ...

ბის, მოყვასისადმი განუზომელი სიყვარულის პათოსი, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, წუთისოფლის წარმავლობის განცდა და ა. შ. მოკლედ რომ ვთქვათ, საკითხზე მუშაობისას შემოვისაზღვრეთ იმ აფორისტული გამოთქმების ფიქსაციით (რამაც, ბუნებრივია, საილუსტრაციო მასალების სახით წიგნში მოამრავლა ბიბლიური ციტატები) და მათი ანალიზით, რომლებშიც გამოკვეთილია ბიბლიური ზნეთსწავლულების მნიშვნელოვანი ასპექტები. ვფიქრობთ, იგი უთუოდ კეთილ ზეგავლენას მოახდენს მკითხველზე, ჩაახედებს საკუთარ თავში, გამოატანინებს სათანადო დასკვნებს, სიკეთის თესლს გააღივებს მათ სულში. ამასთანავე შეძლებისდაგვარად შევეცადეთ ზოგად ასპექტში გვეჩვენებინა, თუ რა გავლენას ახდენდა ბიბლიური ზნეთსწავლულება ქართული სიტყვიერ კულტურაზე (ძირითადად შეგნებულად შემოვიფარგლეთ ძველი ქართული მწერლობით).

„ბიბლიური ზნეთსწავლულების“ სახელწოდების მატარებელი წიგნაკი პირველად[1] გამოდის, რაც კიდევ უფრო ამძიმებს ჩვენი პასუხისმგებლობის გრძნობის ტვირთს. ცხადია, მას ხარვეზებიც საკმაოდ ექნება, ამიტომაც მკითხველის სამართლიან შენიშვნებს გავითვალისწინებთ წიგნის შემდგომი სრულყოფისათვის.

„ვთქვა მიჯნურობა პირველი“

საღმრთო წერილის თანახმად, ბიბლიური კოსმოგონია ექვს დღეს გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე შემოქმედმა ღმერთმა (დემიურგმა) შექმნა ნათელი, ცა, მიწა, მცენარეულობა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ცისა და წყლის ბინადარნი, ცხოველთა სამყარო და ყოველივე შექმნილის გვირგვინი — ა დ ა მ ი ა ნ ი. ღმერთმა ყველაფერთან ერთად ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ც გააჩინა და უწყალობა მას სწორუპოვარი ძალა. ახალი აღთქმა გვასწავლის, რომ სიყვარულის მშობელი არის ღმერთი: „სიყუარული ღუთისაგან არს“ (I კათ. ეპ. ◦. 4,7). უფრო მეტიც. სიყვარული არა მარტო მომდინარეობს ღმერთიდან, არამედ თავად ღვთაებაც სიყვარულია: „ღმერთი სიყუარული არს“ (I კათ. ეპ. ◦. 4,16). ასე მკვიდრდება ბიბლიური ეთიკური შეხედულებები, რომელიც ქრისტიანული აზროვნების განვითარებაში განუსაზღვრელ როლს თამაშობს.

---

[1] აქვე შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ა. გ. გ ე ლ ო ვ ა ნ მ ი ჩვენს ხანამდვილეში პირველთაგანმა შეადგინა ბიბლიური ფრაზიანი, სტატიანი სიტყვა-თქმათა ლექსიკონი (იხ. ა. გ ე ლ ო ვ ა ნ ი ს მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი ლეო ტაქსილის „სახალისო ბიბლია“, და „სახალისო სახარება“, რომელთაც მან დაურთო „ბიბლიის მცირე ლექსიკონი“ და „სახარების საანდაზო საგანძური“. შდრ. მისივე „ბიბლიის სიფონია“, თბ., გვ. 419-469).

პავლე მოციქულის პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ ერთმანეთთან შედარებულია **სარწმუნოება, სასოება და სიყვარული,** რომელთაგან ეს უკანასკნელი შეუვალი უპირატესობით სარგებლობს: „ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, სამი ესე; ხოლო უფროს ამათსა სიყუარული არს“ (I კორ. 13, 13). რადგან ღმერთია ყველაფრის შემქმნელ-დამბადებელი და თავად იგი სიყვარულად არის გაცნობიერებული („ღმერთი სიყუარული არს“), ეს ქრისტიან ადამიანს მოუწოდებს საღვთო მიჯნურობის განცდისა და შემეცნებისკენ. აქეთკენ ლტოლვა კი მოასწავებს მიწიერი ვნებების, „ხელობანი ქვენანის“ („რომელნი ხორცთა ჰხვდებიან“) იგნორირებას, რასაც ამქვეყნიური ცხოვრების, წუთისოფელთან წილნაყარი ხორციელი სიამოვნების დათრგუნვამდე დაჰყავს ქრისტეს მოძღვრების ერთგული: „სიყვარული სოფლისა ამის მტერობა არს ღმრთისა. აწ უკვე რომელსა უნდეს მეგობარ ყოფად ამის სოფლისა, მტერად ღმერთსა აღუდგების“ (იაკობ, 4,4).

ახალი აღთქმა ღვთაებრივ მიჯნურობასთან ერთად საცოლქმრო სიყვარულის არსშიც გვახედებს. თუმცა აქ, რა თქმა უნდა, პრიმატი საღვთო სიყვარულს ენიჭება, რისი მიზეზებიც თვით „წმინდა წერილშია“ მოცემული. ცხოვრებისეული ჭეშმარიტი მიწიერი სიყვარული ასახვას პოულობს ძველი აღთქმის წიგნებშიც. ამ მხრივ საგანგებოდ გამოყოფენ „ქება ქებათას“. იგი მიჩნეულია ძველი ებრაული სატრფიალო პოეზიის უზადო ძეგლად. გარკვეული შოსაზრებით ამ თხზულებიდან მოვიტან ერთ ვრცელ ამონარიდს, სადაც შეუდარებლად არის წარმოჩენილი და დახასიათებული სიყვარულის უძლეველი ენერგია, სიმტკიცე და დაუშრეტელობა: „რამეთუ მტკიცე არს, ვითარცა სიკუდილი, სიყვარული. ფიცხელ არს, ვითარცა ჯოჯოხეთი, შური გარემოის შისსა კლდე, გარემოის მისსა კლდე ცეცხლისაი, ცეცხლისა ალთა მისთაი. წყალსა მრავალსა ვერ ძალუც დაშრეტა სიყვარულისა, მდინარენი ვერ წარღუნიან მას, უკეთუ მისცეს კაცმან ყოველი ცხოვრებაი თვისი სიყუარულსა“ (ქებ. 8, 6—7). კიდევ ერთ ბიბლიურ კონცეფციას გავეცნოთ, სადაც შთამბეჭდავად არის დასურათხატებული სიყვარულის არსი და ბუნება: „სიყუარული სულ-გრძელ არს და ტკბილ, სიყუარულსა არა ჰშურნ, სიყუარული არა შაღლოინ, არა განლაღნის... ყოველსა თავს-იდებნ, ყოველი ჰრწამნ, ყოველსა ესავნ, ყოველსა მოითმენნ“ (I კორ. 13, 4—7). უსიყვარულოდ ადამიანის არსებობას აზრი არა აქვს, იგი არარაობის ბინადარი ხდება: „სიყუარული თუ არა მაქუნდეს, არავე რა ვარ“ (I კორ. 13, 1). აქ უნებლიედ გვახსენდება „ვისრამიანის“ შეგონებაც: „არ უნლა მიჯნურსა კაცსა ყუედრება, ვინცა მიჯნური არაა, არცა კაცია“. სხვა საგულისხმო საილუსტრაციო მასალებსაც გავეცნოთ: „მეცნიერება განალაღებს, ხოლო სიყვარული აღაშენებს“ (I კორ.

8, 1), „ხოლო ნაყოფი სულისა არს: სიყუარული, სიხარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება. სახიერება, სარწმუნოება, მყუდროება“... (გალ. 5, 22), „შიში არა არს სიყუარულსა თანა, არაძედ სრულმან სიყუარულმან გარე განჰსდევნის შიში; რამეთუ შიშსა ტანჯვაი აქუს. ხოლო მოშიში იგი არა სრულ არს სიყუარულსა ზედა“ (I ეპ. ი. 4, 19). ამასვე იმეორებს შუა საუკუნეების ერთ-ერთი ნოველა: „სიყუარულმან გარე განდევნის შიში“.[2] „სიძულვილმან ალადგინოს ძლევა, და ყოველნი, რომელნი არა მახლობელ იყვნენ, დაფარნეს სიყუარულმან“ (იგ. სოლ. 10, 12).

ბიბლიური საღვთო მიჯნურობის საფუძველს ქმნის ღვთის სიყვარულადვე მოაზრება და აღიარება. ამდენად, ხილული და უხილავი სამყარო თუ არსებანი ღმერთი-სიყვარულიდან გამომდინარეობენ, ანუ ყველაფრის შუქმნას სიყვარული დასდებია საძირკვლად. ამიტომ ადამიანებს მართებთ უდიდესი მოწიწება და მოკრძალება საღვთო მიჯნურობისადმი, რომელსაც შოთა რუსთაველი „პირველ მიჯნურობას“ უწოდებს („ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა“). დ. გურამიშვილმა დაასახელა რა ადამიანის არსებობის განმსაზღვრელი ათი მოწოდება — ხელობა (ბრძენი, ოსტატი, ხუცესი, ვაჭარი, მოლაშქრე, მხვნელი, გლახაკი, ხელმწიფე, მღვდელმთავარი, მიჯნური), ყველაფერზე წინ ღვთის „მიჯნური“ დააყენა.[3] გავიხსენოთ პოეტის სიტყვები: „მიჯნურმან უნდა ტრფიალი (ე. ი. ღმერთი — ტ. მ.) გულმართლად შეიყვაროსა მუდამ გვერდთ ახლდეს სურვილით, აროდეს გაეყაროსა“.

ვინ არის ღირსი ღვთის ტრფიალისა? ღვთაების შეყვარების უფლება აქვს მხოლოდ მას, ვისაც ძალუძს მისი მცნებების დაცვა. ეს მცნებანი კი ის ზნეობრივი კანონებია, რომლითაც ყოველი ქრისტიანი არსება უნდა ხელმძღვანელობდეს, რომელზეც უნდა იზრდებოდნენ ქრისტიანთა თაობანი: „რამეთუ არს სიყუარული ღვთისა, რათა მცნებათა მისთა ვიმარხვიდეთ, და მცნებანი მისნი მძიმე არ არიან“ (I კათ. ეპ. ი. 5, 3). ამ მცნებათა შორის პირველი ადგილი სწორედ ადამიანთა ერთმანეთისადმი სიყვარულს უჭირავს: „რამეთუ ესე არს მცნება ჩემი, რათა იყუარებოდეთ ურთიერთას[4], ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ“ (ი. 15, 12). ამგვარი სიყვარულის მაგალითი კი ძისთვის (ქრისტესთვის) მამას (მამაღმერთს) მიუცია: „ვითარცა შემიყუარა მე მამამან, მეცა შეგიყუარენ თქუენ; დაადგერით სიყუარულსა ჩემსა ზედა“ (ი. 15, 9). ქრისტე ასე შთააგონებს ადამიანებს: „უკეთუ მცნებანი ჩემნი დაიმარხნეთ ჰგიეთ სიყუარულსა ზედა ჩემსა, ვითარცა მე მცნებანი მამისა ჩემისანი დავი-

[2] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, გამოსცა მ. დ ვ ა ლ ი, თბ., 1974, გვ. 9.

[3] დაწვრილებით იხ. ნ. ნ ა თ ა ძ ე. ლიტერატურული წერილები, თბ., 1973, გვ. 220-222.

[4] ხაზგასმა აქაც და ქვემოთაც — ყველგან ჩვენია.

მარხენ და ვჰგიე სიყუარულსა ზედა მისსა“ (ი. 15, 10). ამ ფრაზის თანახმად, სიყვარულისა და მცნების შენახვა-დაცვის პრეცედენტი ქრისტესთვის მამა-ღმერთს მიუცია და როგორც ძე ბაძავს მამას, ისე ადამიანებმაც მაცხოვარს უნდა მიბაძონ, ვინაიდან მესიის მოვლინებით ღვთის სიყვარული გამოცხადდა ადამიანებს შორის, მათივე საცხონებლად: „ამით გამოცხადდა სიყუარული ღუთისა ჩუენ შორის, რამეთუ ძე თვისი მხოლოდ შობილი მოავლინა ღმერთ-მან სოფლად, რათა ვჰსცხონდეთ მის მიერ“ (I კათ. ეპ. ი. 4, 9).

წმინდა მოციქულის ერთ-ერთ ეპისტოლეში უაღრესად საყურადღებო მომენტთან გვიწევს შეხვედრა: „ღმერთი არა სადა ვის უხილავს, უკეთუ ვიყუარებოდეთ ურთიერთას, ღმერთი ჩვენ შორის ჰგიეს, და სიყუარული მისი ჩუენ შორის აღსრულებულ-არს“ (I კათ. ეპ. ი. 4, 12). ე. ი. უხილავ ღმერთთან მიახლოება, მისი დანახვა და შეცნობა შესაძლებელი ყოფილა ადა-მიანთა ერთმანეთის მიმართ სიყვარულის გზით, ციტირებულ სიტყვებს ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელ მორალურ დამოძღვრამდე მივყავართ. იგი ერთ-მანეთის სიყვარულს გვასწავლის, ერთმანეთისადმი პატივისცემასა და მოყვრო-ბას შთაგვაგონებს. შეგონება, რომელსაც ქვემოთ მოვიტანთ, არასოდეს, არც ერთ ეპოქასა და ვითარებაში არ დაკარგავს თავის ჰუმანურ ღირსებას: „სა-ყუარელნო! ვიყუარებოდეთ ურთიერთას, რამეთუ სიყუარული ღუთისაგან არს; და ყოველსა, რომელსა უყუარდენ, ღუთისაგან შობილ-არს; და იცის ღმერთი“ (I კათ. ეპ. ი. 4, 7). ამდენად, როგორც მოციქული გვასწავლის, ღმერთის ცოდნა უწინარესად ერთმანეთისადმი ადამიანთა სიყვარულში გა-მოიხატება. ღმერთის შეცნობა და წვდომა ოდენ მას ძალუძს, ვისაც ადამიან-თა სიყვარული შეუძლია, ვინაიდან „რომელსა არა უყუარდეს, მან არ იცის ღმერთი, რამეთუ ღმერთი სიყუარული არს“ (I კათ. ეპ. ი. 4, 8). ამ შეგონე-ბებში თვითნებური კორექტივის შეტანა ზნეობრივი კანონის დარღვევას მო-ასწავებს, რომლის მოქმედი მაცდურად ცხადდება: „უკეთუ ვინმე ჰსთქუას, ვითარმედ მიყუარს ღმერთი, და ძმაი თვისი ჰსძულდეს, მტყუარ არს; რამე-თუ რომელსა არა უყუარდეს ძმაი თვისი, რომელი იხილა, ღმერთი, რომელი არა უხილავს, ვითარ ძალ-უძს შეყუარებად“ (I კათ. ეპ. ი. 4, 20). ვისაც შესწევს ძალა ღვთაების ტრფიალისა, მას უპირველესად ძმისა და მოყვასი-სადმი სიყვარული უნდა ახსოვდეს: „და ესე მცნებაი მოვიღეთ მისგან, რათა რომელსა უყუარდეს ღმერთი, უყუარდეს ძმაიცა თვისი“ (I კათ. ეპ. ი. 4, 21). ადამიანისადმი უჩვეულო, უზადო სიყვარული და პატივისცემაა ჩაქსოვილი ამ სიტყვებში. კერძოდ, წმინდა მოციქული იმას კი არ ქადაგებს, რომ ღვთისად-მი აბსტრაქტულმა ტრფიალმა შეიპყრას ადამიანი და სხვათა სიყვარულს არ სცნობდეს. ღვთის შეყვარებამდე ადამიანმა კაცთა შორის, ძმათა და მოყვას-თა შორის უნდა გამოსცადოს სიყვარული. „ვიყუარებოდეთ ურთიერთაში“

წარმატება ღვთაების სიყვარულშიც გამარჯვების საწინდარია. „ყოვლისა წინა ურთიერთას სიყუარული განმარტებული გაქუნდინ, რამეთუ სიყუარულმან დაჰფარის სიმრავლე ცოდვათაი“ (I კათ. ეპ. პ. 4, 8). ამაზე უფრო დიდი ჰუმანიზმის მოვალითის დაფიქსირება თვით საერო ლიტერატურის ძეგლებშიც კი გაჭირდებოდა. ადამიანთა სიყვარული ერთმანეთისადმი თავის თავში ინიცავს (საჭიროების შემთხვევაში) კაცთათვის საკუთარი სიცოცხლის მსხვერპლად მიტანასაც: „უფროსი ამისი სიყუარულისა არავის აქუს, რათა სული თვისი დაჰსდუას მეგობართა თვისთა თვის“ (ი. 15, 13). ალბათ, ამ სიბრძნითაა დაღდასმული „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი აფორიზმიც: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“.

ზემოთ თქმულის მოკლედ შეჯამება ასეთ სურათს გვაძლევს: ღმერთს ხილულ თუ უხილავ საგნებთან, არსებებთან ერთად სიყვარულიც გაუჩენია, თვით ღმერთიც სიყვარულად გამოცხადებია ადამიანებს. ღმერთი ადამიანებმა რომ შეიცნონ, შინაგანად იხილონ, მისი ტრფიალი შეძლონ, უწინარეს ყოვლისა, ერთმანეთისადმი სიყვარულში უნდა გამოსცადონ აუცილებლად გული. გრძნობა და გონება. ამ გამოცდის წარმატებით ჩაბარებისას დაიმსახურებენ ოდენ ღვთაების სიყვარულს, დაიახლოვებენ მას და თავიანთ შორისვე ამყოფებენ მუდამ. ბიბლიური შთაგონებით, ვისაც ძმათა, მოყვასთა სიყვარული არ შეუძლია, მას არც ღვთაებრივი მიჯნურობის ძალა შესწევს. მხოლოდ კაცთა სიყვარულის უნარის მქონეს ძალუძს (და ამის მორალური უფლებაც აქვს) ღმერთთან გამიჯნურება, მისი მცნებების, ზნეობრივი კანონების მოვლა-პატრონობაც, რადგანაც იცის, რომ „საღმრთოი სიყუარული თავი არს ყოვლისა კეთილისა“.[5]

და ბოლოს: აღნიშნულ საკითხზე საუბარი სულხან-საბა ორბელიანის სიტყვებით დავამთავროთ: „ვინაითგან ღმერთი არს სიყვარული, რაღა — მე გნებავსთ სიყვარულისა მაძიებელნო? რომელმან მოიგოთ სიყვარული, ღმერთი მოგიგიეს და, რომელმაც ჰპოოთ სიყვარული, ღმერთი გიპოვნიეს. სიყვარული სხვა არღარა რა არს, გარნა ძედ მაღლისად წოდებად. ნეტარ ხართ, რომელმან მოიგოთ ესე!“[6]

---

[5] მამათა სწავლანი, გამოსცა ი ლ. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, ა. შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით, თბ., 1955, გვ. 207.

[6] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. III, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1963, გვ. 92-93.

ზემოთ ვისაუბრეთ ქრისტიანულ სიყვარულზე, ვითარცა ღვთის კანონის (სჯულის) აღსრულებაზე. როგორც თეოლოგია ვასწავლის, ეს კანონი წერია ოთხთოეული კაცის გულში (შინაგანი სჯული — სინდისი) და ღვთის ათ მცნებაში (გარეგანი სჯული). ათი მცნება ორგვარი სიყვარულის შემცველია: 1) სიყვარული ღვთისადმი და 2) სიყვარული ადამიანისადმი. პირველი — ოთხი მცნება შთაგვაგონებს ღვთისადმი სიყვარულს, მორჩილებას, მის განდიდებას, კერპთა თაყვანისცემის უგულებელყოფას, გვიკრძალავს ასევე ღვთის სახელის ცუდად ხსენებას, ანგარებას, ნაყროვანებას, ამპარტავნობას. მეშვიდე დღის (შაბათი) ღვთისთვის შეწირვას. დანარჩენი მცნებანი გვინერგავს სიყვარულს მოყვასისადმი (ანუ ყოველი კაცისადმი), რომელშიც საპატიო ადგილი ცოლქმრულ სიყვარულსაც უჭირავს.

სწორედ უზენაესმა არსებამ დააწესა ცოლქმრობა. გავიხსენოთ: პირველი ცოლქმრული კავშირი აკურთხა ღმერთმა (დაბ. 1, 28), ქრისტეც კანას ქორწილზე ანალოგიურად მოიქცა. დაუვიწყარია ცოლქმრულ ურთიერთობაზე შეთხზული სტრიქონები: „ამისთვის დაუტეოს კაცმან მამაი თვისი და დედაი თვისი და შეეყოს (შეუერთდეს — ტ. შ.) ცოლსა თვისსა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც“ (დაბ. 2. 23-24). „რამეთუ უფროს უყვარს კაცსა ცოლი თვისი, ვიდრე მამა-დედაი თვისი“ (III ეზ. 4, 25). ერთი შეხედვით, თითქოსდა უხერხულიც ჩანს დედ-მამისა და ცოლქმრული სიყვარულის ერთმანეთთან შედარება. ან დაპირისპირებაც კი. კაცი, რომელიც ცოლს ირთავს, ტოვებს მშობლებს, მათ ალერსს თუ მზრუნველობას და იწყებს დამოუკიდებელ ცხოვრებას. სწორედ ამიტომ უნდა „დაუტეის კაცმან მამაი თვისი და დედაი თვისი“. რატომ უნდა უყვარდეს „უფროს კაცსა ცოლი თვისი, ვიდრე მამა-დედაი თვისი“. ეს ასე უნდა გავიგოთ: ცოლის შერთვა, ოჯახის შექმნა შვილის გაჩენის საწინდარია. შვილთა შეძენა უფრო აძლიერებს და ადუღაბებს მეუღლეთა სიყვარულს. მეუღლე იძლევა საშუალებას შვილის გაჩენით ბიოლოგიურ-გვაროვნული არსებობის გაგრძელებისა. მათი როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ მონაცემთა შერწყმისა. რაც დედ-მამის სიყვარულზე ნაკლებად როდი ეღერს. ამდენად, ცოლის სიყვარულში, პატივისცემასა და დაფასებაში ირეკლება არა მარტო ქალისადმი. როგორც პიროვნებისადმი, სიყვარული. არამედ როგორც დედისადმი — შენი შვილის მშობლისადმი.

ქრისტიანული მოძღვრებით, „რომელმან იქორწინოს თვისი იგი ქალწულებაი კეთილად ჰყოფს: ხოლო რომელმან არა იქორწინოს უმჯობესსა ჰყოფს“ (I კორ. 7, 28). ღვთის მიერ დაწესებული კანონიერი (სჯულიერი) ქორწინება (ცოლქმრობა) ნებაყოფლობითია, ძალდაუტანებელი. მოწოდებასავით გაისმის

წმინდა მოციქულის სიტყვები იმის შესახებ, რომ თუ ადამიანი (კაციც, ქალიც) ვერ თოკავს ვნებათა ღელვას, ვერ უმკლავდება მიწიერ სიყვარულს, სჯობია იგი ქორწინებით დააგვირგვინოს: „ხოლო უკეთუ ვერ დაითმენენ, იქორწინნედ, რამეთუ უმჯობეს არს ქორწინება, ვიდრე განხურვება“ (ეფ. 7, 9). მაგრამ როგორ შევათანხმოთ ამ რჩევა-დარიგებას ზემოთ ციტირებული სიტყვები. „ხოლო რომელმან არა იქორწინოს, უმჯობესსა ჰყოფს“. ამის პასუხს თავად მოციქულთა წიგნები იძლევა: დაქორწინებულთ ამქვეყნიური ცხოვრების მოწესრიგებაზე, ოჯახის მოვლა-პატრონობაზე უხდებათ ფიქრი, ზრუნვა და ნაკლები დრო თუ განწყობილება რჩებათ საღვთო მიჯნურობისთვის, ხოლო „უქორწინებელი იგი ჰზრუნავს უფლისასა, ვითარ-ძი სათნო-ეყოს უფალსა“ (I კორ. 7, 31). ამიყომ შთაგვაგონებს მოციქული: „შეთუყოფილ-ხარ ცოლსა, ნუ განუტევებ; თავისუფალ თუ ხარ ცოლისაგან, ნუ ეძიებ ცოლსა“ (I კორ. 7, 27), რამეთუ „ქორწინებული ჰზრუნავს სოფლისასა, ვითარ-ძი სათნოეყოს ცოლსა (I კორ. 7, 33).

ლ. ფოიერბახი წერს: „ვისაც ქალი არ უყვარს, მას არც ადამიანი უყვარს“[7]. მაშასადამე, ამ ბრძნული აზრის მიხედვით, ქალისადმი სიყვარული ოდენ მისი ცოლად შერთვაში როდი გამოიხატება, არამედ, საერთოდ, ადამიანისადმი სიყვარულშიც. მაგრამ ქალიც არის და ქალიც. როგორი ქალი უნდა შეირთოს კაცმა ცოლად? ბიბლია გვმოძღვრავს: კაცი უნდა დაქორწინდეს ბრძენ, ჭკვიან, კეთილ, უშურველ, გამრჯე, გულუხვ, მხნე ქალზე: „რომელმან პოვა ცოლი სახიერი, პოვა მან მადლი და მიიღო ღმრთისაგან მხიარულებაი“ (იგ. სოლ. 17, 21), „დედა-კაცი მხნე ვინ პოვოს, უძვირეს არს ქვისა მრავალ სასყიდლისა“ (იგ. სოლ. 31, 10). დ. გურამიშვილის ენით რომ ვთქვათ: „ამგვარი ცოლი არ გიორგულებს, გაუფრთხილდების შენს ბალში რგულებს“[8]. ბიბლია სასტიკად კრძალავს ცოლად მოყვანას ისეთი ქალისას, რომელიც მეძავია, მრუში, უგუნური, უკეთური, ბოროტი, სახელგატეხილი, შეგინებული, „ქვრივი და განტევებული“, ანგარებიანი. ასეთი ქალი უღმრთოდაა მონათლული ბიბლიური სიბრძნის სამყაროში: „ვითარცა ძელსა მღილი, ეგრეთ წარწყმიდოს ქმარი თვისი დედაკაცმან ბოროტისმოქმედმან“ (იგ. სოლ. 12, 4), „დედაკაცსა მეძავსა და შეგინებულსა ნუ შეირთევდ, დედა-კაცსა განტევებულსა ქმრისაგან თვისისა ნუ მოიყუანებ“ (ლევიტ. 21, 7), „ნუ შეემთხუევი დედაკაცსა მეძავსა, რათა არა ვითარ შთავარდე საბრხესა შინა მისსა“ (ის. ზირ. 9, 3). „რომელმან დაიყენოს მემრუშე, უგუნურ და უღმრთო არს“ (იგ. სოლ. 18, 22), „უმჯობეს არს ცხოვრება ლომთა თანა და ვეშაპთა, ვიდრე ცხოვრება დედა-კაცისა ბოროტისა თანა“ (ზირ. 25, 28). საგულისხმოა, რომ დ. გურამიშ-

[7] ლუდვიგ ფოიერბახი, ქრისტიანობის არსება, თბ., 1956, გვ. 114.
[8] დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955, გვ. 236.

ვილი მთლიანად ბიბლიას ემყარება უმანკო და მანკიერი საცოლის დახასიათებისას. იგი პირდაპირ იმოწმებს „ისო ზირაქის წიგნს“: „ისო ზირაქში ბრძენმან დასწერა... უმჯობეს არსო ლომ-ვეშაპთანა, ვიდრე ბოროტის დედაკაცთანა“[9]. დ. გურამიშვილს ბიბლიურ შეგონებებში სათანადო „კორექტივი“ შეაქვს. პოეტი საცოლე ახალგაზრდებს ურჩევს, შორს დაიჭირონ თავი „ლამაზ პირ-სირინოზიან“ ქალებთან, ნუ მოიწდომებენ მის ცოლად შერთვას, ვინაიდან „ბევრი ჰყავს მას ფტერი, მდევნელი და მჭერი, მახის დამრწყმელი“, „ნუ გსურს ქალთა ქმრობა შავ-თვალ-წარბისა, რომლისაც გული სხვასთან წარბა“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „მხიარული ზაფხულის“ ავტორის „მათრახის“ ქვეშ საერთოდ ყველა ლამაზი ქალი როდია მოქცეული, არამედ ისეთი შავ-თვალწარბა, პირსირინოზიანი რომელიც ვნებათა ღელვასა და გულისთქმასაა აყოლილი, „გამოირჩევა“ მრუშობითა და მეძავობით.

ბიბლია გვასწავლის, რომ ცოლქმარნი სიყვარულის საფუძველზე უნდა ქმნიდნენ ოჯახს, მათი ბუნება, ხასიათი, თვისებები ერთმანეთს უნდა ჰგუობდეს და ეთანხმებოდეს. საღმრთო წერილში არც უნებლიე ცთომაა დაეწყებული. თუ ვინმემ „დაუწინდებელი ქალწული“ შეაცდინა, ნამუსი ახადა, იგი ცოლად უნდა შეირთოს: „უკეთუ ვინმე შეაცთუნოს ქალწული დაუწინდებელი და დაწვეს მის თანა, მიყვანებით მიიყვანოს იგი თავისა თვისისა ცოლად“ (გამოს. 22, 16).

საღმრთო წერილი განსაკუთრებული სიბეჯითით ქადაგებს ცოლ-ქმარს შორის ერთგულებას, ურთიერთპატივისცემას, სიყვარულის გრძნობის უნაკლოდ მოვლა-პატრონობას. „ესრეთ ჯერ-არს ქმართა ცოლთა თვისთა სიყუარული ვითარცა ხორცთა თვისთა, რამეთუ რომელსა უყუარდეს ცოლი თვისი თავი თვისი უყუარს“ (ეფ. 5, 28), „ცოლი თვისთა ხორცთა ზედა არა უფალ-არს, არაქედ ქმარი; ეგრეცა და ქმარიცა თვისთა ხორცთა ზედა არა უფალ-არს, არამედ ქმარი“ (I კორ. 7, 2-4). ცოლ-ქმარს შორის ერთგულების ზღუდის დამრღვევი სიძვაა და ღალატი: „რომელმან განუტეოს ცოლი თვისი თვინიერ სიძვისა, და სხუა შეირთოს, იმრუშებს, და რომელმან განტევებული შეირთოს, იგიცა იმრუშებს“ (მ. 19, 9). ცოლი, რომელიც არ სარგებლობს ქმრის პატივისცემითა და ერთგულებით, არ იმსახურებს ოჯახის უფროსის მოწონებას. საჭიროა ქმარმა იგი დროულად მოიცილოს, დააბრუნოს საკუთარ სახლში: „მო-თუ-ვინმე-იყვანოს ცოლი და შეირთოს იგი და არა სათნო ეყოს, ანუ თუ და-რაიმე-აპყრას მის თანა საქმე ჯერკუალი, დაუწერენ მას წიგნი

---

[9] იქვე, გვ. 232. შდრ. სინური მრავალთავი: „ხოლო აწ არა არს სოფელსა ამას მზეცი, მსგავსი დედაკაცისა ბოროტისა“ (სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 213).

განსატევებელი და მიეცინ ხელთა მისთა და გამოაველინენ იგი სახლით მისით“ (II სჯ. 24, 1).

როგორც დავინახეთ, ბიბლიაში გამოვლენილია სიყვარულის როგორც სასულიერო (საღვთო), ისე საერო ხასიათიც. ე. ი. აქ ღვთაებრივ მიჯნურობასთან („მიჯნურობა პირველი“) ერთად მიწიერი სიყვარულიც („ხელობანი ქვენანი“) გვხვდება. თუმცა ეს უკანასკნელი არ არის გაიგივებული „საზეო საქმისთან“.

ქართული სასულიერო მწერლობა სიყვარულის პრობლემის გაშუქებაში ბიბლიურ ტრადიციებს მისდევს კვალში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აქ კიდევ უფრო „შემშვიდროებულია“, გნებავთ „შევიწროებულია“ მიწიერი სიყვარულის რაობა საღვთო მიჯნურობის ხარჯზე. ეს კი უთუოდ ქრისტიანულ-საეკლესიო დოგმატიკის „წყალობით“ მოხდა. მიუხედავად ამისა, ქართულ ჰაგიოგრაფიაში თავს იჩენს (ავტორთა მსოფლმხედველობის საწინააღმდეგოდ) მიწიერი სიყვარულის ძალა. ამ მხრივ რად ღირს მარტო „ირიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. მასში აღწერილი მეფის — აშოტ კურაპალატისა და „დიდებული სიძეობის“ სამიჯნურო თავგადასავალი ნათლად მოწმობს ფიზიკურ მწარლის მიერ სასულიერო-საეკლესიო ამბების გალმოცემასთან ერთად ადამიანის რეალური, ცხოვრებისეული გრძნობებისთვის, მიწიერი სიყვარულის განცდებისთვის სათანადო ანგარიშის გაწევას. ამ თხზულებაში „ერთგვარი ასოციაციის გვერდით ასეთი ფრაზა მოგვეპოვება: „მე თავსა ჩემსა ზედა ვერ თავისუფალ ვარ, ვინაითგან გარდარეული სიყუარული ქონს ჩემდა მომართ კურაპალატსა“[10]. გიორგი მერჩულიმ, როგორც მიწიერმა არსებამ, თქვენილი ნაწერებში ალბათ წარმოაჩინა ხორციელი მიჯნურობის არსი, ვინაიდან იგი ეარ გაიცა ცხოვრებისეული განცდების ჩვენებას. აშოტ კურაპალატის სახით მწერალმა გაგვაცნო პერსონაჟი, რომელიც „ადამონა გულის-თქუმასა“, „რამითუ ეშმაკი ტროიანებისაი ფრიად აზრზენდა“. ხოლო ზეგოთ მოტანილი საღვთისმეტყველო მასალას „გარდარეული სიყუარულის“ შესახებ ავტორმა აშოტ კურაპალატის სიყვარულის ენით გვაზიარა, რომელიც „ცრემლითა ბრალსა“ ეს სიტყვები. სხვათა შორის, საანალიზო სტრიქონებში ჩაქსოვილი ამქვეყნიური სიყვარულის განცდა გიორგი მერჩულის პავლი მოციქულის ენით მოუტანია მკითხველამდე: „არამედ ჰსცნათ **სიყუარული** იგი **გარდარეული**, **რომელი** მაქუს თქუენდა მიმართ“ (II კორ. 2. 4).

აშოტ კურაპალატის სამიჯნურო თავგადასავალი თხზულებაში მხილებულია მეფის მორალურ დაცემად. ზნეობრივ უკუსვლად. მეფის ცდუნებისაგან სახსნელად ღირმა სასულიერო პირმა „სიძვის დიაცს“ მონასტერში განუმწესა

---

[10] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 297.

ადგილსამყოფელი, რადგან მას სწამდა, რომ „არა ღონითა რაითმე კაცობრივითა მახეთაითა იყო ტრფიალი მისა (სიძვის დიაცი — ტ. მ.) მიმართ ხელმწიფეი, არამედ ეშმაკისა მანქანებითა ესოდენ ძლეულ იყო, რომელ თავმოთნეობაი"[11]. აქ ერთ მომენტს უნდა მიექცეს ყურადღება. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანადაა შენიშნული, გიორგი მერჩულეს მოწოდება არ ყოფილა ხორციელი სიყვარულისთვის პროპაგანდის გაწევა, მაგრამ აქ ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ ჰაგიოგრაფი მწერალი ადამიანის მიწიერ გრძნობებსა და ვნებებს რეალურ ფერებში წარმოსახავს. ეს არის ხორციელი სიყვარულის ძალისხმევის გამოვლინება და არა მისი სიმბოლურ-ალეგორიულ საბოლელში გახვევა. ასე რომ, თვით სასულიერო მწერლებიც ვერ გაურბიან გამოხატვას „ცეცხლსა მას გულისთქუმისასა და აღდუღებას ხორცთაისა". საერთოდ, „სამიჯნურო ცთუნება" ძალზე გავრცელებული მოტივია ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით ასკეტ-მეუდაბნოეთა ცხოვრებაში[12].

კლასიკური (XI-XII სს.) და აღორძინების ხანის (XVI-XVIII სს.) ქართულ მწერლობაში წამყვანი თემატიკა მიჯნურობაა. განსაკუთრებით XVII-XVIII საუკუნეების ჩვენს ეროვნულ ლიტერატურაში თავს იჩენს ორგვარი სიყვარულის მოტივი: გრძნობადი და ზეგრძნობადი, ანუ მიწიერი და ღვთაებრივი მიჯნურობა, რაშიც, ჩვენის აზრით, გარკვეული როლი ითამაშა ახალი აღთქმის სამიჯნურო ტრადიციებმა.

„სიყრმითგან ზენსა ზეიკრიბე სწავლულება"

ბიბლია გვასწავლის, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა ხატად და მსგავსად მისა. ღვთის წყალობით ადამიანი იქცა ქმნილებას ზნეობრივ არსებად. თუმცა მისი ეს სიდიადე უდღეური აღმოჩნდა. ადამიანის ღვთიურ ბუნებას სატანის ზემოქმედებით სიცოცხლე მოუსწრაფა ევამ და ადამის მიერ ჩადენილმა პირველქმნილმა ცოდვამ. პირველსახესთან დაცილებით და სამოთხიდან გაძევებით ადამიანის ცხოვრება ტრაგიზმის გზას დაადგა. ასე მოხდა მისი ზნეობრივი დეგრადაცია ბიბლია მოგვითხრობს ცოდვილი ადამისა და მის შთამომავალთა ავბედით ხვედრსა თუ თავგადასავალს. ზნეობრივად დაცემული ადამიანის შემდგომი ცხოვრების ისტორია უკავშირდება ღვთის შერცხვენას, მის ძიებას, პირველსახესთან დაბრუნებას, ზნეობრივ სრულყოფას, ხორციელ და სულიერ განწმენდას. ზემოთ ვისაუბრეთ საღვთო და მიწიერ მიჯნურობაზე, ადამიანთა ერთმანეთისადმი სიყვარულის მიღწევით, დაუშრეტელი ბიბლიუ-

[11] ძეგლები, I, თბ., გვ. 297.

[12] ამის შესახებ დაწვრილებით იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები, II, თბ., 1945, გვ. 13-22.

რი ჰუმანიზმით („ვიყუარებოდეთ ურთიერთას“) საღვთო მიჯნურობაში გამარ-ჯვებაზე. ადამიანის მიერ მოყვასისადმი (ყოველი კაცისადმი) სიყვარულით გამსჭვალვა მისი ზნეობრივი კათარზისია და მორალური სრულქმნა. ადამიანის ზნეობრივი ნორმების განმსაზღვრელი კი გონებრივი განათლებაა.

ბიბლიაში სწავლა-განათლებისა და სიბრძნის პრიმატის პრობლემას საგანგებო ადგილი ეთმობა. ცოდნა და გონიერება დიდი საუნჯეა, რომელსაც ვერ შეედრება სხვა სიმდიდრე. ადამიანი უნდა ეძებდეს და იძენდეს ისეთ სწორუპოვარ საგანძურს, როგორიცაა ცოდნა. „წიგნი იგავთა“ გვირჩევს: „მეცნიერებაი (ცოდნა — ტ. მ.) ეძიე ხმითა დიდითა და ვითარცა საუნჯესა გამოიკვლევდე მას“ (იგ. 2, 4). ოქროთი და ვერცხლით გამდიდრება ვერაფერი ოქროს სიკეთისა და ბედნიერების მომტანია კაცისათვის. ოქრო-ვერცხლის მოხვეჭა ადამის ძეს ხდის გაუმაძღარს, ხორციელი სიამოვნებით გატაცებულს, მიწიერი, წარმავალი გრძნობებით დამტკბარს, რასაც იგი საბოლოოდ დაჰყავს პირუტყვული ყოფის დონემდე. ერთი სიტყვით, ადამიანს მიაქანებს უფსკრულისკენ. ამ მოსალოდნელი უბედურებისგან თავის დასაღწევად ბიბლია მოგვიწოდებს სწავლა-ცოდნის შეძენისაკენ: „მიიღეთ სწავლაი და ნუ ვეცხლი და მეცნიერებაი (ცოდნა) უფროის ოქროისა რჩეულისა“ (იგ. 8, 10). ან კიდევ: „ნეტარ არს კაცი, რომელმან ჰპოვა სიბრძნე... რამეთუ უმჯობეს არს ესე მოგებად, ვიდრეცა ოქროსა და ვერცხლსა საუნჯესა“ (იგ. 3, 13-14). ადამიანის სიმტკიცეს და ძლიერებას განსაზღვრავს ცოდნა და სიბრძნე, სხვა გზით მოპოვებული ძლიერება წარმავალია და წუთიერი. უფრო კონკრეტულად — მოჩვენებითი, ამიტომ უნდა ვეცადოთ მუდამ, რომ ოდენ ცოდნით ვიყოთ უძლეველნი: „იყავ მტკიცე მეცნიერებასა (ცოდნასა) შინა შენსა და ერთი ოდენ იყოს სიტყვა შენი“ (ზირ. 5, 12). სწავლის მოსიყვარულე მიისწრაფვის სიბრძნის წყაროს დაწაფებისკენ, მას მხოლოდ და მხოლოდ სიბრძნე იზიდავს, ხოლო ვინც მოკლებულია ამ სულისკვეთებას, ის უგნურია, რომელსაც ამის მხილებაც კი სძულს: „რომელსაც უყუარდეს სწავლაი, უყუარს მას ბრძნულებაი; ხოლო რომელსა სძულდეს მხილებაი, უგუნურ არს“ (იგ. 12, 1). ძველი აღთქმის აპოკრიფების წიგნის მიხედვით სიბრძნისა და სწავლა-განათლების შეურაცხყოფელი უბადრუკია, მისი იმედი ოდენ ცუდია და სხვა არაფერი: „რომელმან სიბრძნე და სწავლულებაი შეურაცხყოს, იგი უბადრუკ არს და ცუდ არს სასოებაი მისი და შრომანი ურგებ“[1].[3]

წიგნის კითხვა, წიგნზე მუშაობა, სწავლა-განათლებისთვის ზრუნვა ერთნაირად მოეთხოვება როგორც საერო, ისე სასულიერო ფენას. „პეტრე ქართველის ცხოვრების“ მიხედვით უსწავლელი, გაუნათლებელი მონაზვნის გო-

[13] ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, წ. I, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქ ურ ც ი კ ი ძ ე მ, თბ., 1970, გვ. 195.

ნება ჰგავს უნაყოფო და გვალვისგან გამხმარ ბოსტანს თუ ყვავილნარს: „ვითარცა მტილი მზუარისაი ურწყავი განხმების და უნაყოფო იქმნის, ეგრეთვე გონებაი მონაზონისაი უნაყოფო არს თვინიერ წიგნის კითხვისა და სმენისა სწავლითაი სულიერითა“[14]. სარწმუნოების დამცველი, მლოცველი, სჯულის ერთგული, რომელიც უწიგნურია და უსწავლელი, მხოლოდ წყვდიადში ხელის მოფათურეს ჰგავს, უტოლდება პირუტყვს, ის „ნასწავლთან მხდალია“:

„უწიგნო-უსწავლელისთვის სარწმუნოება მკვდარია,
ის ვერა ხედავს სინათლეს, პირუტყვის თანაბარია...
თუმცა სჯულის სწამს, ლოცულობს, მაინც ნასწავლთაგან
მხდალია“ („სოფლის მოღვაწენი“ ი. ჩიტაძისა).

როდის უნდა შეიძინოს ადამიანმა ცოდნა? ბიბლიური შთაგონებით, ცოდნის შეძენისა და დაგროვებისთვის ზრუნვა ხელსაყრელი და უპრიანია სიყრმიდანვე. მას ორგვარი უპირატესობა აქვს: 1) ყრმობის ასაკში სწავლა-განათლების მიღება უფრო ეფექტურია, ვიდრე ხანდაზმულობისას, ვინაიდან ბავშვის ცინცხალი და ნათელი მეხსიერება ყველაფერს ადვილად ეუფლება, ითვისებს და იმახსოვრებს, 2) ადამიანი სიყრმეში დაგროვილ ცოდნა-სიბრძნეს დროულად ჩააყენებს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სამსახურში, სიბერეში მიღებული ცოდნის მოხმარებას იგი ვერ ასწრებს. ისო ზირაქის წიგნში ვკითხულობთ: „შვილო, სიყრმითგან შენსა შეიკრიბე სწავლულება და ვიდრე მხცოვანებადმდე ჰპოო სიბრძნე, ვითარცა მხვნელი და მთესველი მიეახლე მისა მიმართ და მოელოდე კეთილ თა ნაყოფთა მისთა, რამეთუ მუშაკობასა შინა მისსა მცირედ დაშვრე და მსწრაფულ სჭამო ნაყოფნი მისნი“ (ზირ. 6, 18). გიორგი ხუცესმონაზვნის (XI ს.) თვალსაზრისით, მოზარდის „ბუნებაი იგი ლბილი და ჩჩვილი, რომელი ვითარცა ცვილი საბეჭდავსა, ეგრეთ მიღებს სწავლებასა, ხოლო ჰასაკითა სრულთა და განმწყსებელთაგან სწავლა კი შეუძლებელ არს“ („ცხოვრებ გიორგი მთაწმინდელისა“)[15]. თავის დროზე ნ. ტატიშვილს „იკონომიაში“ დაუძებნია მსგავსივე კონცეფცია: „ყრმა ჩჩვილი, ვითა სანთელი, რაიცა ყრმასა ზედა ჩჩვილობიდგან დაისახების, იქმნების იგი ვიდრე სიბერემდე“[16]. დიმიტრი საკაძის მიხედვითაც „ეს სწავლა მისთვის კარგია, ვინც უფრო ყრმა-ჩაუქია, არ ჩემებრ მოხუცებულ-

[14] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბ., 1967, გვ. 254-255.

[16] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. II, თბ., 1967, გვ. 172.

[16] ნ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, ლიტერატურული ნარკვევები, შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო ს. ხ უ ც ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1965, გვ. 188.

სა წარსვლოდეს სიყრმის შუქია"[17]. არსებული ტრადიციების მიდევნებით დავით გურამიშვილსაც სპეციალურად გაუმახვილებია ყურადღება სიყმაწვილეში დაგროვილი ცოდნის განსაკუთრებულ პრიმატზე:

„ვით ძნელად წყალი ბერეფუჯი დაივრეხების ზნელადა,
ეგრეთვე კაცი მხცოვანი განისწავლების ძნელადა.
ვით ახალ მორჩი ვაზისა ხელს მიყვეს საფურჩნელადა,
ეგრეთ ახალი მოზარდი ყრმა-ოსტატს-გასაწვრთნელადა".[18]

აღსანიშნავია, რომ ანალოგიური შეხედულება დასმულ საკითხზე დასტურდება ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში: „წნელი სანამ ნედლია, მანამ მოგრიხე, გაიზრდება, აღარ მოიგრიხება". აქვე საგულისხმოა იმ ფაქტის გახსენება, რომ XI საუკუნის საქართველოში ბავშვის ასაკი და მისი სწავლა-აღზრდა სამ საფეხურად (პერიოდად) განიყოფებოდა: ყრმობად, როდესაც მთავარი ყურადღება „კეთილად აღზრდაზე" იყო გადატანილი, ჭაბუკობად, როდესაც უმთავრესი მოვალეობა სწავლაა და სრულ ასაკად, როდესაც გვირგვინდება სრული განათლების მიღება[19].

მოზარდის ზნეობრივი აღზრდისა და გონებრივი განათლება-განვითარების საქმეში უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება მასწავლებელს, მისი აღზრდის შეთოდებს, ტაქტს, მოსწავლეებისადმი მიდგომის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას. აქვე საინტერესოა იმ პედაგოგიური ტერმინოლოგიის გახსენება, რომელიც ადრეფეოდალურ საქართველოში დამკვიდრდა ქართული ენის ლექსიკურ ფონდში: „მამამძუძე", „დედამძუძე", „მზრდელი", „გამზრდელი", „მრდელი", „მწურთელი", „მასწავლებელი", „მასწავლელი", „განმსწავლელი", „მოძღვარი"... აღსაზრდელს ეწოდებოდა „მოწაფე", „მოსწავლე", „საწვრთნელი", ხოლო სწავლა-აღზრდის პროცესის გამომხატველი იყო „სწავლა", „წურთვნა", „დამოძღვრება", „ასწავა", „დაასწავა", „ისწავა", „ესწავა", „აცოდნა", „სწავლება", „განსწავლული", „წურთილი" და ა. შ.[20]

ბიბლია შთააგონებს ყრმებს, რომ გულდასმით მიუგდონ ყური თავიანთ აღმზრდელ-მასწავლებლებს, რომლებიც მათ აზიარებს სიკეთეს, ცოდნის მადლსა და სიბრძნის წყაროს: „შვილო, ნუ დაუტოვებ სმენასა წერთილებისასა და ნუცა უგულებელს-ჰყოფ სიტყვასა კეთილსა" (იგ. 19, 27), „ხოლო ეზია-

[17] დ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი მწერლები რუსეთში, თბ., 1958, გვ. 285.
[18] დ ა ვ ი თ გ ურ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, გვ. 34.
[19] ქართული პედაგოგიკის ისტორია, თბ., 1974, გვ. 66.
[20] იქვე, გვ. 28.

რებოდენ უმეცარი იგი სიტყუასა მასწავლებლისასა ყოველსა შინა კეთილსა“ (გალატ. 6, 6). ასევე ბიბლია გვასწავლის, რომ სწავლების, წვრთნისა და აღზრდის ფასი „უსასყიდლო მადლია“. აუწონელი ქონება: „უსასყიდლო მადლი არს წურთილება და რომელნი ვლენან მაგედ, წარეგმართოს“ (იგ. 17, 8). მოსწავლე მასწავლებელს მუდამ ენდა აფსებდეს, თავმდაბლურად ეჭცოდეს და თაყვანსა სცემდეს: „არა არს მოწაფე უფროს მოძღურისა თვისისა, არცა მონა უფროს უფლისა თვისისა“ (მ. 10, 24). სწავლების პროცესში აღსაზრდელმა თუ დიდი გულისხმიერება არ გამოიჩინა, ეფლეთ „ასმენელთა მისთა“ და მთელი არსებით არ განიმსჭვალა ცოდნის დასაუფლებლად. ყოველი ცდა ამაოდ დაშვრების, ამიტომ მოუწოდებს ბიბლია ყმებს ეონს მოსვლისკენ: „მეც ვული შენი სწავლასა და სასმენელნი შენნი განმზადენ სიტყუათა მეცნიერებისთა“ (იგ. 24, 12). სწავლის მოძულეს საკუთარი თავი არ ეყვარს, ხოლო ვინც საკუთარი თავის ყადრი არ იცის, ის არც სხვას დააფასებს — და ასეთი არსება საშიშია თვით საზოგადოებისთვისაც კი. „იგავთა წიგნში“ ვკითხულობთ: „ხოლო რომელი განშორებდეს სწავლასა, სძულს მას თავი თვისი“ (იგ. 15, 32).

(იგ. 15, 32). ის კი ცხოვრების მანძილზე სასანანაულო გაუხდება მცონარსა და ზარმაცს: „არა მესმოდა ხმაი მასწავლელისა ჩემისაი და მოძღვარსა ჩემსა არამიუპყარ ყური ჩემი“ (იგ. 5, 13).

მოსწავლე ცოდნას ეუფლება მასწავლებლის შემწეობით. არჩილის თქმისა არ იყოს, „სიბრძნე (ცოდნა) ის უფრო ნტკაცია, ვის ოსტატი (მასწავლებელი) ჰყავს, ასწავლის“: „მასწავლებლობა დიდი და წმინდა საქმეა, — წერდა ლუთერი, — მასწავლებელი მიტად ღამოსაყენებელი და მარგებელი კაცია სახელმწიფოსათვის“. მასწავლებლის აღზრდის მეთოდში სანიმუშო ადგილი უნდა დაიკავოს მოსწავლის მიმართ სიმშვიდით და სიტყვიერით მიდგომის უნარ-ჩვევების გამომუშავებამ. ეს აუცილებლობა მახლობელი ყოფილა ჯერ კიდევ ადრეფეოდალური ხანის საქართველოში. იოანე ზედაზნელის მოწაფემ ისე წილკნელმა „იწყო სწავლად მათდა (იგულისხმება მოწაფენი) სიმშვიდით და მოთმინებით“. აქ უნებლიედ გვახსენდება ლუთერის სიტყვები: „ეოექეცით ყმაწვილებს ტკბილად და ალერსიანად. ძრიელ სცდებიან ისინი, რომელნიც ფიქრობენ, რომ ყმაწვილს სასტიკად და პირქუშად მოპყრობა უნდაო. ალერსით და ტკბილის სიტყვით უფრო ბევრის შეძენა შეგვიძლიან, ვიდრე პირქუშობით, ეცადეთ, რომ ყმაწვილები მხიარულად იყვნენ; სიმხიარულე გაამხნევებს და მისცემს მათ ღონეს მუშაობისათვის“[21]. მშობელს და მასწავლებელს მუდამ უნდა ახსოვდეთ ლუთერის შემდეგი შეგონება: „ბავშვები

[21] ციტატა მოტანილია წიგნიდან: „სწავლა-განათლება და მისი ისტორია“ მ. ბ ა რ ნ ა ბ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ტფ., 1896, გვ. 13.

კურთხევაა ღვთისა. ისინი ჩვენდა მონიშვებულ არიან არა თუ ჩვენ გასართობად და თამაშად, არამედ იმისთვის, რომ მათთვის და მათი სულისა და ხორცისათვის ვიზრუნოთ. ჩვენ ისინი არ-კი უნდა ვსტანჯოთ, არამედ უნდა აღვზარდოთ სახელმწიფოს და საშობლოს სასარგებლოდ"[22].

საინტერესოა, რომ ვახტანგ მეექვსემ მასწავლებელს მაღალი შეფასება მისცა, კერძოდ, იგი მშობელზე წინ დააყენა:

„მშობლისგან მოძღვრის პატივი არის რამ უკეთესია,
მით უგუნურად მოვიდა, მას სიბრძნე შთაუთესია"[23].

არჩილის მიხედვით, სწავლას მოწყურებულმა თუ მასწავლებელი ვერ იშოვა, აუცილებლად თვითონ ხელში უნდა აიღოს ბიბლია („საღმთო წიგნი") ბევრჯერ უნდა წაიკითხოს იგი, რითაც შეძლებს სიბრძნის წყაროს დაწაფებას, განისწავლება დიდად:

„თუ ოსტატი ვერ იშოოს, ხელთა იგდოს საღმთო წიგნი,
უნდა ბევრჯერ წაიკითხოს, შეუიდეს შიგან შიგნი...
მაშინ სიბრძნის გზა და კვალი უსათუოდ მალ გაიგნი"[24].

ვისაც სწავლა არ უყვარს, ის არც თავის მასწავლებელს შეიყვარებს, რის გამოც მასში უგნურება ისადგურებს: „უგუნურებაი აღგზნებულ არს გულსა შაბუკთა უსწავლელთასა" (იგ. 22. 15). სწორედ ამიტომ „ვერ შეიყუაროს უსწავლელმან მამხილებელი თვისი და ბრძენთა თანა არა ზრახვიდეს" (იგ. 15. 12). შეუძლებელია ამ სიტყვების წაკითხვისას „ვეფხისტყაოსანის" კონცეფციაც არ გაგიახსენდეს: „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურთა გულსა ჰგმირდეს". სწავლებისთვის უჭკუო და უგნური შეგიძულებს მხოლოდ, სხვა ს

შვილის აღზრდის საქმეში უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება მშობელს. მარტო მასწავლებლის მონდომება და რუდუნება ვერაფერს გახდება, თუ ოჯახიდან უზრდელი ყრმა მოუვიდა გასაწვრთნელად. პირველად მშობელმა უნდა გაუღვიძოს შვილსა მისსა სწავლისადმი სიყვარული, კეთილად უნდა ზრდიდეს მას, მრისხანე და პირქეში მოპყრობით საწადელს ვერ მიაღწევს, პირიქით, იგი უფრო სანანებელი გაუხდება. ბიბლიის თანახმად, „არიან თუ შენდა შვილნი, სწავლენ იგინი და, მოუდრეკენ სიყრმითგან ქედნი მათნი“ (ზირ. 7, 16), „განსწავლე ძე შენი და ეცრეთ იყოს სასოი კეთილ და გინებასა ნუ აღაყვანებ სულსა მისსა“ (იგ. 18, 18), „კეთილად ზრდიან მამაი მართალი და ძესა ზედა ბრძენსა იხარებენ გული მისი“ (იგ. 23, 14); „მამანი ნუ განარისხებთ შვილთა თქუენთა, არამედ განზარდენით იგინი სწავლითა და მოძღურებითა უფლისაითა“ (ეფ. 6, 4). შვილის ზნეკეთილად აღზრდა, გაწვრთნა და განსწავლა სულის შვებას მოუტანს მშობლებს, კარგად აღზრდილი შვილი მშობლის სულის სამკაულია: „განსწავლე ძე შენი და განგისუენოს შენ და მიანიჭოს სამკაული სულსა შინა და არა ერჩდეს ნათესავსა უსჯულოსა“ (იგ. 28, 17).

რაც არ უნდა მოინდომონ მოზარდის გასაწვრთნელად, გონებრივი განათლების დასაუფლებლად მშობლებმაც და მასწავლებლებმაც, თუ აღზრდის ობიექტმა საკუთარ თავში არ აღმოაჩინა შრომისადმი სიყვარული, მტკიცე ნებისყოფა, სწავლისადმი მისწრაფება და სულისკვეთება. ყოველგვარი ცდა მარცხით მთავრდება. აუცილებლად მოსწავლეს ბუნებრივი მონაცემებიც უნდა გააჩნდეს. არ ცდებოდა ალაკი წერეთელი, როცა გულისხმიერებით წერდა: „მარტო წვრთნა კი არას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“. შრომისადმი სიყვარულს ბიბლია შთააგონებს ადამიანს, გნებავთ მოზარდს: „სწავლა მრავალ შრომა არს ხორცთა“ (ეკ. 12, 12), „ყოველივე სწავლა მეუუსეულად არა არნ სიხარული, არამედ მწუხარება, ხოლო უკანასკნელ ნაყოფი მშვიდობისა“ (ებრ. 12, 11). იობის წიგნი გვასწავლის: „არ მოიგების გვირგვინი თვინიერ ტანჯვისა“. „ნუ მოიძაგებ შრომისა საქმესა“ (ზირ. 7, 15). ცოდნის შეძენას დიდი წვალება და ყანჯვა სჭირდება: „რომელმან შეიძინე მეცნიერებაი (ცოდნა — ტ. მ.) შეიძინა ლმობა“ (ეკლ. 1, 18), „ქაცი იშუების შრომით“ (იობ. 5, 8). ბიბლიური ტრადიციების საფუძველზე დავით გურამიშვილი ყრმებს მოძღვრავს, რომ სწავლა დიდ შრომასთან არის წილნაყარი, ცოდნის დაუფლება წვითა და დაგვით ხდება. განათლების მიღება, მართალია, მწარე პროცესია, მაგრამ ცოდნის პრიმატი ჭირის, ოფლის ღვრის ლხინით შეცვლაში გამოიხატება:

„[illegible] მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“[26].
„ჭირს ნაოფი, ლხინში შესული, შვებად მიითვლი ვნებასა“[27].

ან კიდევ:

„დედამ რა შვა ძე, პირველთა ჭირთ აღარ მოიხსენებსა,
ძმა სასარგებლოთ [illegible] ილაის მნაგესსა სენებსა.
ბევრნი ახარებს მუნ ნავი, ოდეს მოისთვლის მტვინობსა,
[illegible] მისწვავს [illegible] ლხენასა რა სრულყოფს, განიცვნებსა“[28].

[illegible] ჰოფეი ყრმებს და ცოლნის შეძენის წყურვილს ლვაძებს ბიბლიური შეგონების ნიადაგზე: „დედაკაცი [illegible] რაჟამს ჰშობნ. მწუხარე არნ, რამეთუ მოიწია ჟამი მისი, ხოლო რაჟამს ჰშვის ყრმანი, არღარა [illegible] ეგონ [illegible] ეზარლოთა ზედ, რამეთუ იშვა კაცი სოფელსა შინა“ (იოანე, 15, 21). ამ შეგონებაში ლ. ფერაძისეული ერთ-ერთ წყაროდ ვახტანგ მეექვსის შეგონებაც არ ეგონა გამოვრჩეს ზეიდეულობიდან: „ჭირთ მყოფნი, ლხინსა შინ [illegible], [illegible] [illegible]ნ“: პირველი სნეულია საწყინია, ბოლოდ ლხინ შინ [illegible] სვლისა“[29].

ბიბლიის ლიტერატურულ შეხედულებებში არსებითი ადგილი უჭირავს ადამიანის ისეთ მოთხოვნილებას, რომელსაც გაწკეპლვა ეწოდება. ურჩ, ზარმაც ყრმათა მიმართ წკეპლის ამოღებაა საჭირო და სასარგებლოც. „იგავთა წიგნი ეგვსწავლის: „რომელი ერიდებოდის კეთრთხსა ძესა თვისსა, სძულს იგი, ხოლო რომელსა [illegible] [illegible] [illegible] [illegible]ნ“ (იგ. სოლ. 13, 24). [illegible] ეგზოდუსი. ალეგორიულად საუკეთესოა წინათ მდგარა მშობლის მოვალეობის ლის წესრიგში ურჩი და მცონარე შვილის მიმართ მკაცრი ზომების მიღება, რაც ლიტერატურული სასჯელითაც კი მთავრდება. შვილის სიყვარული იმას [illegible] [illegible] [illegible]

ერთხითა, ხოლო სული მისი იხსნა სიკუდილისაგან". „იკონომიის" მიხედვით, ცელქთა და ზანტთა გაჩკეპლვა მათ სიმშვიდეს მოუტანს და არა უბედურებას: „ღვთივ რომელიმე მათგანნი იქმნებიან ზანტი, გინა ცელქნი, მათ წყალითა და მსუბუქთა განსწავლითა ამშვიდებდეს"[30]. ახლა სულხან-საბა ორბელიანს მოვუსმინოთ: „წვრთნა არს რა კაცი კაცსა ტკბილითა სიტყვითა ასწავლიდეს კეთილსა [illegible] უკეთო სიტყვითა არა შეისმინა ტუქსვითაც ჰხამს". ამ-ეკარი მოწოდებულ [illegible] მიგვიან-შინებს არა ჯოხის გამოყენების აუცილებლობაზე, არამედ ზანტ-ცელქთა წინააღმდეგ ბრძოლის სწავლებაზე და [illegible]. [illegible] [illegible] ნაკარიც [illegible] [illegible] [illegible]. [illegible] „[illegible] [illegible] [illegible] [

ან კიდევ:

„წკეპლის ცემით დაშუშხვა სჯობს საუკუნოდ ცეცხლში ბმათა“[33].

არც ქართული ხალხური სიტყვიერება დარჩენილა ურჩთა და ზარმაცთა ფიზიკური დასჯის მიმართ გულგრილი. პირიქით, ხალხურ საუნჯეში გაწკეპლვა აღზრდისა და ფორმირების საშუალებად არის მიჩნეული: „შეგირდი ქარგ ოსტატად ჯოხს გამოჰყავსო“, „სახრე სამოთხიდან არის გამოსულიო“, „ცხენიც კი არ წავა უმათრახოდო“[34].

ბიბლია იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ურჩ და ზანტ ყრმათა გონს მოსაყვანად წკეპლასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს მიბაძვის ხერხის გამომუშავებასაც. მისაბაძი მაგალითის აღმზრდელობითი ფუნქციის შესახებ ბიბლია ასე მიგვითითებს: „მივედ ჯინჭულის მიმართ მცონარი და ბაძევდი“ (იგ. სოლ. 6, 6), „კეთილი არის ბაძვა კეთილისათვის მარადის“ (გალ. 4, 18). შდრ. ხალხური აფორისტული გამოთქმაც: „ფუტკრისა და ჭინჭველის შრომა კაცსაც შრომას ასწავლისო“. დავით გურამიშვილს მაგალითი და მიმბაძველობა ზნეობრივი აღზრდის საშუალებად ესახება. პოეტის შეგნებით, ყრმათათვის და, საერთოდ, ადამიანისათვის, ნასწავლი, განათლებული და ბრძენი კაცისთვის მიბაძვა სიკეთის მომტანია. იგი ყრმებს შთააგონებს: „კარგ საქმეზედა მიბაძვა არა რა დასაძრახია“[35]. „სწავლა მოსწავლეთას“ ავტორის თანახმად ბრძენმა არ უნდა ჩაიდინოს შეუფერებელი საქციელი, თორემ მისი მიბაძვით ერიც წახდება:

„ბრძენმან არ უნდა იკადროს ურიგო რაც რამ ფერია,
ბრძენის ურიგოდ ქცევითა ბაძით წახდების ერია“[36].

არ შეიძლება აქ არ გაგვახსენდეს ერთი ბიბლიური შეგონებაც: „ბრძენი მსაჯული სწავლის ერსა თვისსა და სუფევა მეცნიერისა (მცოდნისა — ტ. მ.) კეთილ წესებულ იქმნების, ვითარცა მსაჯული ერთა თვისთა, ეგრეცა მსახურნი მისნი“... (ზირ. 10, 1). იოანე მინჩხიც ბრძანებდა: „სად არნ მწყემსი კეთილი, მუნ მხიარული არნ სამწყსოი იგი“.[37]

ვახტანგ მეექვსის შეხედულებით, იმდენად ძლიერია მიმბაძველობის აღმ-

---

[33] იქვე, გვ. 25.
[34] შდრ. ა ნ. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, აღზრდის იდეები ქართულ ხალხურ შემოქმედებაში, გვ. 154.
[35] დ ა ვ ი თ გ ურ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, გვ. 29.
[36] იქვე, გვ. 34.
[37] ბ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, ტფ., 1913, გვ. 26.

ხრდელობითი ფუნქცია. რომ თვითონ ბრძენიც კი „არ იქს კაცთა ბაძსა, მაგრამ კარგსა მიბაძავსა“[38].

მშობელი შვილისთვის ილვწის, ზრუნავს, შთააგონებს სწავლა-განათლების მნიშვნელობას და ღირსებას, ხოლო ყველაფერს ამას დადებითი შედეგი მაშინ მოჰყვება, როცა მათ შორის ურთიერთობა ცალმხრივი არ არის. ყრმიბმა მამის რჩევა-დარიგება და დამოძღვრა გულთან ახლოს უნდა მიიტანონ. დღენიადაგ უნდა ელოლიავებოდნენ და სათუთად უვლიდნენ მას: „ისმინით ყრმათა სწავლაი მამისაი და ერჩდით ცნობად გულისსმის ყოფასა“ (იგ. სოლ. 4. 1). „ისმინე, შვილო, სწავლაი მამისა შენისა, რათა ბრძენ იყო სიბერესა მინსა“ (იგ. სოლ. 19 20). დედ-მამის ურჩს შეურაცხმყოფელს, მათი მცნებების უარმყოფელს, სასტიკად განსჯის ბიბლია. ამ წიგნის მიხედვით ასეთ შვილს თვალთა ღუგები უნდა დაუბნელდეს, სინათლე დაუშრტეს. სამარცხვინო და საყვედრებელი იქნეს მთელი ცხოვრების მანძილზე: „რომელმან ვანგმოს მამა-დედანი, დაუშრტეს ნათელი და ღუგანი თვალთანი დაუბნელდეს“ (იგ. სოლ. 20. 20). ან კიდევ: რომელმან შეურაცხ-ყოს მამა და განაძოს დედა თვისი, სირცხვილეულ და საყვედრელ იქმნეს“ (იგ. სოლ. 19. 26).

ბიბლია განადიდებს გონიერ, ჭკვიან, კეთილ, განსწავლულ შვილს, რომელიც გაახარებს მშობლების გულს. იგი საამაყოა არა მარტო დედ-მამისთვის, არამედ მთელი ერისთვის, ხოლო უმეცარი, უგნური და უსწავლელი სამარცხვინოა, სახილგატეხილი, უსარგებლო და ზიანის მომტანი როგორც ოჯახისთვის ასევე საზოგადოებისთვისაც. გონიერი შვილი მამის გამორჩეული სიყვარულია, ხოლო უგნური წარსაწყმედელს გასასტუმრებელი: „შვილი გონიერი რჩეულ არს მამისა, ხოლო ურჩი წარსაწყმედელსა მიეცეს“. სხვათა შორის, იოანე საბანიძესაც მიუმართავს ამ სიბრძნისთვის: „წერილ არს: „შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცის“[39]. (იგ. სოლ. 13. 1). ვინც შეურაცხყოფს და არ დაიმარხავს დედ-მამის მცნებებს და რჩევა-დარიგებებს, იგი უგნურია, ხოლო რომელიც უსმენს მშობლის მოწოლებებს სწავლის, ცოდნის მისაღებად, მისგან ბრძენი აღამიანი დადგება: „უგონურმან შეურაცხ-ყოს სწავლაი მამისაი, ხოლო რომელი იმარხვიდის მხილებასა, უბრძენს იყოს“ (იგ. სოლ. 15. 5). ბრძენი შვილი მშობლათა სიხარული და სიამაყეა, ურჩი და უგნური კი — მათი შეურაცხმყოფელი: „ძემან ბრძენმან ახარის მამასა, ხოლო შვილმან ურჩმან შეურაცხყოს დედაი თვისი“ (იგ. სოლ. 15. 20). მშობლის სევდა და მწუხარება მოუღებს ბოლოს უსწავლელი შვილის საქციელს გამო. ბრძენი და განათლებული მემკვიდრე კი სიცოცხლეს გაუხანგრძლივებს, „მხია-

---

[38] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, გვ. 104.
[39] .ეგლები, I, გვ. 47.

რულ-ყვნ“ იგი: „ერა იხარებნ მამაი ძესა ზედა უსწავლელისა, ხოლო შვილ-მან ბრძენმან მხიარულ-ყვის დედაი თვისი“ (იგ. სოლ. 17, 21). „იგავთა წიგნი“ უსწავლელ შვილს მამის რისხვად და ტანჯვა-წამებად ნათლავს: „რისხვაი მამისა შვილი უგუნური და სალმობაი მშობელისა თვისისა“ (იგ. სოლ. 17, 25). ან კიდევ: „სირცხვილ მამისა შვილი უგუნური და არაწმიდა არიან ლოცვანი მისნი სასყიდლისაგან უცხოისასა“ (იგ. სოლ. 19, 13).

ერთი ფრიად საგულისხმო შეხედულებაა გატარებული ბიბლიაში, კერძოდ, ესო ზირაქის წიგნში. ადამიანს რომ სახელის გამტეხი, სამარცხვინო და ცუდმინდური შვილი ჰყავდეს, იმას სჯობია თესლაშრეტით დადგეს, ე. ი. უშვილოდ მოკვდეს: „უმჯობეს არს სიკუდილი უშვილოდ, ვიდრე ყოლა შილთა არა წმიდათა“ (ზირ. 16. 4). გრიგოლ ნაზიანზელის გნომოლოგური ლექსიკის ეთერიმ შცარიანეულ თარგმანში ვკითხულობთ: „სჯობს ბრძენი უშვილოი, სოლოლთა შვილთა მსხმელსა“[40]. ამ შეგონებებს იზიარებენ და იმხრობიან არჩილი, ვახტანგ მეექვსე, დავით გურამიშვილი. არჩილი უკეთური, ბოროტი და ბინძური მამკვიდრის ყოლას ამჯობინებდა უშვილოდ სიკვდილს: „უშვილოთა სჯობს სიკვდილი, უკეთურთ შვილთა ყოლასა“[41]. ანალოგიური კონცეფციის გაშინაარსებისას ვახტანგ მეექვსე თითქმის არჩილის სიტყვების გამეორებამდის მიდის: „უნაყოფობა ბევრით სჯობს ბოროტის შვილის ყოლასა“.

დავით გურამიშვილი ზემოთ მითითებული ტრადიციების კვალობაზე წერდა, რომ უწვრთნელი შვილი მშობლის დამტანჯველია. პოეტი უფრო შორს მიდის. მას შვილი არ ჰყავდა და ამიტომ ვერ გაიმეორებდა იმ სიტყვებს, რაზეც გვქონდა ლაპარაკი — უწმინდური, ბოროტი შვილის ყოლას უშვილოდ სჯობია სიკვდილი. სამაგიეროდ, პოეტმა შეძლეგნაირად გააზრა იგი: უწვრთნელი შვილის ყოლას უწვრთნელი ძაღლის ყოლა სჯობიაო: „სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა, უწვრთნელის შვილის ყოლასა“[42]. ამის ახსნა-განმარტებასაც გვაძლევს „ქართველთ უფალთა მეგვარტომობის იგავის“. ავტორი: ბრიყვი, უსწავლელი და უცოდინარი („უცები“) შვილი „დედ-მამას განათავებსა“. გვარსა და ნათესავებს სირცხვილით თავს მოკვეთს („გვარსა ოა ნათესავებსა სირცხვილით სჭრიდეს თავებსა“), აროდეს მისცემს შვებას, ლხინას („სხელთა წარწყმენდას და ხორცთა მიუთხრობს მით შერცხვენასა“). უწვრთნელ ძაღლს კი მეტი სარგებლობა მოაქვს პატრონისათვის, ვიდრე უსწავლელ შვილს. უწვრთნელი ძაღლი „კარში ყეფს და გარეშამოს ჰფარავს“, ნადირს ეალეფრთხობს, ქურდს შეაშინებს და მოპარვის საშუალებას აღარ მის-

---

[40] შდრ. ლ. ფენაბდე, ვახტანგ მეექვსე, თბ., 1966, გვ. 149.
[41] ქართული პოეზია, III, გვ. 549.
[42] დავით გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 30.

ცემს, დაიცავს მისი მსახვრალი ხელისაგან პატრონის ავლა-დიდებას, ბრიყვი კაცი კი ღამით ტკბილად წამოწვება და შესაძლოა კარების დახურვაც დააავიწყდეს:

„უსწავლელი ძაღლი კარში ყეფს და გარეშამოს ჰფარავს,
ნადირს აფრთხობს, ქურდს აშინებს, ძნელად რასმე მას მოპარავს.
ბრიყვი კაცი წამოწვების, ღამით კარსაც არ მისჯარავს"[43].

ზემოთ საკმაოდ ვისაუბრეთ მშობლის როლზე შვილის აღზრდა-განსწავლის საქმეში, დედ-მამის რჩევა-დარიგებებისადმი მემკვიდრის მიყოლისა და მიდევნების აუცილებლობის შესახებ. ასევე სპეციალურად გამახვილდა ყურადღება იმაზე, რომ გონიერი და განათლებული შვილი მშობლისა და ერის სიამაყეა, ხოლო უგნური და უვიცი — სამარცხვინოა და დამტანჯველი. ამასთანავე, ბიბლია საგანგებოდ გახაზავს ერთ მთავარ და არსებით გარემოებას. მამამ შვილის წინაშე შეცდომა არასოდეს აღარ უნდა დაუშვას. არ ჩაიდინოს ისეთი საქციელი, რომელიც მერე მის მემკვიდრეთა სახელს შეურაცხყოფს. მათ ცხოვრებაზე მავნე ზეგავლენას მოახდენს. მორალურად და სულიერად დაამცირებს და ძვლებს შეუმუსრავს. ეს. რა საინტერესოდ ჟღერს ეს თვალსაზრისი ბიბლიაში: „მამათა ჭამეს კაწახი (უმწიფარი, მკვახე ყურძენი) და კბილნი შვილთანი მოლხუეს" (იერ. 31. 29).

„სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა"...

მშობლის ნოტაციისთვის გულდასმით ყურის დაგდება. მასწავლებლის აღზრდის მეთოდისათვის დინჯად და გეგმაზომიერად მიდევნება. შრომისმოყვარეობა. წიგნზე დაუზარელი მუშაობა. ნებისყოფის სიმტკიცე. ცინცხალი შეხსიერება, ნათელი გონება. ანალიტიკისა და აზროვნების სანიმუშო უნარი მოზარდს. ყმაწვილს თუ ჭაბუკს მუდამ კეთილ მეგზურად წარუძღვება წინ სიბრძნის წყაროსკენ. საზოგადოებას რაც უფრო განსწავლული და დაბრძენებული მეტი წევრი ეყოლება, მით უფრო ჯანსაღი და ძლიერი იქნება იგი. ბრძენს ეძახიან იმ ადამიანს, რომელიც საფუძვლიანად განსწავლულია, დიდი ცოდნის მფლობელია, მოაზროვნეა, ღრმა ჭკუის პატრონია, დაკვირვებისა და გაგების საუცხოო უნარის მქონეა. ბიბლია მკითხველს სწორედ განსწავლულობისკენ, დაბრძენებისკენ მოუწოდებს. ცოდნის შეძენას და განბრძნობას თავისი დრო აქვს — სიყრმიდან უნდა იქნეს მისთვის ზრუნვა და თავდადება დაწყებული. ჭაბუკთა სამკაული სიბრძნეა, ისე როგორც ხანდაზმულთა —

[43] დავით გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 30.

ჭაღარამოსილობა: „სამკაული ჭაბუკთა — სიბრძნე თვისი და დიდება მოხუცებულთაი — მხცოვანებანი“ (იგ. სოლ. 20, 29). სიბრძნის ფასი განუსაზღვრელია, ვერც ერთი მატერიალური სიმდიდრე მასთან ახლოს ვერ მოვა — ვერც ოქრო-ვერცხლით, ძვირფასი თვლებითა და ფულით გამდიდრება. ამიტომ ადამიანს, მითუმეტეს ახალგაზრდა კაცს, უნდა იზიდავდეს არა ნივთიერი გამდიდრება, არამედ სულიერი — სიბრძნის წყალობით. იგავთა წიგნი გვასწავლის: „უმჯობეს არს სიბრძნე უფროის ანთრაკთა პატიოსანთა (ძვირფასი ქვა); ყოველივე პატიოსანი ვერ არს ღირს მისა“ (იგ. სოლ. 8, 11). ან კიდევ: „მართუენი სიბრძნისანი უფროის და უმეტეს ოქროისაი ხოლო მართუენი გონიერებისანი ურჩიულეს უფროის ვეცხლისა“ (იგ. სოლ. 11, 16). ამიტომ მოუწოდებს მშობელი თავის შვილს, რომ სიბრძნეს დაეუფლოს, გულმოდგინედ მოეკიდოს „გულისხმის-ყოფასა“ (სიბრძნე, გონიერება): „ერჩდეს სიბრძნესა ყური შენი და მისცე გული შენი გულისხმის-ყოფასა“ (იგ. სოლ. 2, 2). ბიბლიას სასტიკი განაჩენი გამოაქვს იმათ მიმართ, რომლებიც არ ზრუნავენ ცოდნის დაგროვებისთვის, ისინი უნდა იქნენ სწავლულთა და ბრძენთა მონა და მოსამსახურე. უფრო მეტიც: უგნურნი, ზარმაცნი და უვიცნი, რომლებიც სიბრძნეს გაურბიან და არაფრად აგდებენ, „უსჯულოდ“ არიან მონათლულნი: „შვილი სწავლული ბრძენ იყოს, ხოლო უგუნური, ვითარცა მონაი, იმსახუროს. განერა სიცხისაგან შვილი გონიერი, ხოლო ხორშაკეულ იქმნა კალოთა ზედა შვილი უსჯულოი“ (იგ. სოლ. 10. 3). სიბრძნის ნავსაყუდელი კეთილი გულია: „გულსა შინა კეთილსა განისუენოს სიბრძნემან“ (იგ. სოლ. 14, 33). უკეთურთა შორის სიბრძნის ძიება ამაოა, მისი პოვნა ადვილი შესაძლებელია გონიერთა თანა: „ეძიებდე სიბრძნესა უკეთურთა თანა და არა ჰპოვო, ხოლო ცნობაი გონიერთა თანა ადვილ არს“ (იგ. სოლ. 14, 6). „რომელი თანაუვიდოდის ბრძენთა, ბრძენ იყოს, ხოლო რომელი თანაგურიობდეს უგუნურთა — საცნაურ იყოს“ (იგ. სოლ. 13, 20). თუ ადამიანი სიბრძნეს და გონიერებას მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესების სამსახურში აყენებს, პირადი ბედნიერებისთვის ზრუნვის საგნად ხდის, მისი ცოდნა-განათლება ცალმხრივი ხასიათის მატარებელია, უსარგებლო და შეზღუდული. ბრძენმა თავისი განსწავლულობა და ცოდნა პირადი კეთილდღეობის მოწყობასთან ერთად მოყვარესაც, ადამიანებს, თავის ერს, ქვეყანას უნდა მოახმაროს: „შვილო, უკუეთე ბრძენ იყო, თავისა შენისა ბრძენ იყო და მოყუარიცა ხოლო უკუეთუ ბოროტ იყო, თავისა შენისა აღმოიესო ძვირი მარტოდ“ (იგ. სოლ. 9, 12). „ნუ იქმნები შენ ბრძენ თავით თვისით; გეშინოდენ უფლისა და მოიქეც ყოვლისაგან ბოროტისა“ (იგ. სოლ. 3, 7). ღვთის მცნებათა შემწყნარებელი და დამცველი უპირველესად ბრძენკაცია: „ბრძენმან გულითა შეიწყნარნის მცნებანი, ხოლო უთმინოსა ბაგითა ბრკუმით შეუბრკუმეს“ (იგ. სოლ. 10, 8).

სიბრძნე ცხოვრების საფუძველი და წყაროა: „შჯული ბრძნისა წყარო არს ცხოვრებისა, ხოლო უმეცარი საბრალითა მოკუდეს“ (იგ. სოლ. 13, 14). გონიერი და სწავლული კაცის ენიდან მოწვეთავს ყოველთვის სიკეთე, ხოლო უგნურის ბაგიდან ინთხევა შური, სიავე, ბოროტება, ჭირი, მანკიერება, რაც ძვირის მზრახველობაში, ძვირის მეტყველებაში, ძვირის მოქმედებაში გამოიხატება: „ხოლო ენამან ბრძენთამან კეთილი იცის, ხოლო პირმან უგუნურთამან მიუთხრის ძვირი“ (იგ. სოლ. 15, 2), „სიცილით იქმნ უგუნური ძვირსა, ხოლო ბრძენი კაცი ზრახავს გულისხმის-ყოფასა“ (იგ. სოლ. 10, 23): „ყოველი მოსაბრალნი იქმნ სიბრძნითა, ხოლო ულმ-ცართა განახვნის სიბოროტენი თვისნი“ (იგ. სოლ. 13. 16). სიბრძნე ადამიანს აზიარებს სიმართლეს, იგი მადლის მომნიჭებელი და მასწავლებელია. უმეცრებისგან და სიკვდილისგან მხსნელია, მხოლოდ მართალი კაცის პირიდან მოჩქეფს სიბრძნე: „პირსა მართლისასა გამოვალს სიბრძნე, ხოლო ბაგენი კაცთა ბრძენთანი მასწავლენ მადლსა, პირმან ბრძნისამან იწყართის სიბრძნე. ხოლო სიმართლემან იხსნის იგი სიკუდილისაგან“ (სიბ. სოლ. 8. 1). „პირმან მართლისამან იწვართის სიბრძნე და ენა მისი იტყოდის მშჯავრსა“ (ფს. 36. 30). „პირსა მართლისასა გამოვალს სიბრძნე. ხოლო ენაი უწესოი შეიმუსროს“ (იგ. სოლ. 10. 31). სინატრილია და ბედნიერება სიბრძნისა და გონიერების მპოვნელ-მატარებელი ადამიანი: „ნეტარ არს კაცი, რომელმან პოვა სიბრძნი და მოკუდავმან, რომელმან იხილა გონიერებაი“ (იგ. სოლ. 3. 13). ბიბლია შთაგვაგონებს, რომ უგნურთა ცოდნა და ცოფიანთა სიბრძნე დარღვეულ სახლსა ჰგავს: „ვითარცა სახლი დარღვეული, ეგრეთ ცოფისა სიბრძნი ეგ მიცნიერება უგონურთასა“ (ზირ. 12. 12). ბრძენნი დედანი სახლის აღმშენებელნი არიან, ხოლო უგნურნი — დამრღვევნი: „დედათა ბრძენთა აღაშენის სახლნი, ხოლო რომელი უგუნურ იქმნა, დაარღვია ხელითა თვისითა“ (იგ. სოლ. 14. 1). ბრძენს არ შეშვენის „სიბრძნითა თვისითა“ ქადილი, კვეხნა, თავმომწონეობა. არც მდიდარი უნდა იკვეხნიდეს ქონებით, არც ფიზიკურად ძლიერს უნდა მოჰქონდეს თავი სწორუპოვარი ძალით. ის სიკეთე, სიბრძნე, ძალა, რაც გააჩნიათ, თვითონვე განადიდებს და გამოაჩენს მის მფლობელთ. ხოლო კვეხნითა და ქადილით უკიდურესობამდე ეცემა მისი მადლი და ღირსება: „ნუ იქადინ (იკვეხნი) ბრძენი სიბრძნითა თვისითა ნუცა იქადინ ძლიერი ძალითა თვისითა. ნუცა იქადინ მდიდარი სიმდიდრითა თვისითა“... (I მეფ. 2. 9).

ცხოვრებაში არაერთი ფაქტი დასტურდება იმისა, რომ უაღრესად განსწავლული, სიბრძნით მოსილი კაცი პრაქტიკულ საქმიანობაში არ იყენებს თავის ცოდნას და იგი დაფარული ჩანს ხალხისთვის. ასეთი სიბრძნე არც მისი მფლობელისთვისაა სარგებლობის მომტანი და არც საზოგადოებისათვის. სიბრძნის დამალვა, არგამოჩენა უაზრობაა. ჯერ კიდევ ათეულობით საუკუნეების

წინათ გმობდა და ამხელდა ამას ბიბლია: „სიბრძნე დაფარული და საუნჯე გამოუჩენელი — რა სარგებელ არს ორთავეთა შინა? უმჯობეს არს კაცი დამფარველი სიცოფისა თვისისა, ვიდრეღა კაცი მფარველი სიბრძნისა თვისისა“ (ზირ. 20. 30). ახალი აღთქმაც ასეთნაირად გვაფრთხილებს: „ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქვეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დაჰსთხრიან და განიპარიან“ (მათე, 6, 19). საინტერესოა, რომ ეს დაფარული სიბრძნე გიორგი მცირისთვის (ხუცესმონაზონი) ბასილი დიდის ნაზრევის გზით გამხდარა მახლობელი, რომელსაც იგი ასეთი „კომენტარით“ გვაწვდის „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში“: „ვითარცა იტყვის დიდი ბასილი, ვითარმედ: სიბრძნე დაფარული და საუნჯე უჩინოი, ვინ ირგოს მისგან, და კუალად ტალანტისა დამფლველთა და წყაროთა დამყოფელთა და საუნჯისა უჩინო მყოფელთა თანა დაისაჯოს“[44].

ამ პრობლემას შოთა რუსთაველიც შეუწუხებია თავის დროზე. ზემოთ ციტირებულ წყაროთა კვალობაზე „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ:

„არას გარგებს სწავლულება თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა:
არ იხმარებ, რა ხელსა ჰხდი საუნჯესა დაფარულსა?“

აქვე აღვნიშნავთ, რომ, რუსთაველის თანახმად, სიბრძნე და გონება მიჩნეულია სამეჯნურო „ზნეობის“ თვისებათა სანორმო მხარედ“[45].

ბიბლიის მიხედვით, საზოგადოებას რაც უფრო მეტი ბრძენკაცი ჰყავს, მით უფრო მოწესრიგებულია იგი და ცხოვრებაც შინაარსიანია. ხოლო თუ ერს ბრძენი მეფე და წინამძღოლი ჰყავს, გაუტეხელ სიმტკიცედ გვევლინება. მის ძლიერებას ვერავითარი საპირისპირო ძალა ვერ დაარღვევს: „სიმრავლე ბრძენთა ცხოვრება არს სოფლისა, და მეფე ბრძენი სიმტკიცე ერთა“ (სიბ. ხოლ. 6. 17). ეს აფორიზმი გამეორებულია ძველი აღთქმის აპოკრიფების წიგნში შემდეგი სახით: „სიმრავლე ბრძენთაი — ცხოვრებაი სოფლისაი და მეფე გონიერი — დაწყნარება ერისა“[46].

საინტერესოა, რომ ძველი აღთქმის ერთ-ერთ წიგნში მოხუცებულ და უგნურ მეფეზე მაღლაა დაყენებული დაბალი საზოგადოებრივი წრის შვილი („მონაი გლახაკი“), რომელიც ჭკვიანია და ბრძენი: „უმჯობეს არს მონაი გლახაკი და ბრძენი უფროსღა მეფისა მოხუცებულისა და უგუნურისა“... (ეკლ 4, 13). ეს შეგონება არჩილის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი

---

[44] ძეგლები, II, გვ. 105.
[45] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966, გვ. 199.
[46] ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, თბ., 1970, გვ. 209.

ბამხდარა: „სჯობს მონა ბრძენი უგუნურს მეფესა მოხუცებულსა“[47]. სამეცნიერო ლიტერატურაში კი ამის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ: „არჩილმა ერთ-ერთმა პირველთაგანმა წამოჭრა პიროვნების თავისუფლების საკითხი და ამ თვალსაზრისის დაცვაში ისეთი გაბედული ნაბიჯი გადადგა და ისე შორს წავიდა, რომ თვით მეფეს დაუპირისპირა მონა. კიდევ მეტი. ამ უკანასკნელს უპირატესობასაც კი ანიჭებს. თუ ის თავისი პირადული თვისებებით აღემატება მეფეს“[48]. როგორც ბიბლიიდან მოტანილმა საილუსტრაციო ნიმუშმა დაგვანახა, არჩილი ბიბლიას დასესხებია მხოლოდ, გაუთავისებია ეს შეხედულება და თავისივე მსოფლმხედველობისთვის დაუქვემდებარებია. ამდენად, საგულისხმო სწორედ ის არის, რომ პიროვნების თავისუფლების პრობლემა წამოუჭრია და გადაუწყვეტია ჯერ კიდევ ძალზე შორეულ წარსულში ბიბლიას, რომელსაც ემყარებიან არჩილი და სულხან-საბა ორბელიანიც. „სიბრძნე სიცრუისაში“ ანალოგიური აზრია გატარებული: „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა“. რადგან ბიბლიური ერთ-ერთი აფორიზმის თანხლებითა და მეგზურობით არჩილის პოეზიასთან მოგვიწია შეხვედრა, ბარემ აქვე უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ ფაქტს, რომ ცნობილი მეფე-პოეტი ამაღლებულ ჰიმნს უძღვნის საერთოდ სიბრძნეს:

„სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა, არც ისე მოსახმარია,
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ გამხმარია.
საჲ წახვალთ, თან გამოგყვებათ, საგზლათაც მგონ სახმარია,
სხვა დაგრჩება და ის არა, გვერდთ გახლავს, ცათ კამარია“[49].

შეუძლებელია აქ დავით გურამიშვილის ამ სტრიქონების ზეგავლენით შეთხზული ერთ-ერთი ნაწყვეტი არ გავიხსენოთ ლექსიდან „სწავლა მოსწავლეთა“:

„ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების,
აქვს უხილავი საუნჯი. ხელი არ შაეკარების;
არც ცხადით ძალით წაერთმის, არც მალვით მოიპარების“[50]...

არჩილი გვასწავლის, რომ სიბრძნე თავისით არ მოდის ადამიანი მას ეუფლება კარგი მასწავლებლის, შრომისმოყვარეობისა და თანმიმდევრული სწავ-

[47] ქართული პოეზია, ტ. III, გვ. 547.
[48] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 400.
[49] ქართული პოეზია, ტ. III, გვ. 517.
[50] დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, გვ. 31.

ლის გზით: „სიბრძნე ის უფრო მტკიცეა, ვის ოსტატი ჰყავს, ასწავლის“[51] ცნობილია, რომ არჩილმა თავის თხზულებაში — „საქართველოს ზნეობანი“ — მრავალი „ზნეობა“ დაახასიათა „საღვთო და ანუ სამხედრო მშვებლის და მოვაგლახარის“, მაგრამ ყველა ზნეობაზე მაღლა სიბრძნე დააყენა:

„სიბრძნე სჯობს, თორემ უთუოდ ზნეობა ყველა კაია“[52].

სიბრძნე, რომელიც „არის სამუდამო, სიკვდილამდინ ვერ გააგდებ“. ამ მხრივ უაღრესად დიდ ინტერესს აღძრავს დავით გურამიშვილის პოეზიაც. ისევ „სწავლა მოსწავლეთა“ გადავშალოთ:

„ვ[illegible]ძებნე და ვერა ჰვპოვე რა მჯობი ამ სწავლა-მცნებისა:
ბრძენსა აქვს თავის უფლება, სოფელში ყოფნა ნებისა:
ბრძენი სადაც არს, დარჩების, საუნჯე თან ექნებისა“[53]...

„დავითიანში“ ცნება „ბრძენი“ გულისხმობს როგორც განსწავლულ, უაღრესად განათლებულ, გონიერ და ჭკვიან კაცს, ასევე ღმერთს: „სიბრძნე მ[illegible] ბრძნისა (ე. ი. ღვთისა) არ ძალუც ენას გამოთქმა ბაგითა“[54]. პოეტი ღვთაებას ბრძენთა ბრძენსაც უწოდებს: „მან ბრძენთა ბრძენმან (ე. ი. ღმერთმა) ეს რა სცნა, ბრძანა აღება ხელისა“[55]... ახალ აღთქმაში ღმერთი მონათლულია „ზეგარდმო სიბრძნედ“: „ხოლო ზეგარდმოი (ე. ი. ზეციური) სიბრძნე (ე. ი. ღმერთი). პირველად სიწმინდე არს და მერმე მშვიდობა, სახიერება, მორჩილება. სავსე წყალობითა და ნაყოფითა საქმეთა კეთილთათა, განუკითხველ და შეუორგულებელ“ (კათ. ეპ. იაკ. 3, 17).

„ხოლო შრომითა მით ანგელოზ იქმნის“

სწავლა-განათლების მიღება, ცოდნის საფუძვლიანი შეძენა, სიბრძნესთან ზიარება თავისით არ მოდის. ამისთვის სწავლას მოწყურებულს მართებს დიდი შრომისმოყვარეობა. ძლიერი ნებისყოფის გამოვლენა, დღენიადაგ ფიქრი, ზრუნვა და, რაც მთავარია, უზადო ერთგულება არჩეული გზისა თუ საწადლისადმი. საერთოდ, ადამიანი შრომისა და მოქმედების გარეშე გზას ვერ გაიკაფავს ცხოვრებაში, შესაძლოა იგი სასაცილო ან შესაბრალის მდგომარეობაში

[51] ქართული პოეზია, ტ. III, გვ. 519.
[52] იქვე. გვ. 518.
[53] დ ა ვ ი თ გ ურ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, გვ. 32.
[54] იქვე. გვ. 38.
[55] იქვე. გვ. 48.

ალმოჩნდეს. უზრუნველი და უდარდელი კაცი, მითუმეტეს ახალგაზრდა, ცხოვრების კალაპოტიდან ამოვარდნილია, რითაც ხვალინდელი დღის პერსპექტივას კარგავს, საკუთარ არსებაში პესიმიზმს ამარჯვებინებს ნებით, კრიზისულ სულიერ მელანქოლიაში ექცევა და პირუტყვულ ყოფამდე მოიახლოვებს დღეებს. ადამიანი ცხოვრობს და არსებობს შრომითი უნარ-ჩვევების წყალობითა და შემოქმედებითი საქმიანობის საფუძველზე. ამისი მაგალითი ადამის ძეს თვით ღმერთმა უჩვენა. უზენაესმა არსებამ, როგორც შემოქმედმა, გააჩინა სამყარო, ცა და ხმელეთი, მნათობები, მცენარეები, ცხოველები... ბოლოს კი — ადამიანი. თავისი შრომითი საქმიანობის დასასრულს ღმერთმა იმიტომ შექმნა ადამიანი, რომ სწორედ მას უნდა გაეგრძელებინა შემდგომში მისი შემოქმედებითი ტრადიციები. ეს ბევრს ავალებდა ადამიანს. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ კაცის ცხოვრებას აზრი ექნებოდა მხოლოდ და მხოლოდ შრომა-მოღვაწეობის საფუძველზე. სწორედ ამიტომ არის, რომ ბიბლიური ზნეთსწავლულების ქვაკუთხედს შრომისადმი სიყვარული, მისი არსი და ღირსება განსაზღვრავს.

ბიბლია ვერ იტანს ზარმაცსა და მცონარს, ცდილობს დროულად მოახდინოს ზემოქმედება მასზე. რათა ცხოვრების ჩიხში მომწყვდევისაგან იხსნას. იგავთა წიგნი ფუტკრისა და ჭიანჭველის მაგალითზე მიანიშნებს უდებსა და ზანტს, არაგულმოდგინეს, უნაღვლელსა და დაუდევარს, რათა მიბაძოს მათ შრომისმოყვარეობაში. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა და ეფექტი ჰქონდა უგბილთა გონს მოსაყვანად. აქ მშრომელი და გამრჯელი ადამიანი კი არ არის დასახელებული მიბაძვის ობიექტად, არამედ ფუტკარი და ჭიანჭველა. ეს კი ზარმაცში უკეთ გააღვივებდა სირცხვილის გრძნობას, შაახედებდა საკუთარ თავში, დააფიქრებდა მისი არასწორი საქციელის მავნებლობაზე, გამოაფხიზლებდა იმის შეგნებით, რომ ფუტკარსა და ჭიანჭველას ადამიანი როგორ უნდა ჩამორჩეს გარჯაში. ასე მოუწოდებდა მცონარებს ბიბლია კეთილმოქმედებისაკენ, შრომითი საქმიანობისკენ: „იქმენ, ვითარცა ჭინჭველი, მცონარი, და ჰბაძევდ გზათა მისთა და იქმენ უბრძნეს მისა“ (იგ. სოლ. 6. 6). ამ აფორიზმში შრომისმოყვარეობის პრიმატის ჩვენებასთან ერთად ისიც არის ნაგულისხმევი (კერძოდ. გამოთქმაში — „უბრძნეს მისა“), რომ ჭიანჭველა მხრებს შეუყენებს მხოლოდ იმ ტვირთს, რისი ზიდვაც შეუძლია, რომელიც დროულად ამარაგებს საარჩოს. ე. ი. ადამიანმა უნდა იშრომოს მისი ფიზიკური შესაძლებლობებისა და სულიერ მოთხოვნილებათა შესატყვისად. „მივედ ფუტკრისა და ისწავე, ვითარ-იგი მოქმედ არს და და ნაშრომი იგი მისი ვითარ კეთილად ქმნის, რომლისა ნაშრომსა. მეფენი და გლახაკნი სიცოცხლედ მიიღებენ“ (იგ. სოლ. 6. 8). ამ სიბრძნეში ალეგორიულად იმაზეცაა მსჯელობა გაშლილი, რომ შრომას მაშინ აქვს ფასი, თუ მისი ნაყოფი გამოადგება საზო-

გადოების ინტერესებს. ადამიანი პირადი კეთილდღეობისთვის კი არ უნდა ზრუნავდეს მხოლოდ, არამედ მისი გარჯის შემდეგი მოყვასთა სამსახურშიც იქნეს ჩაყენებული. „იოანე ზედაზნელის ცხოვრების“ გმირს ბიბლიაში დაფიქსირებული ფუტკრის შრომისმოყვარეობის კვალობაზე განუზრახავს, ემოქმედა და ეშრომა: „არამედ, განვიზრახე, რაითა ვემსგავსო ფუტკარსა შრომის მოყუარესა და სამოთხეთა შეუნიერთა წიგნთა მიერ მოვიწილნე ყუავილნი, რაითა განუმზადო ჭამადი ტკბილი წადიერთა სადიდებლად ჩუენდა“[56].

იძულებითი შრომითი საქმიანობა ნაკლებად ეფექტურია, არასახარბიელო ნაყოფის გამომღებიც. გარჯას და მოღვაწეობას უნდა ასოლდგმულებდის გულმოდგინება. შინაგანი სულიერი მოთხოვნილება: „იღუწოდით ნუ იძულებით, არამედ ნებსით, ნუცა საძაგელისა შეძინებით, არამედ გულმოდგინედ“ (I. ეპ. პ. 5. 2). „საძაგელისა შეძინებით“ გულისხმობს ქონების უსამართლოდ შეძენას[57]. ე. ი. სხვისი ქონების უსამართლოდ მიტაცებისთვის „გაწოლილი“ შრომა საძრახისია და დასაგმობი. მას საერთო არაფერი გააჩნია კეთილსინდისიერ გარჯილობასთან. რასაც სპეციალურად ხაზს ესვამს ბიბლია. ადამიანი სხვისი ნაოფლარის მითვისებისთვის კი არ იბრძოდეს უნდა, არამედ „ნიტარ იყოს და კეთილი ეყოს მას“, ვინც ალალი შრომის ნაყოფით დატკბება: „ნაშრომი ნაყოფთა შენთა შჭამო შენ, ნიტარ იყო და კეთილი გიყოს შენ“ (ფსალ. 127. 2). იგივე ფსალმუნი გვარწმუნებს, რომ შრომა დიდ ჭირთანაა წილნაყარი, იგი ადვილი საქმე არ არის. მაგრამ მისი ნაყოფი ეფიქსირებს ცრემლით და ოფლისღვრით გამოწვეულ სიმწარეს. შრომით დატანჯული მოიმკის სიხარულს: „რომელნი სთესვიდენ ცრემლით, მათ სიხარულით მოიმკონ“. ასევე რასაც დასთესს მშრომელი, მასვე მოიმკის: „რაცა ეი ჰსთესოს კაცმან, იგეცა მოიმკოს“ (გალ. 6. 7). ალბათ მკითხველს გაახსენდა ბიბლიიდან ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში შემოჭრილი ანდაზა: „რასაც დასთეს, მასვე მოიმკიო“. იობის წიგნში ვკითხულობთ: „არამედ კაცი იშობების შრომით“ (იობ. 5. 7). ვფიქრობთ, ამ აფორისტულ გამოთქმაში იგულისხმება არა ადამიანის თეზიკური დაბადების, არამედ შრომის საფუძველზე მისი ამაღლების, კეთილშობილების, კაცურკაცობით მეორედ შობის მომენტები. მცხეთურ ხელნაწერში ციტირებული აფორიზმის სიტყვა „შრომით“-ის ნაცვლად გვხვდება „სალმობად“... „არამედ კაცი იშვების სალმობად“... (ე. ი. ჭირით, ტანჯვით, ტკივილით) აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს შრომის არსის გათანასწორება ტანჯვასთან, ჭირთან. ე. ი. შრომა, გარჯა იგივე ტანჯვაა, ტკივილია და ჭირი. მაგრამ მისი შედეგი ავიწყებს კაცს ყველაფერს. დავით ვუ-

---

[56] ძეგლები, I, გვ. 192-193.

[57] შდრ. ი. ლ. ა ბ ე ლ ა ძ ე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 380.

რამიშვილის ენით რომ ვთქვათ — „ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასა“, „მაშინ იხარებს მწიდნავი, ოდეს მოისთვლის მტევნებსა“.

„სინურ მრავალთავში“ გატარებულია საინტერესო აზრი იმის შესახებ, რომ ჩვეულებრივ ადამიანს შრომა ანგელოზად აქცევს. უფრო სწორად, შრომის შედეგად კაცი ანგელოზს უტოლდება. ანგელოზი აქ ამაღლებულობისა და ღმერთთან სიახლოვის სიმბოლოდ ყღერს: „რამეთუ დაღათუ კაცი არნ, ხოლო შრომითა მით ანგელოზ იქმნის“[58]. ახლა იგავთა წიგნს დავესესხოთ: „მოქმედება კაცისა განავრცელებს (სახელს გაუთქვამს, განადიდებს — ტ. მ.) მას და ძლიერთა თანა დასვამს“ (იგ. სოლ. 18, 17). უღონო, შრომისუნარიანობას მოკლებული სიღარიბეს ვერ დააღწევს თავს, ხოლო სიმდიდრე მხნეთა და გამრჯელთა განკარგულებაშია: „უღონონი მცირედ მდიდარ იქმნებიან, ხოლო მხნეთა დაიმკვიდრონ სიმდიდრე“ (იგ. სოლ. 11. 16). ან კიდევ: „სიგლახაკეშან კაცი დაამდაბლის, ხოლო ხელთა მხნეთა განამდიდრიან“ (იგ. სოლ. 10, 4). ბიბლია შრომის მოძულეს უღმრთოს ეძახის, რომლის გზაც ცხოვრებაში მუდამ ეკლით იქნება დატვირთული, ხოლო მხნეთა, მოქმედთა. ძლიერთა და მამაცთა გზა უეკლო და სწორი გახლავთ: „გზანი უღმრთოთანი დაფენილ არიან ეკლითა, ხოლო მხნეთანი წყლტუ არიან“ (იგ. სოლ. 15. 19). ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, რისი გაკეთება მას ძალუძს. კერძოდ, „წიგნის მკითხველსა კითხვაი უხმს“, — გვასწავლის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“[59].

ბიბლიური ზნეთსწავლულება სპეციალურად გახაზავს ერთ გარემოებას. კაცი უნდა გამოაჩინოს საქმემან მისმან. ადამიანს განამდიდრებს სიტყვა საქმიანი და არა საქმე სიტყვიანი. ენის მოძრაობით და ლაპარაკით საქმე ვერ გაკეთდება. აქ მხედველობაში მიიღება უმიზნო და ფუჭსიტყვაობა, რასაც საქმესთან საერთო არაფერი გააჩნია: „შვილნო ჩემნო! ნუ ვიყუარებით სიტყვითა ხოლო, ნუცა ენითა, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებითა“ (I ეპ. ი. 3. 18). ამ სიბრძნეს ეხმაურება გიორგი მერჩულე: „საქმით ჰყოფდეს და არა სიტყვით ვაჭრობდეს“[60]. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ასეთი ფრაზაც გვაქვს: „სიმდაბლე სრული საქმით და არა სიტყვით არსა“[61]. ე. ი. კაცის თავმდაბლობა საქმემ უნდა გამოაჩინოს და არა სიტყვამ. პრობლემა, რაზეც ამჯერად ვმსჯელობთ, შუა საუკუნეების ნოველების კრებულში მშვენიერი მხატვრულობით არის ნათლად მოტანილი მკითხველამდე: „სულსა უკუეთუ სიტყუაი აქუნდეს და საქმეი არა აქუნდეს, მსგავს არს იგი ხესა, ხესა, რომელსა ფურცელი ხოლო აქუნ და ნაყოფი არა აქუნ. ვითარცა ხეთა, რომელნი ნაყო-

[58] სინური მრავალთავი, გვ. 113.
[59] ძეგლები, I, გვ. 290.
[60] იქვე, გვ. 289.
[61] იქვე, გვ. 293.

ფითა სავსე არიან, ფურცელიცა შუენიერ არნ, ეგრეცა სულსა სიტყუაი შეეტყუების (შეესატყვისება, შეეფერება), რომელსაც აქენდენ საქმენი კეთილნი"[62]. არაჩვეულებრივი მხატვრული შედარების ფონზე გვარკვევს ავტორი სათქმელის არსში. კერძოდ, მოლაპარაკე, მაგრამ უსაქმური კაცი ჰგავს ხეს, რომელსაც ფოთოლი ასხია, ხოლო ნაყოფი — არა ნაყოფით დახუნძლულ ხის ტოტებს ფოთლებიც უხდება, ვითარცა მშრომელი და საქმიანი კაცის „სულსა სიტყუაი შეეტყუების". ამავე წიგნში ასეთი შეგონებაც მოგვეპოვება: „მსგავს არს ხესა კაცი, ხორციელი შრომით ფურცელ არს, ხოლო კრძალულებაი ნაყოფი მისი"[63]. ბიბლიის თანახმად, „ჰურჭელსა მეკეცისასა გამოსცდის სახშილი და გამომცდელ კაცისა გულის სიტყვასა შინა მისსა, მუშაკი ხისა გამოაჩენს ნაყოფსა მისსა, ეგრეთვე სიტყვა გულისა სიტყვასა გულსა შინა კაცისასა" (ზირ. 18, 5).

რადგან ზემოთ საჭიროებისამებრ მოგვიხდა სათანადო ბრძნული აზრების ფიქსაცია შუა საუკუნეების ნოველების კრებულიდან, ბარემ აქვე შევეხოთ საკითხთან დაკავშირებით ზოგიერთ აფორიზმს, რომელიც აღნიშნულ წიგნშია გაბნეული ადამიანის სულის ცხონება პირველ რიგში შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ შრომით, მოქმედებით, ბრძოლით: „ბრძოლათა მიერ ცხონდების სული"[64]. ყოველგვარი საქმის დასაბამი თუ საფუძველი შრომაა: „ყოველსა საქმესა დასაბამსა აქუს შრომაი"[65]. ადამიანმა არ უნდა დაზოგოს თავი ფიზიკური შრომისათვის, გარჯით მოქანცოს სხეული, ხორცს შრომით „მუსრი გაავლოს": „მრავალთა შემუსრნეს ხორცნი მათნი მოღუაწებასა შინა"[66]. „ილარიონ ქართველის ცხოვრებაშიც" ვკითხულობთ: „რავდენნი ღუაწლნი და შრომანი თავს ისხნა ხორცთა თვისთა უწყალოდ განკაფითა"[67]. აღსანიშნავია ერთი საინტერესო მომენტი. ჩვენი სახელოვანი წინაპრები სიცოცხლეშივე თავგანწირული შრომითა და ღვაწლით ცდილობდნენ თავიანთი დაშრეტილი გვამი ჩაეტანათ საფლავში და ამით მიწისთვის სახრავი თითქმის არაფერი დაეტოვებინათ: „დაიფარა მიწასა შინა გუამი წმინდაი, მოღუაწებისა შრომითა განლეული" („გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება"). ამავე სიტყვებს მოგვაგონებს და ავსებს კიდეც ასეთი პასაჟი: „დაუტევა (დავით გარეჯელმა — ტ. მ.) მრავალმოღუაწე გუამი მისი მრავალთა შრომათა მიერ განკაფული, მიცემად მიწაი მიწასა" („დავით გარეჯელის ცხოვრების" მეტაფრასული რედაქცია).

---

[62] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, გვ. 35.
[63] იქვე, 20.
[64] შუა საუკუნეების ნოველების ძველი თარგმანები, I, გვ. 90.
[65] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, გვ. 113.
[66] შუა საუკუნეების ნოველების ქართული თარგმანები, I, გვ. 110.
[67] ძეგლები, II, გვ, 14.

თავდადებული, თავგანწირული შრომის ასეთ მაგალითებს უტოვებდნენ ერის რჩეული ადამიანები შთამომავლობას, რომელთა ნაღვაწის გაცნობას დიდი აღმზრდელობითი ფუნქცია აკისრია. ყველაზე დიდ, განსაკუთრებულ შრომად ფასდება ლოცვა: „არარაი არს სხუაი უფროისი შრომაი, ვითარცა ლოცვაი ღმრთისა მიმართ“[68].

ბიბლია სასტიკი მტერია ზარმაცთა და ზანტთა, რომელთა მიმართ მშობელიც და მასწავლებელიც არ უნდა მოერიდოს წკეპლის გამოყენებას. უკვე გვქონდა საშუალება, ამაზე რომ გვესაუბრა. აქაც ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ. იგავთა წიგნი გვასწავლის: თუ კაცი სიზარმაცეს მიეჩვია, მისთვის სირცხვილი, ყვედრება და სახელი თანაბარ სიბრტყეზე ექცევა. მას აღარ რცხვენია მკათათვეში იფქლის (ხორბლის) სესხებისა. ამას სჩადის ის, ვისაც გაზაფხულზე ხვნა და თესვა ეზარება, არ ზრუნავს ხვალინდელ დღეზე: „მცონარი კაცი არა შვრებინ ხნულსა და გაზაფხულ ითხოვნ იფქლსა და არვინ მისცის“ (იგ. სოლ. 29, 4), „ყუედრებასა მცონარი არა ერცხვის, ეგრეთა იფქლისა მკასა შინა მსესხებელი“ (იგ. სოლ. 11. 4). უქნარობა იბადება გულისთქმისადმი შიშიერებაში, გულისთქმის ტყვეობაში მყოფთა დღეები უზრუნველად და უქმად გადის, რითაც არც საკუთარი თავისთვის მოაქვთ რაიმე სიკეთე თუ ხეირი და არც საზოგადოებისთვის. მას უნდა დაუპირისპირდეს მხნეობა, შრომისადმი სიყვარული, რომელიც კეთილმოქმედებისთვის და მოღვაწეობისთვის იქნება გამიზნული: „გულისთქმათა შინა არს ყოველი უქმი, ხოლო ხელნი მხნეთანი მოღუაწებასა შინა“ (იგ. სოლ. 2. 13. 4). გარეშე ენებათა ღელვას შინაგანმა მხნეობამ, მოღვაწეობისკენ მოწოდებამ უნდა სძლიოს. ამასთანავე. კაცი არ უნდა შეეშინდოს იმ ტვირთს. რისი აწევაც არ ძალუძს, უნდა შრომობდეს მისი ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების შესატყვისად: „რავდენ ძალგიც შერებოდე, რაითა შინაგანმან საქმემან შენმან სძლიოს ენებათა მათ გარეშეთა“[69]. ეს სიბრძნე ისო ზირაქის წიგნიდანაა აღებული: „ტვირთსა უფროს თავისა შენისასა ნუ შესძრავ და უძლიერესსა და უმდიდრესსა შენსა ნუ დაეზიარები“ (ზირ. 12, 2). დაუზარებელი და გამრჯელი კაცი იმკის მხოლოდ სიკეთის ნაყოფს უხვად: „უკეთუ უცონო (დაუზარებელი) იყო, მოვიდეს, ვითარცა წყაროი, ნაყოფი შენი, ხოლო ნაკლულევანებაი, ვითარცა ბოროტი კაცი, გევლტოდის“ (იგ. სოლ. 6, 11). „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ მიხედვით, ოდენ შრომა ანიჭებს ადამიანს სიხარულს, უსასრულო, გამოუთქმელ სიამოვნებას: „რამეთუ შრომათა მათთა წილ მიუღებიეს სიხარული და მხიარულებაი უოხჴნოი (უსასრულო), მოუკლებელი (შეუნელებელი) და გამოუთქმელი ცათა შინა“[70]. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ კაცი

[68] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, III, გვ. 21.
[69] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, გვ. 11.
[70] ძეგლები I, გვ. 249.

რა შრომით საქმიანობას ჰკიდებს ხელს, რას ირჩევს სამუშაოდ. შეუფერებელი, უმსგავსო, ულირსი სამუშაო ობიექტის არჩევისას შრომის ნაყოფი ტანჯვით იქნება მომკილი: „რომელნი — იგი უჯეროსა (ულირსი, შეუფერებელი) ხენიდეს, ხოლო რომელნი სთესვენ მას, სალმობით (ტანჯვით) მოიმკონ“ (იობ. 4, 8). საზარელია, როდესაც ერთი შრომობს და მის ნაყოფს კი სხვა ითვისებს. მშრომელი კაცი თვითონ უნდა ტკბებოდეს თავისი გარჯის შედეგით. „ვისრამიანში“ გულისტკივილითაა ნათქვამი: „რუ სთხარეთ ჭირი თქუენ ნახეთ, მაგრა წყალს სხუანი ვინმე სმენო“ (გვ. 147). „ქილილა და დამანა“ დაბეჯითებით გვასწავლის, რომ კაცი შრომითი საქმიანობის თუ მოღვაწეობის პერიოდში უნდა იჩენდეს აუჩქარებლობას, წინდახედულობას, გულმოდგინეობას. აჩქარებით შესაძლოა გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვას, ზიანი მიაყენოს საქმეს: „საქმის ქნაში არ აჩქარდეს, სულგრძელობით და მოცდით ქნას, თუ არა სიჩქარით მრავალი ზიანი მოეხდება და მოცდითა და სიწყნარით სარგებელი მრავალი იპოვება“[71]. ან კიდევ: „ერთი საქმე რაცა გქონდეს, სისწრაფითა ნუ იქ ჩქარად“[72]. ამ შეგონებებს ზუსტადვე იმეორებს არჩილიც: „სიჩქარით ნურას გასინჯავთ, აქ გული დაიწყნარეთა“[73].

შრომის, მოქმედების, მოღვაწეობის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის ცხოვრების მოწესრიგების, სულიერი ამაღლებულობისა თუ მორალური სიწმინდის საქმეში ბიბლიური ზნეთსწავლულება შთამბეჭდავ ზეგავლენას ახდენს ქართულ სიტყვიერ კულტურაზე. მხედველობაში მიიღება ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლები. სურვილი გვაქვს რამდენიმე საილუსტრაციო მაგალითზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. სანიმუშო ციტატები განსაკუთრებული ღირებულებისა იქნება ახალი თაობისთვის სულში ჩასახედად, გონს მოსაყვანად, სწავლა-შრომისთვის ინტერესის გასაღვიძებლად: „ვიქმნეთ შუშაკ მალე-მოქმედ“ („შატბერდის კრებული“), „წადიერ იყავ და იღუწოდ, რაითა იყოს შენ თანა შრომაი „ხორციელებრი და ესრეთ იყოს შენ თანა საქმე იგი სულიერებრი“, „სადაცა არს ბრძოლაი, მუნცა პატივი და სადაცა ღვაწლი — მუნცა გვირგვინი“, „იყავ მარადის მაშრომებელ ხორცთა შენთა“ („მამათა სწავლანი“). „ნუ მწუხარე ხარ შრომისათვის და ნუცა გიხარის განსუენებისათვის, რამეთუ შეგიცვალებიეს არსი არა — არსად“ (ბასილი დიდი). „მორჩილებაი ჯერ-არს შრომისა და ჭირისაი მოთმინებაი ყოვლითა ძალითა ჩუენითა“ (მარტვირი მონაზონი). „არას კაცს, თუ არ ცდითა, თავისი საწადლის მზე ალმოსავლით არ ამოსვლია“, „მუშაკობდე და შვრებოდა, რათა

[71] ქილილა და დამანა, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ვ. თოდუა. თბ., 1975, გვ. 231.

[72] იქვე.

[73] ქართული პოეზია III, გვ. 492.

მცონარება არ გეუფლოსო“, „რასაცა დასთეს მიწისა პირსა, იგი ამოვა, გაიდგამს პირსა“ („ქილილა და დამანა“).

შოთა რუსთაველის პოეტურ სამყაროში ღრმად ჩახედულთ კარგად მოეზსენებათ, რომ იგი სიცოცხლის წყაროდ მოქმედებას, მოძრაობას სახავდა უმოქმედობას კი მიიჩნევდა სიძაბუნის, სიჩლუნგის სათავედ. დიდმა შემოქ. შედმა თავისი დროისათვის მტკიცედ უწყოდა, რომ „შემქმნელი და მომქმედი ამა ცხოვრებისა“ არის შრომა, „საქმენი საგმირონი“, გამორჩევით ქმნა. ჭირთგარდაუხდელად გამარჯვებაზე ფიქრი ამაოა, ჭმუნვის, ცრემლის გაქარწყლება ოდენ მოქმედებითაა შესაძლებელი. წავიკითხოთ, ან გავიხსენოთ „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი აფორისტული თქმანი: „სჯობს სიცოცხლისა გაძლება. მისთვის თავისა დადება“. „მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს“, „ბედი. ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“. „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“, „მაშა ლხინსა ვინ მოიმკის, პირველ ჭირთა უმუშაკო“, „არ იკი. ვარდი უეკლოდ არავის მოუკრებიან“, „კაცმან საქმე მოიგვაროს. ვიჭ. ჭმუნვასა ესე სჯობდის“. ჩვენ აქ ოდენ მცირე ნაწილი მოვიხმეთ აფორიზმებისა. მთლიანად პოემა ხომ ბრძოლისა და მოქმედების იდეის მქადაგებელია. მისი იდეური პერსონაჟების ფიზიკური, სოციალურ-გონებრივი და ზნეობრივი არსებობა მოქმედებითაა განსაზღვრული. ამის საფუძველზე მიაღწიეს მათ სწორუპოვარ გამარჯვებებს. ახლა მოკლედ გავეცნოთ არჩილის კონცეფციებს ცხოვრებაში ადამიანის მოქმედებისა და მოღვაწეობის შესახებ, მის ქმედით პრინციპებს:

„მოღვაწება სჯობს სულისა უდებებითა გდებასა,
რა ძალუც უქმად ყოფასა, კაცობის სულ დადებასა,
უსარგებლოსა ტირილსა, მოთქმასა და გოდებასა“.

ან კიდევ: „შუშაკობა კარგი ზნეა... ბარვა, წინდვა, ხვნა და თესვა, მკის და სთვლისა მის-მის დრობა, კაცს შემატებს და გაახარებს მოსავლის ბევრის მოსწრობა“.

ვახტანგ მეექვსის პოეზიაში თვალსაჩინო ადგილს იკავებს ადამიანის მიერ მოქალაქეობრივი ვალის მოხდის, აქტიური პრაქტიკული საქმიანობა-მოქმედების იდეების ქადაგება:

„კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს,
ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს.

მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს,
სახელის ხე საჩრდილებლად წყლისა პირსა სამე დარგოს“[74].

ვახტანგ მეექვსის პოეტურ ნააზრევს წითელ ზოლად გასდევს პრაქტიკული შრომითი რუდუნების შედეგად მოპოვებული სახელის ღირსება: „რადგან კაცია მოკვდავი უნდა დაურჩეს რამე და, სახელისაგან უმჯობე რამცა ჰქენ, რამც იამე და“. ადრე შოთა რუსთაველი ქადაგებდა: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. მოხმობილი საილუსტრაციო მასალების წყაროთა ძიებამ ბიბლიურ სამყაროში შეგვიყვანა. ეს სიბრძნის საუნჯე შთაგვაგონებს, რომ არ არსებობს არავითარი სიმდიდრე, რომელიც გადასწონიდეს სახელის მოხვეჭის სიდიადეს. ისო ზირაქის წიგნი მოგვიწოდებს: „იზრუნე სახელისათვის, რამეთუ იგი დაადგრების შენდა უფროს ათასთა დიდთა საუნჯეთა ოქროსათა“. ან კიდევ: იგავთა წიგნში ვკითხულობთ: „უმჯობეს არს სახელი კეთილი, ვიდრე სიმდიდრესა მრავალსა, ხოლო უფროის ოქროისა და ვეცხლისა მადლი კეთილი“ (იგ. სოლ. 22, 1).

ბიბლია ქადაგებს: ვისაც შრომა ეზარება, საქმის გაკეთება სძულს, ის ვერც სარჩო-საბადებელს მოიხვეჭს, ე. ი. ვინც არ მუშაობს, ის არ ჭამს: „უკეთუ ვისმე არა უნებს საქმის, ნუცა ჰსჭამს“ (II თეს. 3, 10). ყოველგვარ საქმიანობაში კაცმა გულმოდგინეობა უნდა ჩააქსოვოს, გულითადი წადილით უნდა იმოქმედოს, წინააღმდეგ შემთხვევაში რაიმე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრიც კი ამაოა. გულმოდგინეობის გარეშე შესრულებული სამუშაო უფრო ტანჯვასა ჰგავს, რომლის ნაყოფითაც ვერც დატკბები: „ყოველივე რასაცა იქმოდეთ, გულითად იქმოდეთ“ (კოლ. 3, 23). ადამიანის მოქმედებაში, პრაქტიკულ საქმიანობაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნებისყოფის ძალას. უნებისყოფო არსება საწადელს ვერ მიაღწევს. რუსთაველი გვაფრთხილებდა: „რაც არა გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“. ამ ტაეპმა შეუძლებელია არ შეგვახსენოს ერთი პასაჟი ბიბლიიდან: „არა რომელი იგი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი იგი მძულს, მას ვჰყოფ“ (რომ. 7, 15). საქმეს უნდა აკეთებდე არა ხმაურით, არამედ წყნარად და მშვიდად: „მყუდროებით ჰშურებოდენ; და თვისსა ჰსჭამენ“ (II თეს. 3, 12). ადამიანი თავისი შრომის ნაყოფით იცნობა, ისე როგორც ხე — „თვისისაგან ნაყოფისა“: „თვითოეული ხე თვისისაგან ნაყოფისა საცნაურ არს, რამეთუ არა ეკალთაგან შეჰკრიბონ ლეღვი, არცა მაყუალისაგან მოისთულიან ყურძენი“ (ლ. 6, 44). ამ სიბრძნეს ემყარება არჩილიც: „ხე ხილისგან, ხილი ხისგან — ნათქვამია — იცნობება“.

---

[74] უთეოდ ამ სტრიქონებითაა შთაგონებული ილია ჭავჭავაძის სიტყვები: „კაცად მაშინ ხარ საქები თუ ეს წესი წესად დარგე: ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო — აბა დღეს მე ვის რა ვარგე?“

„ვისრამიანში“ ვკითხულობთ: „მწარე ხე მწარესვე ნაყოფსა გამოიღებს, რაზომცა ჩუენ შაქრითა ვრწყუიდეთ“. ეს შეგონება ბიბლიიდან მოდის: „ყოველმან ხემან კეთილმან ნაყოფი კეთილი გამოიღოს, ხოლო ხემან ხენეშმან (ცუდი, ავი, საძაგელი) ნაყოფი ხენეში გამოიღოს“ (მ. 7, 17).

„...საცნოგლად თავისადაო“

შრომისმოყვარეობის საფუძველზე დაგროვილი ცოდნა, სიბრძნე უპირველესად განსაკუთრებული ღირებულების მქონეა მაშინ, როდესაც იგი ადამიანს მოემსახურება საკუთარი თავის შეცნობაში — ვინ არის იგი, საიდანაა მოსული, სად იმყოფება და საით მოუწევს გამგზავრება. საზოგადოება რაც უფრო მდიდარია ისეთი ადამიანებით, რომელთაც შესწევთ უნარი საკუთარ სულში ჩახედვისა, საკუთარი თავის შეცნობისა, მით უფრო წმინდაა იგი, ზნეობრივად ამაღლებული. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს ცხოვრების მოწესრიგებას, სოციალური და ეროვნული პრობლემების გადაჭრას, ურთიერთსიყვარულს, „ქვეყანასა ზედა მშვიდობას და კაცთა შორის სათნოებას“. ადამიანმა მთვარეს დაააბიჯა ფეხი, კოსმოსში შეკრა კამარა, მაგრამ თურმე ამ საოცრების განხორციელება უფრო ადვილი აღმოჩნდა, ვიდრე ადამიანის სულშივე შეღწევა. შედეგად კი ვიმკით ცრემლს, ტკივილს, უნდობლობას, უსასოცოცხლეს, სევდას, ნაღველს... ხვალინდელი დღის პერსპექტივა საფრთხეში ვარდება. იმძლავრა პატივმოყვარეობამ, ანგარებამ, აბობოქრდა გაუმაძღრობის ჟინი, მლიქვნელობა, გაუტანლობა, აზვირთდა შურიანობა, სულის გამყიდველობა, კაენისა და იუდას ლანდები ყორნებივით შლიან ფრთებს... „შეიცან თავი შენი“-ს შიშველი პროპაგანდა ჰაერში გამოკიდულივით წრიალებს, ყელში თოკი მოჭერილი აქვს და სიცოცხლის ნიშან-წყალიც ეცლება ხელიდან.

„შეიცან თავი“-ს პრობლემა ათასწლეულების მანძილზე აწვალებდა და აწვალებს კაცობრიობას. მაგრამ... ბიბლიაში დავბრუნდეთ, გავითავისოთ „შესაქმის“ ტექსტის ეპიზოდები: ღვთის მიერ ადამის და ევას „ხატად და მსგავსად მისა“ გაჩენა, მათი გამწესება სამოთხეში, დამოძღვრა, ცნობადის (შემეცნების) ხისთვის მიუკარებლობის შეგნება, სატანის ხრიკები, პირველ ადამიანთა აკრძალული ხილით დანაყრება,„ პირველქმნილი ცოდვის ტრაგიკული აქტი, ღვთიურ ბუნებასთან ადამიანის გამოთხოვება, სამოთხიდან გაძევების სიმწარე და ა. შ. ასე დაიბადა პირველი ცოდვა — დასაბამი ადამიანთა საერთო შეცოდებებისა. უზენაესი არსების მცნების შელახვით ადამიანის სულს გამოეყო სხეული, მიწიერ-მატერიალურმა მოთხოვნილებებმა წაბილწა ადამიანში სული, ანუ მისი ღვთაებრივი ბუნება. ე. ი. ადამიანი შინაგანი სულიერი სამ-

ყარიდან გარეთ გამოვიდა, სულის გულისთქმას სძლევს „გულისთქმაი თუალთაი“. ადამმა და ევამ იგრძნეს სიშიშვლე, სირცხვილის გრძნობა დაეუფლათ, რადგან ღვთიური ნათლის კაბა განძარცვოდათ.

ხე ცნობადისა იმიტომ ხარობდა სამოთხის ცენტრში, რომ აკრძალული ხილის წყალობით ადამიანი გამოეყვანა თავისი ცნობიერების გარეთ, რათა სწორედ გარედან ჩაეხედა მას სულის სამყაროში და ასე შეეცნო თავისი თავი. საგულისხმო ფაქტია: ნემესიოს ემესელი ბიბლიური პირველცოდვის შინაარსში ალეგორიულად ჭვრეტს იმ თვალსაზრისს, რომ აკრძალული ხილის მეოხებით შეძლო კაცმა ჩაეხედა სულში, გაეცნო თავისი ბუნება, რასაც მანამდე მოკლებული იყო: „აკრძალულმა ხილმა ადამიანი ჩაახედა საკუთარ თავში, გააცნო თავისი ბუნება“.[75] ამავე კონცეფციას გვაზიარებს იოანე დამასკელის „გარდამოცემა“: „კეთილისა და ბოროტის ცნობადი ხეი არს მრავალ სახისა მის ხედვისა შემეცნებაი, რომელ არს მეცნიერებაი თვისისა ბუნებისაი“.[76]

ამდენად, აკრძალულმა ხილმა პირველქმნილ ცოდვას მისცა დასაბამი, მაგრამ ამავე დროს ადამიანი შეამზადა საკუთარი თავის შესაცნობად. რომლის საშუალებით თუ წყალობით იგი შეძლებდა ერთმანეთისაგან განერჩია ნათელი და ბნელი, კეთილი და ბოროტი, მართალი და მტყუანი, სიკვდილი და სიცოცხლე.

საკითხთან დაკავშირებით შეუძლებელია არ მოვიგონოთ „ატიკის პირველი ბრძენის“, ფილოსოფიის მამის, გენიალური სოკრატეს (დაახლ. 470-399 ძვ. წ.) საყოველთაოდ ცნობილი მოწოდება ადამიანის მიმართ: „შეიცან თავი შენი“. ეს მოწოდება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმდენად, რამდენადაც სოკრატე იკვლევდა ადამიანის სულიერ სამყაროს, მის ბუნებას, სწავლა-ცოდნას, ზნეობა-მორალს.

ვის აქვს უნარი საკუთარი თავის შეცნობისა? „ცნობა თავისა თვისისა“ შეუძლია მას, ვისაც ძალუძს საკუთარ სულში ჩაღრმავება, შესწევს ძალა

---

[75] ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ს. გორგაძის გამოცემა, ტფ., 1914, გვ. 12.

[76] რ. მიმინოშვილი. იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ ქართული თარგმანები, სადოქტორო დისერტაცია, ნაწ. II, ხელნაწერი, 1967, გვ. 395-ა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ, როგორც შენიშნულია, ჯონ მილტონის შემოქმედებაში (XVII ს.) ჰუმანისტური გაგება ეძლევა ადამისა და ევას ცნობისმოყვარეობას. მათ მისწრაფებაში — იგემონ ბოროტისა და კეთილი ხის ნაყოფი — ისახება აღორძინების ხანისათვის დამახასიათებელი ცოდნისაკენ ლტოლვის კონტურები (შდრ. გ. ხავთასი, შ. რევიშვილი, ნ. ორლოვსკაია, გ. გაჩეჩილაძე, საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1977, გვ. 254). მოყვუსმინოთ ჯონ მილტონს: „და აუკრძალავს უფალს მათთვის იმ ხის ნაყოფი, ცოდნის აკრძალვა, საოცრება, შგუნერება“ (ჯონ მილტონი, დაკარგული სამოთხე, სამსონი, თარგმანი ვ. ჭელიძის და ეკვიტაიშვილისა. თბ., 1978, გვ. 125).

თვითგანსჯისა, თვითანალიზისა, თვითგანჩხრეკისა, თვითკრიტიკისა და, საერთოდ, თვითდახვეწისა. „შეიცან თავი შენი“-ს პრობლემა ქართველი მწერლობის წინაშეც არაერთხელ დამდგარა: ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა აღორძინების პერიოდი (XVI-XVII სს.). ეს არის ერთ-ერთი ყველაზე რთული და მძიმე ხანა ქართველი ერის ისტორიული ცხოვრების მანძილზე. კერძოდ, იგი „გამოირჩევა“ სარწმუნოებრივი გადაგვარებით, ძმათა შორის შუღლითა და კინკლაობით, „აომა ხვნითა და დალმა ფარცხვით“, შიხააშლილობით, პატივმოყვარეობის აღზევებით („ასრე სჯირს საქართველოსი დიდებულთ, გინა მცირეთა, აზვავდებიან, იტყვიან: „უჩემოდ კინ იმღერეთა“), რამაც განაპირობა გარეშე მტერთა (სპარსელნი, თურქ-ოსმალნი) და კავკასიელ ტომთა (ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი) განზრახვების აღსრულება. სწორედ ამ სასტიკ პერიოდში ენიჭებოდა საგანგებო მნიშვნელობა საკუთარ სულში ჩაღრმავებას, „ცნობას თავისა თვისისა“, რაც გადაარჩენდა ქართველობას ეროვნულ-სარწმუნოებრივი გადაგვარებისაგან. არჩილი დიდ სიბრძნედ თვლიდა ქართველი კაცის მიერ საკუთარი თავის შეცნობას:

„დიდი სიბრძნეა კაცსა ცნობა თავისა თვისისა“.[77]

საკუთარი თავის შეცნობის ამგვარივე იდეითაა დამუხტული „დავითიანი“:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო,
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“.[78]

ამ სტრიქონებში ჩვენს ყურადღებას იქცევს დ. გურამიშვილის კეთილი განზრახვა, რომ საკუთარი თავის შესაცნობად, ანუ „საცნობლად თავისადაო“ სიყმაწვილიდანვე უნდა აღვზარდოთ საქართველოს მომავალი მამულიშვილი. მოზარდი თავიდანვე უნდა ჩაუფიქრდეს თუ ვინ არის იგი, საიდანაა წარმოშობით, სად იმყოფება და საით მოუწევს წაბრძანება. ვინც ამ კითხვებისთვის პასუხის გასაცემად გაიმსჭვალება თავიდანვე, მას არ გაუჭირდება „ცნობა თავისა თვისასა“. ამჯერად ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება იმ წყაროებისთვის თვალ-ყურის მიპყრობა, რომელიც დ. გურამიშვილის ზემოთ საილუსტრაციოდ მოტანილ სტრიქონებს ასაზრდოებდა უთუოდ. „აპოფთეგმატაში“ ანუ სიტყვის-გება სოკრატისი და სხვათა ფილოსოფოსთასა“ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „ფალის მილეთელს ჰკითხეს: ურიგო რა არის? მიუგო: შენს

---

[77] ქართული პოეზია, III, გვ. 543.
[78] დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, გვ. 24.

თავს რომ ვერ იცნობდე და სხვას კი ასწავლიდე".[79] ეს მით უფრო საგულისხმოა, რომ დ. გურამიშვილი „აპოფთეგმატას". უშუალოდ იცნობდა. იგი ხომ ქართულ ენაზე თარგმნილია ერასტი თურქესტანიშვილის მიერ მოსკოვში, ვახტანგ მეექვსის სურვილითა და დავალებით. აქვე მოთავსებულია ისეთი ფრაზა, რომელიც დ. გურამიშვილის საანალიზო სტრიქონთა უშუალო წყაროდ უნდა იქნეს აღიარებული: „ჰოი, კაცო! სიკვდილი გახსოვდეს, **თავი შენი იცან.** განიხილე. **ვინა ხარ,** ანუ **საიდამ გახჩნდი** და **დაიბადე**".[80] (შდრ. „დავითიანი": „**ყმაწვილი** უნდა სწავლობდეს **საცნობლად** თავისადაო, **ვინ არის, საიდამ მოხულა,** სად არის, წავა სადაო"). ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა გრიგოლ ღვთისმეტყველის ნააზრევიდან სათანადო ნიმუშის მოტანა, სადაც იგივე შინაარსი ფიგურირებს: **„იცან თავი შენი კეთილად, რომელი ვინ ხარ და რომელი ვინ იქნენ.** და ესრეთ ადვილად მიემთხვიო სიკეთესა და დასაბამ-სახისასა".[81] დასახელებულ წიგნში ვკითხულობთ: „უკუეთუ ვერ სცნობდე ზომასა თავისა შენისასა, მაშა, იკოდე, სცთდები".[82]

რუსთაველი გვასწავლის, რომ „თავისისა ცნობა" ჭირთგარდაუხდელად არ მოდის: „თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა".

"ჟმნა მართლისა სამართლისა..."

შრომისმოყვარეობა, ცოდნა, სიბრძნე შეამზადებს ადამიანს „საცნობლად თავისადაო", რომელსაც სიმართლე წარუძღვება წინ მანათობელ ვარსკვლავად. საკონიების მანძილზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მუდამ უჭირდა სიმართლის, მართალ კაცს. სიმართლის ბარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია. მას ყოველთვის გზას უღობავდა ბოროტი ძალა და კატაკლიზმების ჩიხში ამწყვდევდა. მისი ოპონენტი მტერი იყო მუდამ კანონსაწინააღმდეგო ქმედებანი, იქ სადაც კანონიერება ირღვევა, ან მერყეობს, იღუპება მართლწესრიგიც, მართლგანმზახელიც. ცხოვრებაში ერთმანეთს ეპირისპირდება ორი, ერთმანეთს საწინააღმდეგო პოლუსებზე მყოფი ძალა. ესაა სიმართლე და უსამართლობა. ორივე ამ ძალის პატრონი ადამიანია. ვინ იცის, რამდენი კაცის სიცოცხლე შეწირულა ამ ძალთა შერკინებას ერთმანეთთან. როცა ხან ერთი მხარე იმარ-

---

[79] სიტყვის-გება სოკრატისი და სხვათა ფილოსოფოსთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ლ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე მ, თბ., 1978, გვ. 48.

[80] იქვე, გვ. 69.

[81] სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი მ ა, თბ, 1969. გვ. 34.

[82] იქვე. 78.

ჯვებდა, ხან კი — მეორე. ამის აროერთ ნიმუშს თუ ეპიზოდს ბიბლიური სამყაროც გვაცნობს. დავიწყოთ შესაქმით. ადამისა და ევას მიერ ჩადენილი ცოდვა ღვთის მცნებისადმი უსამართლო მოპყრობის შედეგი იყო. უდანაშაულო აბელის სისხლიც უსამართლობის ნიადაგზე დაღვარა კაენმა. ნოეს შვილთა შთამომავლობაში გამრავლებული ბოროტება გოდლის მშენებლობამდე აღზევდა, რაც ღვთისადმი უსამართლო მოქმედებაში გამოიხატა, ამას მოყვა სამართლიანი სასჯელი — ენის შერევნა და ბოროტმოქმედთა გაფანტვა სხვადასხვა ქვეყანაში. ესავის მიერ ძმის — იაკობის შეძულებაც უსამართლობის ნიადაგზე მოხდა, არც ძმათა მიერ უდანაშაულო იოსების ეგვიპტისაკენ მიმავალი ვაჭრებისთვის მიყიდვა იყო სამართლიანი, იუდა უსამართლოდ მოიქცა ქრისტეს. 30 ვერცხლად გაყიდა და ასე გაუყენა გოლგოთის გზას მაცხოვარი. სხვა ჰაგალითების მოტანა ძალზე შორს წაგვიყვანდა.

ბიბლია გვასწავლის, რომ ღმერთი ყოველთვის მართალ კაცს უდგას მხარში, მისი თანამდგომია ჭირშიც და ლხინშიც. ღმერთმა მიიღო და შეიწყნარა აბელის მიერ შეწირული მსხვერპლი როგორც მართალი კაცისა ღვთისა თუ სარწმუნოების წინაშე. აბელის მართალი კაცობა იმაშიც გამოიხატა, რომ მსხვერპლის შეწირვისას მას სწამდა მომავალი მაცხოვარი და მხურვალედ ლოცულობდა. ენუქის გულმართალი კეთილმსახურება ღვთისადმი მისი ცაში ცოცხლად აღტაცებით დაგვირგვინდა. კაენისა და სეთის შთამომავალნი როცა უკეთურებამ მოიცვა, ღმერთმა მათში შეარჩია ერთი კაცი, კერძოდ, ნოე — წარღვნის შემდეგ კაცობრიობის თესლის გადასარჩენად. ბიბლია გვეუბნება: ღვთის გულისყური მხოლოდ და მხოლოდ ნოეზე იმიტომ შეჩერდა, რომ იგი იყო „კაცი **მართალი** და სრული“ (დაბ. 6(8-9). იგი სიმართლისათვის, სისრულისათვის და სწორ გზაზე სიარულისათვის ღმერთმა წარმხოცველი წარღვინის წყლებში ცოცხლად გამოატარა და შექმნა ანახლებული კაცობრიობის მამამთავრად“.[83] ასევე სემის შთამომავლობისაგან მხოლოდ აბრაამი ამოარჩია ღმერთმა, როგორც მართალი, კეთილმსახური და ჭეშმარიტ სარწმუნოების დამცველი. ცხადია, ბიბლიაში ჩვენ არ გვხვდება აბრაამის დასახასიათებლად ეპითეტი „მართალი“, მაგრამ უზენაეს არსებას რომ კეთილად ემსახურებოდა და ჭეშმარიტ სარწმუნოებას იცავდა, ეს პირდაპირ მიგვანიშნებს მის სამართლიანობაზე. ამიტომ დაჯილდოვდა ის ქანაანის კურთხეული ქვეყნით. აბრაამის გულწრფელობამ და გულმართლობამ იხსნა მისივე ძე ისააკი ფიზიკური აღსასრულისაგან. ასევე თვით ისააკიც გადაურჩა სასტიკ სიკვდილს პირწმინდობისა და გულმართლობისათვის ღვთის წინაშე. სწორედ ამგვარი სიკეთისა და სიმართლისათვის აღუთქვა უფალმა აბრაამს, რომ მისი შთამომავლობისაგან

---

[83] ზ. კიკნაძე, საუბრები ბიბლიაზე, თბ., 1989, გვ. 23.

წარმოიშვებოდა მესია, ქვეყნიერების ღვთაებრივი მხსნელი. იოსების მართალმა კაცობამ გადაარჩინა იგი ფათერაკებს და ამ ქვეყანაზე ფიზიკური და სულიერი აღზევების საშუალება მისცა. ჭეშმარიტი სარწმუნოების დავიწყებისათვის, ე. ი. სიმართლის გზისგან გადახვევისათვის ჩავარდნენ ეგვიპტელთა ტყვეობა-მონობაში ებრაელები. მაგალითებს აღარ გავამრავლებთ. ახლა გვაინტერესებს, რა ბრძნულ აზრებს გვაწვდის ბიბლია სიმართლისა და სამართლიანობის შესახებ. საღმრთო წიგნი გვირჩევს; ყოველი ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე უნდა ერიდოს ცოდვიანობას, მტკიცედ დაიცვას ღვთის მცნებანი. დაგმოს გზა სიცრუისა. საქმე კარგად წაუვა მას, ვინც სიმართლისა და ჭეშმარიტების დამცველი იქნება: „ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა ნუ ინებებ ცოდვად და გარდასლვად მცნებათა მისთა. სიმართლესა იქმოდე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა და ნუ შეხვალ გზათა სიცრუისათა, რამეთუ იქმოდი შენ ჭეშმარიტებასა, წარმართებულ იყვნენ საქმენი შენნი“ (ტობ. 4, 6). ბიბლიაში უსამართლობა უღმერთობასთან არის გაიგივებული. ფსალმუნის წიგნი პირდაპირ მოგვიწოდებს სიმართლის სიყვარულისაკენ და უსამართლობის, უკანონობის („უშჯულოების“) სიძულვილისკენ: „შეიყუარე სიმართლე და მოიძულე უსჯულოებაი“ (ფს. 44, 8). დავით წინასწარმეტყველი გვამცნობს, რომ მართალი კაცის სიღარიბე უფრო დიდად ფასობს, ვიდრე ცოდვილის სიმდიდრე: „შჯობს მცირედი მართლისა, ვიდრეღა არა მრავალსა მას სიმდიდრესა ცოდვილთასა“ (ფს. 36, 16). ეს აფორიზმი მოგვაგონებს იგავთა წიგნის ასეთ ფრაზას: „უმჯობეს არს მისაგებელი სიმართლით, ვიდრე ფრიადი ნაყოფი სიცრუვით“ (იგ. სულ. 15, 29). ჩვენი ცხოვრების აზრი და შინაარსი უნდა ვეძიოთ სიმართლის გზით, ხოლო გულმანკიერთა, ბოროტმოქმედთა საქციელს სიკვდილი მოუღებს ბოლოს: „გზათა შინა სიმართლისათა ცხოვრებაი არს, ხოლო გზანი ძვირმოხსენეთანი სასიკუდინე“ (იგ. სოლ. 12. 28). სიმდიდრის მოიმედეს მომავალი აღარ უწერია, მას დაცემა არ ასცდება, მხოლოდ სიმართლის მოქმედი გაიხარებს ცხოვრებაში და სახელი მისი ნათლით შეიმოსება: „რომელი ესვიდეს სიმდიდრესა, დაეცეს, ხოლო რომელი ეწეოდეს მართალსა, იგი გაბრწყინდეს“ (იგ. სოლ. II, 28). ან კიდევ: „რომელი სთესვიდეს სიმართლესა, მიიღოს სასყიდელი სარწმუნო“ (იგ. სოლ. II, 21). „გზანი მართალთანი, ვითარცა ნათელნი, ბრწყინავდნენ, წინა-უძღოდიან და განანათლებენ. ვიდრე წარმოემართოს დღე“ (იგ. სოლ. 4, 18). მართალი საქმე მოგვანიჭებს ნამდვილი ცხოვრების უფლებას, ხოლო უსამართლობის („უღმრთოთა“) ნაყოფი არის ცოდვით დაცემა: „საქმემან მართალმან ცხოვრებაი ყვის, ხოლო ნაყოფ უღმრთოთა — ცოდვა“ (იგ. სოლ. 10, 16). „შვილი მართალი იშვის ცხოვრებად. ხოლო დევნულებაი უღმრთოთა სიკუდიდ“ (იგ. სოლ. II. 19). „ნაყოფისაგან სიმართლისა ჰამდეს შვილი სახიერი, ხოლო სულ-

ნი უშჯულოთანი მოისრნენ უკამოსა“ (იგ. სოლ. 13, 2). ცოდნის შეძენისაკენ მიისწრაფვის მართალი გული: „გული მართალი ეძიებს ცნობასა (ცოდნას), ხოლო პირმან უსწავლელმან ცნას ბოროტი“ (იგ. სოლ. 15, 14). მართლისმეტყველი მხოლოდ სიმართლის მოყვარე ენა და ბაგეა, ხოლო უგუნურს უსამართლობა განათავებს: „ბაგეთა მართალთა იციან სიმართლე, ხოლო უგუნურნი ნაკლულევანებასა შინა აღესრულნენ“ (იგ. სოლ. 10, 21), „ვერცხლი არს გამოხურვებული ენაი მართალი“ (იგ. სოლ. 10, 20), „არა შვენის უგუნურსა ბაგე მართალი და არცა მართალსა ბაგენი ცრუნი“ (იგ. სოლ. 17, 7). სარწმუნოებასთან ერთად კაცს გაამართლებს საქმე მისი: „საქმეთაგან ვამართლდების კაცი და არა სარწმუნოებისაგან ხოლო“ (ეპ. იაკ. 2, 24). ჩადენილი საქციელი თუ უკეთურება მიკერძოებით კი არ უნდა იქნეს განსჯილი, არამედ სამართლიანად, კანონიერების საფუძველზე: „ნუ სჯით თუალთ-ღებით (მიკერძოებით, პირფერობით), არამედ სამართალი სასჯელი საჯეთ“ (ი. 7, 24). ბიბლია შთააგონებს ღვთის სასუფეველისაკენ მიმსწრაფთ, რომ იქ მათ დახვდებათ სიმართლე, მშვიდობა და სიხარული. მაგრამ ქრისტეს ქორწილს დაესწრება ის, ვინც იქ მოხვედრამდე, აქ — სოფელში — ყოფნისას იბრძოდა სიმართლისათვის, მშვიდობისათვის: „არა არს სასუფეველი ღუთისა საჭმელ და სასუმელ, არამედ სიმართლე და მშვიდობა და სიხარულ სულითა წმიდითა“ (რომ. 14, 17). ბედნიერია და სანატრელი ოდენ ის ადამიანი, რომელსაც სწყურია და შია სიმართლე: „ნეტარ იყუნენ, რომელთა ჰშიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის. რამეთუ იგინი განჰსძღენ“ (მ. 5. 6).

„ვისრამიანის“ მიხედვით სიმართლის ფასი ქვეყანაზე არაფერი მოიპოვება: „სიმართლისებრი ქუეყანასა ზედა არა არის“. „ქილილა და დამანა“ არც იმას მალავს, რომ მართალ კაცს მტერი ჰყავს უსამართლო ქვეყანაში, მას მუდამ სდევნიან, ექიშპებიან, სიძულვილით ეპყრობიან: „მართალსა მთქმელსა ყოველნი სძულობენ. ექიშპებიან“. „აბდულმესიანი“ გვასწავლის სიმართლე არა მარტო ადამიანს მოუტანს სიკეთეს და ბედნიერებას, არამედ თვით ხმელ ხესაც გაანედლებს. სიცოცხლის სულს ჩაუდგამს: „ესა მართალი, ე სამართალი ხეს შეიქმს ხმელსა წყალ მომდინარედ“. ეს სიტყვები პროტოტიპად გვევლინება რუსთველური აფორიზმისა, რომელიც პოეტურად უფრო დახვეწილია: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“.

როგორც ცნობილია, აღორძინების ხანის ქართველი ხალხის ყოფაში ფეხი მძლავრად მოიკიდა უსამართლობამ, გაუტანლობამ, ლიტერატურასაც დაეუფლა ე. წ. „ნაჭორი ამბავის“ სენი. ამან განაპირობა „მართლის თქმის“ პრინციპის ჩამოყალიბება, რომელსაც მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. ამ პრინციპის ერთადერთი მიზანი იყო კონკრეტულ-ისტორიული ფაქტების აღწერა-გადმოცემა, მომხდარი ამბავის, მოვლენის ზუსტად დაფიქსირება და კონკრე-

ტელი ისტორიული პირების შემოყვანა მხატვრულ ძეგლში. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ცნება „მართალი“ ამ შემთხვევაში სინონიმია „ნამდვილის“, „რეალურისა“. საგულისხმოა ერთი გარემოება. აღნიშნული პრინციპის დამცველთ ტერმინი „მართლის თქმა“ რუსთაველისაგან აქვთ უთუოდ ნასესხები: „ყოველსავე მართლად გითხრობთ, არ სიტყვასა საკვეხელსა“. ან კიდევ: „მართლად ოტყვის მოციქული: შიში შეიქმს სიყვარულსა“. დ. გურამიშვილი აქტიურად იცავდა „მართლის თქმის“ პრინციპს:

„მართალს ვიტყვი, შევიქმნები, ტყუილისა მოამბე რად?
ვერას ვუქებ საძაგელთა, უფერულთა პირსაფერად...“

ამჯენად, სიმართლისმოყვარეობას, მართლისმეტყველებას, მისთვის ბრძოლას და ამის საფუძველზე უსამართლობის დამხობას უპირველესად ასაზრდოებს მოქმედებისუნარიანობა, გამბედაობა, თავგანწირვის შეგნება. ღვთისმოსაობა, ცოდნა-განათლება და სიბრძნე. ქართველმა ერმა საუკუნეების მანძილზე მეტად რთული, მძიმე, ნარეკლიანი გზა განელო და ასე მოვიდა დღემდე. ის ხშირად გამხდარა მსხვერპლი უსამართლობისა. მის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლები მუდამ უსამართლობაზე იყო დამყარებული. ჩვენი ქვეყანა ასევე არაერთგზის ჩავარდნილა საფრთხეში ერის მოღალატე, სულის გამყიდველი, სატანისდარი კაცუნების ბოროტმოქმედების შედეგად. მაგრამ ეს ყველაფერი წარსულს როდი ჩაბარებია, დღესაც გრძელდება უსამართლო ბრძოლები ქართველთა წინააღმდეგ. მაგრამ ყველაფერს გარეშე ძალებსაც ვერ დავაბრალებთ. დღესაც გვყვანან. სამწუხაროდ, ერის გამყიდველები, რომლებიც თავიანთ „ბედნიერებას“ უსამართლო, მრუდე გზით იმკიან. თუ მათგან ჩვენი საზოგადოება არ განიწმინდა, რა თქმა უნდა, წარმატებათა მოპოვებაც კარგა ნნით გადაიდება, ან საერთოდ გაგვიჭირდება. ამ განწმენდაში დიდი მისიის შესრულება შეუძლია ქრისტიანობის განმტკიცებას და ბიბლიურ წიგნებთან ზიარებას.

„ენითა ზენითა ნუ მოინადირები“

იგავთა წიგნი გვასწავლის, რომ „ბაგეთა მართალთა იციან სიმართლე, ხოლო უგუნურნი ნაკლულევანებასა შინა აღესრულნენ“ (იგ. სოლ. 10, 21). ე. ი. სიმართლის მცოდნე და დამცველი არის ადამიანის მართალი ბაგე და ენა. ხოლო მართალი ენის პატრონი არის მართალი და სრული. სიმართლის სასტიკი მტერია ენამრუდი ადამიანი. სიმართლის დამკვიდრებისათვის ენერგი-

ულად მებრძოლი ბიბლია დაუნდობლად ილაშქრებს ენაღვარძლიანი, ენაბოროტი, ენატანია, ენამრუდი, ენამტრელი, ენამყრალი, ენაგრძელი, ენალაქლაქა, ენაკვესია ადამის ძეთა წინააღმდეგ. ამ სიბრძნის წიგნს მიაჩნია, რომ ადამიანის სიცოცხლე და სიკვდილი, საზოგადოებაში სამართლიანობის აღზევება თუ დამხობა, ცხოვრების მოწესრიგება თუ არევ-დარევა უპირველესად ენაზეა დამოკიდებული, ვინაიდან ენა ავლენს, აშიშვლებს კაცის შინაგან სამყაროს, სულიერ ავლადიდებას, მოქმედებას, საქციელს, გულისნადებს.

ფსალმუნთა წიგნი შთაგვაგონებს, რომ ენამრუდი კაცი დამარცხდება ცხოვრებაში, ცრუ კაცს სიავე, ბოროტება, ჭირი, შური, მანკიერება მოინადირებს: „კაცსა ენოვანსა არა წარემართოს ქუეყანასა ზედა, კაცი ცრუი ძვირმან[84] მოინადიროს განსახრწნელად“ (ფს. 139, 12), ღვთის რისხვას ვერ გადაურჩება მზაკვარი ენის მოსიყვარულე: „შეიყუარე შენ ყოველი სიტყუაი დაქცევისა და ენაი მზაკუარი, ამისთვის დაგამხუას შენ ღმერთმან სრულიად“ (ფს. 51. 6). მზაკვარი და ცრუ ენა ალესილი მახვილის სადარია: „სიცრუესა ზრახავს ენაი შენი, ვითარცა მახვილი აღლესული. ჰყავ შენ ზაკვა-“ (ფს. 51, 4). მახვილით, მკვეთრი მახვილით დაცემული სჯობია ენით განგმირულს და დაცემულს: „მრავალნი დაეცნეს მკუეთრითა მახვილითა, არამედ არა დაეცნეს ვითარცა ენითა“ (ზირ. 18. 10). ენაბოროტი დღენიადაგ „უნდა ეცადოს. დაძლიოს ეს მავნე სენი. განკურნოს ენა ამ საშინელი ავადმყოფობისაგან. რათა მისი ვერაგი და ღალატიანი ბაგე მართლმეტყველებას შეუდგეს: „დააცხვრე (დაამშვიდე. დააწყნარე) ენაი შენი ბოროტისაგან, და ბაგენი შენნი ნუ იტყვიან ზაკვასა“ (ფს. 33. 14). ადამიანს მხსნელი. გადამრჩენელი. მაცოცხლებელი არის მისი პირიდანვე გამოსული მართალი სიტყვა — მისი არსობის პური. ე. ი. სულიერი საზრდო და არა ფიზიკური. ასევე ადამის ძეს გადაარჩენს, სიცოცხლის სასოს განუმტკიცებს ღვთის პირიდან გამოსული სიტყვა: „რამეთუ არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა. რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისასა, ცხონდების კაცი“ (II, სჯ. 8. 3).[85] იგავთა წიგნის თანახმად, სწორუპოვარია ძალა ენისა, მას შეუძლია აცოცხლოს და მოკლას კიდეც ადამიანი. ე. ი. სიკვდილი და სიცოცხლე ენის განკარგულებაშია, მის ხელშია მომწყვდეული. ცხოვრების ნაყოფს (ტკბილს თუ მწარეს) ვჭამთ იმდენად. რამდენადაც ამას ენის მოქმედება გვიკარნახებს, რამდენადაც შევძლებთ ჩვენი სულის მოძრაობის გამომხატველი ენის მწყობრობას. ბგონების ძალით მის სისტემაში მოყვანას: „სიკუდილი და ცხოვრებაი ხელთა შინა ენისათა, ხოლო რომელთა შეიწყნარონ, იგინი ჭამდენ ნაყოფსა

[84] ძველ ქართულ ლექსიკურ ფონდში სიტყვა „ძვირის“ სინონიმებად გვხვდება — ბოროტი. ჭირი. შური. ავი, ცუდი, მანკიერება.

[85] შდრ. მათე. 4, 4.

მისგან“ (იგ. სოლ. 18, 21). მაცდური, მზაკვარი, ცრუ ენით სიმდიდრის შეშ-
ფოთებელს სიკვდილის მახე უგია, ამაოების ტყვეა მისი გარჯა და რუდუნება:
„რომელი შეიკრებდეს საუნჯეთა ენითა ტყუილისათა, ამაო არს და მისდევს
იგი საფრხეთა სიკუდილისათა“ (იგ. სოლ. 21, 6). ცხოვრებაში ყველაზე სა-
შიშია და საფრთხის მომტანი ორპირი კაცი, რომელიც დაუნდობელია, გამ-
ყიდველი, დამბეზღებელი, მოყვრის საიდუმლოს გამცემი. ბიბლია გვირჩევს,
ასეთები დროულად შევიცნოთ, განვერიდოთ მათ, რათა თავიდანვე ავიცი-
�ილოთ მოსალოდნელი უსიამოვნება: „კაცი ორენა (ორპირი) განაცხადებს მო-
ყუასისა ხუაშიადსა, ხოლო სარწმუნომან დაფაროს იგი“ (იგ. სოლ. II, 13).
თავისი ენამყრალობის საფუძველზე დაცემული, დამარცხებული აუცილებ-
ლად განსაცდელში, სიავესა და ჭირში ჩავარდება: „კაცი, რომელი გარდაიქ-
ცეოდის ენითა თვისითა, შევარდეს იგი ძვირსა“ (იგ. სოლ. 17, 20). ცრუ ენა
არის მშობელი ბოროტების, ჭირის, შურის, სიავის, მანკიერებისა. მართალი
კაცი მუდამ უნდა გაურბოდეს მაცდური ენის პატრონს, „ბაგეთა მტყუართა“:
„ძვირი მორჩილ არს ენისა ცრუისა, ხოლო მართალი არა მიხედავს ბაგეთა
მტყუართა“ (იგ. სოლ. 14. 4). ბიბლიური მოწოდებით. ბოროტისმზრახველ
გულთან, სისხლისმღვრელ ხელთან, სიავისაკენ მიმსწრაფ ფეხთან ერთად ცრუ
ენის პატრონნი უნდა მოსპობილ იქნეს, რათა ვათი უკეთურებისაგან განიწ-
მინდოს საზოგადოება და მიეცეს ნორმალური ცხოვრებისეული პირობების
შექმნის საშუალება: „თუალნი მაგინებელნი და ენაი ცრუ, ხელნი, რომელნი
სთხევენ სისხლსა მართლისასა და გული, რომელი ზრახვნ გულს — სიტყუა-
თა და ბოროტთა, და ფერხნი, რომელნი ისწრაფიან ბოროტის-ყოფად. მო-
ისრნენ“ (იგ. სოლ. 6, 17-18). ყველა ჩვენთაგანის უპირველესი მტერი და
საფრთხე ენა და ბაგეა, გავიმარჯვებთ ან განვიგმირებით „სიტყვითა პირისა“
ჩვენისათა: „რამეთუ საფრთხე ძლიერ არიან კაცისა თვისნი ბაგენი და შეიპ-
ყრობის სიტყვითა პირისა მისისათა“ (იგ. სოლ. 6, 2). მლიქვნელის ენა ძვალ-
თა შემმუსვრელია. ნაწლავთა გამთანგავი: „სიტყუაი მლიქნელისა ლბილ, ხო-
ლო ესენი ცემით სცემენ საუნჯეთა შორის ნაწლევთასა“ (იგ. სოლ. 16, 12).
გონიერი და ბრძენი ყოველთვის შორს იჭერს თავს, განრიდებულია თავხე-
დურ, მკაცრ, სასტიკ. ფიცხელ სიტყვას, რომელიც სულიერად მოუწესრიგე-
ბელი კაცის ბაგიდან წარმოითქმიან: „რომელი ერიდებოდეს სიტყუასა ფიც-
ხელსა (თავხედური, სასტიკი, მკაცრი) წარმოღებად, იგი გონიერ არს და სულ-
გრძელ კაცი ბრძენ“ (იგ. სოლ. 17, 27).

ყოველი ჩვენთაგანის სულიერ წყობას, ღირსებას, საქციელს სიტყვა გა-
მოაჩენს, ან წარმოაჩენს, სიტყვის მეშვეობით შესაძლებელია გავმართლდეთ,
ან დავისაჯოთ. ამდენად, ჩვენი ცხოვრებისა და მოქმედების სწორი ორიენტა-
ციისთვის გადამწყვეტი როლი აკისრია სიტყვას, ენას: „სიტყუათა შენთაგან

განჰმართლდე და სიტყუათა შენთაგან დაისაჯო“ (მათე, 12. 37), „სიტყუაცა შენი გამოგაჩინებს“ (მარკ. 14, 70). უნდა ვერიდოთ უშვერი სიტყვის წამოროშვას, რომელიც გულს ატკენს და გაუბზარავს ადამიანს: „ყოველი სიტყუა უშუერი პირით თქუენით ნუ გამოვალნ“ (ეფ. 4, 29). ახალი აღთქმა ადამიანებს ასე მოუწოდებს: „სიტყუა თქუენი მარადის მადლითა, ვითარცა მარილითა, შეზავებულ იყავნ“ (კოლ. 4, 6).[88] საინტერესოდ მიგვანიშნებს ბიბლია, რომ მხეცთა, ფრინველთა, ქვეწარმავალთა გაწვრთნა და მოთვინიერება შედარებით უფრო ადვილია, ვიდრე გესლიანი, ბოროტი, ავისმზარხველი ენისა: „რამეთუ ყოველივე ბუნება მხეცთა და ფრინველთა, და ქუეწარმავალთა და მცურველთა დაიმწყსების (გაიწვრთნების), და დამწყს

-არს ბენებასა ქუეშე კაცთასა, ხოლო ენა კაცთა ვერვის ხელეწიფების დამწყსად, დაუპყრობელი ბოროტი, სავსე გესლითა მაკუდინებელითა“ (ეპ. იაკ. 3, 7-8).

ბიბლიური სიბრძნის მიდევნებით შუა საუკუნეების ნოველების კრებულში გატარებულია ყველა ადამიანისათვის ჭკუის სასწავლო აზრი — ცხოვრების შინაარსი ძევს ენამრუდობისა და გაუმაძღრობის წინააღმდეგ ბრძოლაში. პირველ რიგში ენა (აქ მშობლიური ენა კი არ მიიღება მხედველობაში) უნდა დავიცვათ ყოველგვარი სიავისაგან, გესლისაგან, ბოროტებისაგან და მუცელი, რათა გაუმაძღრობის ჟინით არ გავხრწნათ იგი. ენის და მუცლის დაეცველობა, მოუვლელობა გულსაც ჩაითრევს მსხვერპლად თავის წუმპეში: „ესე არს ცხოვრებაი, რაითა კაცმან დაიცვას ენაი თვისი... ვინაითგან არა დავიცვათ ენასა ჩუენსა და მუცელსა, ვერცა გულსა დავიცავთ“.[87] ან კიდევ: ნუ ხარ მოსავ სიმართლესა შენსა, ნუცამცა ინანი საქმესა ზედა წარსულსა და ეკრძალე ენასა და მუცელსა“.[88] სხვათა შორის, ეს სიბრძნე გაუთვალისწინებია არჩილს და ორგანულად შეუსინქრონიზებია იგი თავისი პოეტური ნიმუშისათვის, როგორც მისივე მსოფლმხედველობის საყრდენი წერტილი:

„ვინც ენას სძლევს და მუცელსა დიდი ნიჭი აქვს მადლისა“.[89]

რადგან არჩილი ვახსენეთ, მკითხველს მივაწვდით მის მოსაზრებებს ენის რაობასთან დაკავშირებით. არჩილის მრწამსით (და აქ იგი ბიბლიის გაელენას განიცდის). ენას გველის, ასპიტის გესლზე უფრო მწარე და ბოროტი გესლი

---

[86] შდრ. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სადაც მამა გრიგოლის შესახებ ნათქვამია, „სიტყუაი მისი იყო შეზავებულ მარილითა მადლისაითა, რაჟამს იტყვიან, ბრძნად აღაღის პირი და წესი განუჩინს ენასა თვისსა“.

[87] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, გვ. 55.

[88] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, გვ. 8.

[89] ქართული პოეზია, III, გვ. 542.

აქვს. მლიქვნელი ენა ბრძენკაცის გონების სიმყუდროვეს ორგუნავს. გულსა და ღვიძლს აპობს. ამიტომ მას კაცი უნდა გაუფრთხილდეს:

„ენას აქვს გესლი ბოროტი უმწარე ასპიტისაგან,
ენა მლიქნელი გონებას მყუდროსა. მშვიდად დებულსა,
გულსა განმსჭვალავს და ღვიძლსა გააპობს, სიბრძნით ქებულსა“.[90]

არჩილის თანახმად, განუსაზღვრელია ტკბილი ენის ფასი და ძალა. მას შეუძლია გველის მოთვინიერება და დამშვიდებაც კი. აქ იგი შოთა რუსთაველის კონცეფციის გამომხატველიცაა, რასაც არც მალავს. „ვეფხისტყაოსანში“ ვკითხულობთ: „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“.

ახლა არჩილს დავუგდოთ ყური:

ტკბილი ასპიტს მოამდოვრებს (დაამშვიდებს), მწარე ძირში გარდახსენო“.[91]
„ენის ძალი შენ გითქვამს და ცოტა მეც რამ მოგახსენო,

ყოველი დროის, ეპოქის ადამიანისათვის იქნება ჭკუის მასწავლებელი ის რჩევა-დარიგება, რასაც შატბერდის კრებულში ვკითხულობთ. იგი შთაგვაგონებს მოწოდების დონეზე: კაცმა უნდა იცოდეს სიტყვის ფასი. ლაპარაკობდეს მოზომილად, ბაგეს ნუ გახსნის ცუდსიტყვაობისათვის. არიდოს ხმამაღალ სიცილს, არ მიეძალოს ღვინოს. მოიკვეთოს ამპარტავნობა, დასცილდეს მზაკვარ ენას და ცრუ ბაგეთა, ძვირს ნუ იტყვის ადამიანზე, ნუ დაემორჩილება ცრუ ამბავს, კეთილისა და ბოროტის გამოძიების გზით გაანამართოს მართალი და მტყუანი და ამის შემდეგ შეაფასოს იგი როგორც ჯერ-არს: „იყავნ სიტყუაი შენი ზომით, და კარი შეაბ ბაგეთა შენთა სიტყუათათვის ამათთა; და ეკრძალე მაღლად სიცილსა, და ნუ გიყუარნ სამკაული სამოსელთაი, და ნუ ილუწი სახმარსა შენსა, ვითარცა ცოლიერი, ნუ ინახს-იდევ ქორწილსა და ნუ გარდაერვი ღვინოსა, განიშორე შენგან გონებაი ამპარტავანი, განიშორე შენგან ენაი მზაკუარი და ბაგენი ცრუნი და ნუ ძვირსა იტყვ[illegible] კაცთათვის და ნუცა ჰამბავსა ცრუსა ურჩი, ვიდრე გამოძიებამდე კეთილისა და ბოროტისა“.[92] „ქილილა და დამანას“ მიხედვით, მაბეზღრის ენას ქვეყნის გადაწვა-გადაბუგვაც შეუძლია: „დიდი ქვეყანა მოუწვავს ენასა მაბეზღრისასა“.[93] საინტერესო აზრი აქვს გამოთქმული ვახტანგ მეექვსეს ენასთან დაკავშირებით:

---

[90] იქვე, გვ. 333.

[91] იქვე, გვ. 332.

[92] შატბერდის კრებული, გამოსცეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 199, გვ. 311.

[93] ქილილა და დამანა, გვ. 219.

„თუ ენას კლიტე არა აქვს, ჭირია ულხინობელი“.[94]

მეფე-პოეტმა თავისი მოღვაწეობის პერიოდში არაერთგზის გამოსცადა, თუ რა შედეგი მოაქვს ავ ენას, ენაბოროტს და ენამრუდს არა მარტო ადამიანთა გარკვეული ნაწილისათვის, არამედ მთელი საზოგადოებისათვის, ერისათვის, მშობელი ქვეყნისათვის. მაბეზღარი ენის მსხვერპლი პირადად პოეტიც ბევრჯერ ყოფილა, რაც დააფიქსირა კიდეც თავის პოეზიაში. საკუთარი გამოცდილებიდან და განცდებიდან გამომდინარე, ვახტანგ მეექვსე აშიშვლებს საერთოდ ავი ენის „ფუნქციას“. პოეტი სევდანარევი კილოთი ამბობს, რომ ენას ძალუძს გვაზიაროს სიტკბოს და სიმწარესაც, მოყვარე მტრად აქციოს და მტერი — მოყვარედ:

„ენისგან არის ორივე: სიტყვა ტკბილი და მწარენი,
მტერს გაამოყვრებს, მოყვარეს გაამტრობს დასაზარენი“.[95]

და ბოლოს: საკითხზე საუბარი გვსურს დავასრულოთ იმ ბიბლიური შეგონებით, რომელიც ყოველ ჩვენგანს უნდა ახსოვდეს და იმოქმედოს მისი გათვალისწინებით: „ნუ იწოდები განმაქიქებელ და ენითა შენითა ნუ მოინადირები, რამეთუ მპარავსა ზედა არს სირცხვილი და ზრახვა ბოროტი ორ ენათა ზედა“ (ზირ. 5, 16).

„ყოველივე სიცრუვე ცოდვა არს“

კვლავ გავიმეორებთ ზემოთ ჩვენ მიერ უკვე დამოწმებულ ბიბლიურ ერთ ფრაზას: „ძვირი (ე. ი. ბოროტი, ავი, ცუდი, შური) მორჩილ არს ენისა ცრუისა, ხოლო მართალი არა მიხედავს ბაგეთა მტყუართა“ (იგ. სოლ. 14,4). ზემოთ საკმაოდ ვილაპარაკეთ მართლისმეტყველებაზე და ენის რაობაზე. აქვე პარალელურად ნაწილობრივ ვაჩვენეთ ცრუ ენის მავნებლური ხასიათი, მაგრამ ამჯერად საჭიროდ მიგვაჩნია მასზე შედარებით ვრცლად შევჩერდეთ. უფრო სწორად ცალკე გამოვყოთ ეს საკითხი.

ყოველი ადამიანის სულიერ ცხოვრებაში შეინიშნება ორი — ურთიერთგამომრიცხავი მომენტი: 1) საუბრის დროს აზრი უსწრებს სათქმელს და 2) საუბრის ჟამს სათქმელი უსწრებს აზრს. ეს უკანასკნელი უმეტესწილად

---

[94] ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ე. ლექსები და პოემები, გვ. 108.
[95] იქვე. გვ. 79.

ემოციებს ეწირება, მოჟარბებული გრძნობების მსხვერპლია. გავრცელებული შეხედულებით, ენა არის აზრის უშუალო სინამდვილე. აქ მარტივად. მაგრამ ბრძნულად გამოხატულია სალაპარაკო ენის ფუნქცია. ამდენად, ადამიანის სულიერმა სამყარომ ჯერ აზრთა ძალ-ღონე უნდა მოიკრიბოს და მერე ენის საშუალებით იგი სხვას უნდა გადასცეს, ან გააგებინოს. ჯანსაღი გონების მსმენელი მისაღებ აზრს შეიწყნარებს, ხოლო „ჯერკუალს განაგდებს". ვინც წარმოსათქმელ აზრს გონებით აკონტროლებს და სხვის ყურთასმენაში მის მოკალათებამდე თვითონვე ესმის. რაც უნდა თქვას, მან უკვე წინასწარ იცის, როგორ შეხვდება ნათქვამს მსმენელი ადამიანი ან საზოგადოება. აზრს ზოგადად კი ვამბობთ, მაგრამ ხაკითხავია, ვისი სულის სფეროდან მოდის იგი. ამის მიხედვით ვარკვევთ, თუ როგორია ეს აზრი, ან ვისგან რა შინაარსის შემცველი აზრია მოსალოდნელი. ცხადია. მართალი კაცის ენიდან მეღამ მართალ სიტყვას ვისმენთ, ხოლო მზაკვარი, მატყუარა არსების ბაგიდან სიცრუეს გარდა რას უნდა ველოდეთ. მაგრამ სიცრუეცაა და სიცრუეც. არის ისეთი მომენტი ცხოვრებაში, როცა ტყუილის თქმა გარკვეულწილად სიკეთის ნიშნითაა დაღდასმული. ე. ი. ეს არის სიკეთე სიცრუისა, რომელსაც მავნებლობა კი არ შოაქვს ადამიანისათვის (დიდი იქნება იგი თუ პატარა), არამედ სარგებლობა. ამის მაგალითები ცხოვრებაშიც ცნობილია და მხატვრულ ლიტერატურაშიც. ავისმომასწავებელია ის სიცრუე, რომელიც ადამიანს ბოროტების ჩიხში მიამწყვდევს, ფათერაკს და დავიდარაბას გადაჰკიდებს. სწორედ ამგვარი ტყუილის წინააღმდეგ იბრძვის ბიბლია.

როგორც ცნობილია, განარჩევენ ორგვარ ცოდვას — მიმკვიდრეობითს და პირადულ ცოდვას. ბიბლიური მიმკვიდრეობითი ცოდვა მძიმე ტვირთად დააწვა ადამიანობას. საგულისხმოა. რომ სიცრუის ცოდვასთან ერთად ბიბლია. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცრუთა გონა მოსაყვანად. მათში შეგნების ასამაღლებლად, სიმართლისაკენ, სიკეთისკენ მათ მოსაბრუნებლად. ვისაც გაცნობიერებული აქვს ცოდვის არსი. მას ამავე დროს შეგნებული უნდა ჰქონდეს სიცრუის სიავე. რათა ხელი აიღოს მასზე, გაკეთილშობილდეს, ამაღლდეს თავის თავზე და მიხვდეს, რომ. მართლაც. „ყოველივე სიცრუეე ცოდეა არს" (I, ეპ. იაკ. 5. 17). ცრუ კაცი ცრუ საქმის მქმნელია, სიმართლის მრღვეველი და მტერი („რომელმან დაარღვიოს ღობე, უკბინოს გველმან"). ურჯულო და აქედან გამომდინარე — უღვთო: „ულმრთომან (ე. ი. ურჯულომ. უკანონომ) ქმნის საქმე სიცრუისა, ხოლო თესლი მართალთა სასყიდელი (ე. ი. მოსაგებელი, ფასი, გასამრჯელო) ჭეშმარიტებისა" (იგ. სოლ. 11. 18). ბიბლია გვირჩევს, „ცუდმუდ", მატყუარა კაცს არ ავყვეთ, მისგან შორს დავიჭიროთ თავი, თორემ ცრუსთან სიახლოვე გვიქადის სიმართლისადმი ღალატს. უნდა ვეცადოთ, უბრალოსა და მართალს სიცოცხლე გავუხან-

გრძლივოთ, გული არ მოვუკლათ უღვთოთა, უკანონოთა გამართლებისათვის: „ყოველისაგან სიტყვისა ცრუისა განეშორო, უბრალოი და მართალი არა მოაკუდინო და უღმრთოი არა განამართლო ქრთამისათვის“ (გამოს. 23, 7). ბიბლია გვაფრთხილებს, ვისაც სიცრუის გზით აქვს პური მოპოვებული და გამტკბარი, იგი გაუმწარდება, მხურვალე შანთივით ამოუწვავს პირს, შხამად ეჭეერგება: „დაუტკბნა კაცსა პურნი სიცრუვისانი და აღავსო პირი მისი შანთითა მხურვალითა“ (იგ. სოლ. 20, 17). მატყუარა კაცის ბუნების ნაყოფი არის უღვთოობა, უკანონობა, უსამართლობა, ანუ ძველი ქართული ენით რომ ვთქვათ — უსჯულოება („უშჯულოება“): „აჰა ესერა, ელმოდა სიცრუე, მუცლად-იღო სალმობაი და შვა უსჯულოებაი“ (ფს. 7, 15). ქურდის, ცილისმწამებლის და მატყუარის მიერ ჩადენილი ცოდვის ხვედრითი წონა თანაბარია. ამიტომ არა მხოლოდ განვერიდოთ და გავექცეთ ამ უმსგავსო ადამიანებს, არამედ სასტიკი ბრძოლა უნდა გავუმართოთ მათ, რათა ყველა ქურდის, ცრუმოწმისა და ცილისმწამებლის ქვეშ მიწა უნდა იწეოდეს. ხალხი, რომელიც ასეთი ადამიანების მავნებლობას თვალნათლივ ხედავს, მათ თავის გვერდით ამყოფებს და არ ამხელს, ფაქტიურად მათი მავნებლური საქციელის თანამონაწილედ უნდა იქნეს შერაცხილი, განურჩევლად შინაგანი პატიოსნებისა და გულმართლობისა. ხალხმა ეს კაცუნები უნდა ამხილოს და ბიბლიური ენით მოუწოდოს: „არა იპარვიდეთ, და არცა სტყუოდით, ნუცა ცილსა შესწამებენ კაცი მოყუასსა თვისსა“ (ლევ. 19, 11).[96] გამოსვლათა წიგნი მოგვმართავს, რომ უსარგებლო ამბავს („სასმენელს“ ყური არ ვათხოვოთ, ცრუთა გვერდით არ დავჯდეთ და არც საუბარი გავიყოთ, არვის დავუდგეთ ცრუ მოწმედ: „არა შეიწყნაროთ სასმენელი ამაო,[97] არა დაშჯდე ცრუისა თანა ყოფად, მოწამედ ცრუდ“ (გამოს. 23, 1). ხოლო ცრუ მოწმისა და მოსამართლის ხვედრი შთამბეჭდავად გააშიშვლა სულხან-საბა ორბელიანმა „სიბრძნე სიცრუისაში“. ამ მხრივ შეუნელებელი ინტერესის აღმძვრელია იგავ-არაკი „თხა და მელა“. მასში გატარებული მორალი გვეუბნება — ცრუ მომჩივანი, ბოროტი მოწმე — მოსამართლე სასტიკად დაისჯება, მწარედ აგებს პასუხს მზაკვრობისათვის.

საინტერესოა, რომ ესაია წინა-წარმეტყველ ცრუნი და მატყუარანი შეუდარებია (შთაბეჭდილების გამძაფრების მიზნით) აბორგებული ზღვისთვის, რომლებსაც „აზვირთებულ-აბობოქრებულ ზღვასავით მოსვენება დაკარგული აქვთ სიავის ჩასადენად: „ხოლო ცრუნი, ვითარცა ზღუაი აღდუღებული, ეგ-

---

[96] გავიხსენოთ ბიბლიური მე-8 და მე-9 მცნებანი: „არა იპარო“, „არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა წამებითა ცრუთათა“.

[97] შდრ. არჩილის სიტყვები: „ცრუს სიტყვას ყურსა ნუ ასმენ, ნურცა ენასა გასდიხ“ (ქართული პოეზია, III, გვ. 510).

რეთ იღელეებოდიან (მღელვარებენ) და განსუენებად ვერ შემძლებელ იყუნენ“ (ეს. 57, 20). ამასთანავე, ვფიქრობთ, წარუხოცელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე წინასწარმეტყველის მიერ ნახმარი სიტყვა „აღდუღებული“ — აღელვებულის ნაცვლად, რის საშუალებით უფრო ღრმად ვიხედებით ცრუ კაცუნების ბოროტმოქმედულ საქციელში. ამავე დროს ეს არის შესანიშნავი ნიმუში ავტორის მიერ მოტანილი ბრძნული აზრის პოეტური ძალისხმევით თუ იერსახით დამშვენებისა, რაც მისი უკეთ აღქმის და დამახსოვრების საშუალებას იძლევა: ცხადია, ბიბლიაში აქ ტიპის უთვალავი მაგალითები იპოვება.

განსაკუთრებით საშიშად სახავს ბიბლია ისეთ ცრუმეტყველთ, რომლებიც გარეგნულად ცხვრის ქურქში არიან გახვეულნი, შინაგანად კი მტაცებელ მგელს ედარებიან. როდესაც წაიკითხავ ამ სტრიქონებს, რასაც ქვემოთ მოვიტანთ, მაშინათვე თვალწინ დაგიდგებათ ეს მოღალატე ადამიანები და წუხილით აგევსება გული — რატომ უნდა არსებობდნენ ცხოვრებაში ამგვარი ავკაცნი: „ეკრძალენით ცრუ — წინასწარმეტყუელთაგან, რომელნი მოვიდოდენ თქუენდა სამოსლითა ცხოვართაითა, ხოლო შინაგან იყუნენ მგელ მტაცებელ“ (მათე, 7, 15). არა მარტო ცრუ ენა, არამედ მაცდური თვალიც თავისივე ხელით უნდა ამოითხაროს კაცმა და გადააგდოს, რათა ამ „ერთი ასოთა“ გამო არ წარწყმდეს და გაიხრწნას მთელი სხეული მისი: „უკეთუ თუალი შენი მარჯუენე გაცთუნებდეს შენ, აღმოიღე იგი და განაგდე შენგან, რამეთუ უმჯობეს არს შენდა, რათა წარჰსწყმდეს ერთი ასოთა შენთაგანი, ვიდრე ყოველი გუამი“ (მათე, 5, 29).

ქრისტიანი კაცის მომავლის პერსპექტივა ღვთის სასუფეველში დამკვიდრებას უკავშირდება. იქ დაბინადრების უფლება ყველას როდი აქვს. ბიბლიის თანახმად, ქრისტეს ქორწილში მონაწილეობის იმედი ნუ ექნებათ ისეთ ადამიანებს, რომლებიც კერპთმსახურნი, მეძავნი, მემრუშნი, მამათმავალნი, მხდალნი, გაუმაძღარნი, სირცხვილიანნი, მტაცებელნი არიან. აქ ჩამოთვლილია რა ის მანკიერი თვისებები, რომლებიც ართმევენ ადამის ძეთა სასუფეველში შეღწევის უფლებას, პირველ რიგში დასახელებულნი არიან ცრუნი. ეს არ არის შემთხვევითი. მოციქული უწინარესად სიცრუეს იმიტომ ახსენებს, რომ იგი არის სათავე და მშობელი აღნიშნულ მანკიერებათა: „არა უწყითა, რამეთუ ცრუთა სასუფეველი ღუთისა ვერ დაიმკვიდრონ? ნუ ჰსცთებით: არცა მეძავთა, არცა კერპთ-მსახურთა, არცა მემრუშეთა, არცა ჩუკენთა (ე. ი. ჯაბანთა, მხდალთა, გულდედათა), არცმა მამათ მავალთა, არცა ანგართა (ე. ი. ხარბთა, გაუმაძღართა), არცა მპარავთა, არცა მომთვრალეთა, არცა მაგინებელთა, არცა მტაცებელთა სასუფეველი ღუთისა ვერ დაიმკვიდრონ“ (I, კორ. 6, 9-10). საინტერესო მოსაზრებებს ვხვდებით იოანე პეტრიწის „სათნოებათა

„კიბეში“ „სიცრუესთან დაკავშირებით. მისი ფიქრით, ტყუილის მშობელია განცხრომა: „ცეცხლსა რკინა შობს და განცხრომა ტყუვილსა, სიყუარულისა განმრყუნელსა მას ბოროტსა“ (გვ. 196). იოანე პეტრიწი ტყუილის „ხუთ საქმეს“ განარჩევს: „ხუთნი არიან ტყუვილისა საქმენი: შიში სასჯელთა ანუ შიშის თვინიერ, საზრდელისათვის ანუ გემოვნებისა, სიცილისათვის, განცხრომისა ყრმებრისა, მოღუაწეთაგან შორს არიან ესენი“. ამასთანავე მუდამ უნდა გვახსოვდეს ვახტანგ მეექვსის შეგონებაც: „ბევრს მართალს ერთის ტყუილის გარევა გააცუდებსა“.[98]

„მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი“

შუა საუკუნეების ნოველების ძველ ქართულ თარგმანებში ვკითხულობთ, რომ სიცრუე და ტყუილი არის ძირი საფუძველი ყოველსა ბოროტებისა, რადგან მისი მშობელი ეშმაკია და მისივე მიმყოლნი სიკვდილისკენ მიექანებიან: „ძირი ყოველსა ბოროტებისაი არს ტყუვილი და ყოველითურთ არს იგი სიკუდილ, რამეთუ ნაშობი არს იგი ეშმაკისაი“.[99] რუსთაველიც ამ სიბრძნითაა შთაგონებული: „რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა“ (უბედურებისა, საცოდაობისა). ამ თვალსაზრისით საგულისხმო შეგონებებს ვხვდებით ბიბლიაში.

დავიწყოთ იმით, რომ ღმერთმა, რომელმაც „დაასხა სამოთხე ედემისა“, აღმოაცენა „ყოველი ხე შუენიერი ხილვად და კეთილი საჭმელად და ხე ცხოვრებისა — შორის სამოთხესა და ხე იგი — ცნობად კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ. 2, 9). ამდენად, ხე ცნობადისას ნაყოფის გემოს ხილვისას ადამიანს ეძლეოდა უნარი, ერთმანეთისაგან განერჩია კეთილი და ბოროტი. ეს უნარი კი მანამდე მხოლოდ ღმერთს ჰქონდა მომადლებული. თქმული იმაზე მიუთითებს, რომ, ბიბლიის თანახმად, არსებობს ორი — ერთმანეთს დაპირისპირებული ძალა — სიკეთე და ბოროტება. ძნელია აქ გამოვეკიდოთ ბიბლიური თქმულების აზრობრივ სიღრმეს, რამდენად არის სიმართლის შემცველი ორი საწყისის — კეთილისა და ბოროტს — არსებობის განცხადება მაშინ, როდესაც **თვით** ღმერთი სიკეთის განსახიერებაა, ისე როგორც მის მიერ შექმნილი ქვეყნიერება და ადამიანი. მკითხველს ჯერ არ ჰქონია შემთხვევა ხე ცნობადისას გაცნობამდე ბოროტებასთან შეყრისა. როგორ გავიგოთ კეთილი და ბოროტი, როგორც ორი საწყისი, საგნობრივი არსებობის მატარებელნი, თუ ბო-

---

[98] ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ე, ლექსები და პოემები, გვ. 79.

[99] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, გვ. 134.

როტი ძალა, ვითარცა დამახინჯებული სიკეთე. ერთი სიტყვით, შესაქმის თანახმად, არსებობს კეთილი და ბოროტი, რომლის ერთმანეთისაგან გარჩევა ღმერთს შეუძლია და ადამიანს — არა. ბიბლია, ერთი შეხედვით, თითქოს გვაძლევს შესაძლებლობას, გავერკვეთ ორი საწყისის არსში — ღმერთი — კეთილი, ეშმაკი — ბოროტი. ე. ი. სიკეთის სათავე ღმერთიდან მოდის, ხოლო ბოროტების საწყისი ეშმაკია. შეიძლება თუ არა ამ შემთხვევაში ეშმაკი — ბოროტი დავუპირისპიროთ ღმერთს — კეთილს. ვფიქრობთ, არა. საქმე ისაა, რომ აქ სატანა, რომელიც გველის სახით გამოეცხადა ადამსა და ევას, სრულებით არ გამოიყურება უკეთურების საწყისად, ბოროტების სათავედ. მან ჩვეულებრივად ურჩია პირველ ადამიანს, რომ აკრძალული ხილი ოანაყრებისას კი არ მოკვდებით, არამედ გახდებით კეთილისა და ბოროტის მცოდნენი. ამით საშუალება გაუხსნა მათ საკუთარ თავში ჩახედვისა, თავისი თავის შეცნობისა.

ამასთან დაავშირებით ერთ ბრძნულ აზრს მივაპყროთ გულისყური: „ეშმაკი ვითარ ბოროტ არს, გრქუაი შენ, ვითარცა ღმერთმან ესეცა კეთილადვე დაჰბადა და ამპარტავნებითა თვისითა იქნა იგი ბოროტად".[100] მაშასადამე, ეშმაკი ბოროტ არსებად კი არ დაბადებულა, არამედ კეთილ არსებად. მაგრამ ამ სიკეთეში სიმახინჯე შეიპარა ამპარტავნების სახით და იგი ნაკლულევანყო. სიკეთის ნაკლში ბოროტებამ იჩინა თავი. აქვე შეუძლებელია არ გავიხსენოთ ბასილი დიდის სიტყვები: ვითარმედ ბოროტი ჭეშმარიტი ნებისა მიდრეკილობისაგან არს".[101] „არამედ არცალა ეშმაკნი ბუნებით ბოროტ არიან. რამეთუ უკუეთუმცა ბუნებით ბოროტ იყვნეს, არცამცა სახიერებისგან იყვნეს. არცა არსთა შორის იყვნეს".[102] ან კიდევ: „ეშმაკ ბოროტ არს კეთილის სახისა ბუნებისაგან გარდაქცევითა" (იქვე, გვ. 56).

ევა და ადამი შეცდნენ, ცოდვა — ბოროტება ჩაიდინეს ღვთის მცნებაკანონის დარღვევით. წამქეზებელი სატანა აქ ბოროტების საწყისი კი არ არის. არამედ თანამონაწილე. ადამმა უკვდავების ხის ნაყოფის მირთმევამდე მოასწრო აკრძალული ხილის ჭამა და შესცოდა. ამით ბიბლია გვასწავლის თავიდანვე, რომ ბოროტება თავისით არ იბადება, ან ცალკე საგნის სახით კი არ არსებობს, არამედ მისი საწყისი და არსი ვლინდება ჩვენსავე სულში, მოქმე-

---

[100] მამათა სწავლანი, გვ. 46.

გვ.714ი71

[101] უძველესი რედაქციები ბასილ კესარიელის „ექუსთა დღეთასა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის", გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ.. 1964, გვ. 34.

[102] პეტრე იბერიელი (ფსევდო — დიონისე არეოპაგელი), შრომები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა, თბ., 1961, გვ. 50.

დებაში, საქციელში, ადამიანის ურთიერთობაში ადამიანთან, ღმერთთან, სოფელთან. ის უკეთურებანი, რასაც ბიბლიაში ვეცნობით, პირველქმნილი, იგივე მემკვიდრეობითი ცოდვის შედეგია. მაშასადამე, ღვთის ნებით და წყალობით კეთილ არსებად გაჩენილი ადამიანი თვითონვე უდებს სათავეს ცოდვა-ბოროტებას, მისივე გამჩენლის კანონ-მცნებათა უარყოფის გამო. ბიბლია შთაგვაგონებს, რომ ადამიანმა თავის თავში უნდა აღმოაჩინოს ძალისხმევა, რათა გამოისყიდოს, მოინანიოს ცოდვის სიმძიმე, რაც მას პირველსახესთან დააბრუნებს, დაათრგუნვინებს ბოროტებას და საბოლოოდ მიაქცევს სიკეთისაკენ: „მოიქეცინ ბოროტისაგან და ჰქმენინ კეთილი“ (I ეპ. 3, 11). როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, ბოროტი არის არა „ონტოლოგიური“, მეტაფიზიკური რეალობა, არამედ აოციალურ-ადამიანური რეალობა. თავისთავად ის არც ადამიანის სულში არსებობს და არც „სოფელში“. ის ჩნდება ადამიანური ცხოვრების პროცესში. ბიბლია გვასწავლის, რომ კეთილი და ბოროტი ადამიანის გარეთ, ან მის სულში არსებული ძალები როდია, არამედ ერთიცა და მეორეც თვით ადამის ძეთა შორის გმოიცადა: „კეთილი და ბოროტი კაცთა შორის გამოიცადა“ (ზიო. 21, 5).

სამეცნიერო ლიტერატურაში ვკითხულობთ, რომ, ქრისტიანობის მტკიცე რწმენით, ბოროტების წყარო მატერიაში კი არ არის, არამედ ნებსით მოქმედებაში, თვითონ კაცის ნებაში და ღმერთისაგან ჯმნაში.[103] ბასილი დიდი ბოროტების არსს სულის დაზიანებაში, სიკეთის უარყოფაში, მის ნაკლში ჰვრეტდა. იგივეს იმეორებდნენ ავგუსტინე, მაქსიმე აღმსარებელი, იოანე დამასკელი, იოანე პეტრიწი. ახლა ბასილი დიდს მოვუსმინოთ: „ბოროტსა რაისმე არსებისა ღმრთისაგან დაბადებულად თქუმაი უცხო არს ღმრთის მსახურებისაგან და უჯერო, ვინაითგან არარაი წინააღმდგომი იქნების წინააღმდგომისაგან... ბოროტ არ არს ბუნებაი ცხოველი და სულიერი, არამედ ნებაი წინააღმდგომი სათნოებისაი აღძრული სულსა შინა, რომელი-იგი მოკლებითა კეთილისაითა იქნების უდებთა შორის.[104] ვ. ნოზაძის თქმისა არ იყოს, ქრისტიანობა ბოროტების პრინციპს უარყოფს, მაგრამ სინამდვილეში ბოროტის უარყოფად ხასიათს მაინც გვიჩვენებს. მას მხოლოდ ნაკლად თვლის, მას შემთხვევითობის შედეგად აღიარებს და ამიტომ აქედან გამომდინარეობს სრული იმედი ბოროტების მოსპობისა.[105] საინტერესო მსჯელობაა გაშლილი პეტრე იბერიელის (ფსევდო — დიონისე არეოპაგელის) ერთ-ერთ ნაშრომში — „საღმრთოთა სახელთათვის“ — ბოროტის რაობის შესახებ. ავტორი აღიარებს, რომ ბოროტი, როგორც საწყისი, არ არსებობს, იგი არა არსია, სიკეთის ნაკლია და

[103] შდრ. ვ. ნ ო ზ ა ძ ე, ვეფხისტყაოსანის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1693 გვ. 126.
[104] ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი, ექუსთა დღეითაი, გამოსცა მ. კ ა ხ ა ძ ე მ, თბ., 1947, გვ. 20.
[105] ვ. ნ ო ზ ა ძ ე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 136-137.

ჭეტი არაფერი. მოვიტანთ დიდი თეოლოგოსისა და ფილოსოფოსის ნააზრევიდან რამდენიმე ნიმუშს ყოველგვარი კომენტარის გარეშე: „ბოროტი არა სახიერებისაგან არს: და უკუეთუ სახიერისაგან არს, არა ბოროტ არს... არარაი არსთაგანი არს ბოროტისაგან, არასადმე ბოროტ არს ბოროტი იგი".[106] „ბოროტი არცა არს არსთა... ხოლო ბოროტი არცა არსთა შორის არს, არცა არა არსთა".[107] „სიბოროტე არს უსრულობაი კეთილისა, ყოვლად განშორებაი კეთილისაი უსრულსა მისცა და სრულსა კეთილსა დაჰხსნის და მაშინღა მარტოდ იყოს და იხილვებოდის სიბოროტე"...[108] ვინაიცა ესე — ვითარი იგი ზოგს-რე მოუძლურებაი არა ბოროტ არს, არამედ ნაკლულევანებაი კეთილისა"[109] „უეჭველად ყოველთა და ბოროტთაცა დასაბამი და დასასრული კეთილი არს".[110]

შატბერდის კრებულის მიხედვით, ბოროტება სიკეთის შიგნით იმალება. ე. ი. ბასილი დიდის სიტყვები რომ ისევ გავიხსენოთ, იგი სიკეთის ნაკლში იჩენს თავს. იქ სადაც სიკეთეს უარყოფითი ნიშნების, ნაკლოვანების და სიშახინჯის სენი შეეყრება, ბოროტება სწორედ მაშინ ჩნდება: „ბოროტი არა ხოლო ურწყოდ (ე. ი. წმინდად, წყალშეურევნელად) ბოროტ არს, არამედ დაფარულ არს კეთილსა მას შინა".[111] ან კიდევ, აქვე ეს აზრი უფრო დახვეწილად და შთამბეჭდავად ფიგურირებს: „ამისთვის უჩუენა გუელმან ნაყოფი იგი ცოდვისაი ბოროტი არა ვითარცა ბოროტი იგი ბუნებითი. უკუეთუ არა, ვერმცა შეცთუნა კაცი იგი ბოროტითა მით გამოჩინებულითა, არამედ შეამკო იგი შეუნიერებითა სახილვად... და შეაცთუნა მით დედაკაცი იგი".[112] რა ანალიზი შეიძლება გაუკეთდეს ამ სტრიქონებს. მას თუ პირდაპირ წავიკითხავთ, გამოდის, რომ ბოროტი, როგორც საწყისი, არსებობს და იგი სიკეთის სამოსელშია გახვეული, მისით არის შენილბული. ე. ი. სიკეთის მშვენიერების შიგნით, ვითარცა ქვეწარმავალი, იმალება ბოროტება. მაგრამ მოტანილი ფრაზის სიღრმეში სულ სხვა აზრი იმალება: სიკეთის ნაჩქარევად შეფასება, ან მისდამი მოუზომლად მინდობა არ ეგების. ადამიანის მოქმედება-საქციელით გამოყენებული, სიკეთის ბოლომდე შეცნობით დავასკვნით — იგი, მართლაც. მშვენიერი სამოსლით ინილბება და ბოროტებას გვიმზადებს, თუ, პირიქით, თავიდან ბოლომდე უნაკლოა, უმწიკვლოა და ამით პირველსახესთან დასაბრუნებლად საჭირო პირობებს გვიქმნის.

---

[106] პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი ე ლ ი (ფსევდო — დიონისე არეოპაგელი, შრომები, გვ. 44.
[107] იქვე. გვ. 44-45.
[108] იქვე, გვ. 48.
[109] იქვე, გვ. 50-51.
[110] იქვე, გვ. 55.
[111] შატბერდის კრებული. გვ. 102.
[112] იქვე, გვ. 102-103.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ: ქრისტიანობა უარყოფს ბოროტებას რო-გორც საწყისს, მას სიკეთის ნაკლად მიიჩნევს. ამ კუთხით წავიკითხოთ ბიბ-ლიაში გაბნეული ბრძნული აზრები სიკეთისა და ბოროტების შესახებ. ვინ შე-ძლება უპირველესად ბოროტად დავსახოთ? იგავთა წიგნის საფუძველზე ცოდვის ჩამდენი შეირაცხება ბოროტმოქმედად: „რომელნი ცოდვიდენ, უკუ-ანა სდევდეს ბოროტი, ხოლო მართალთა ეწიოს კეთილი (იგ. სოლ. 13. 21). ასევე უგნური ბუნების კაცში ბუდობს ბოროტება: „უგუნური იქმს მტერობ-ით ბოროტსა“ (იგ. სოლ. 13, 10). სიმზაკვრე და ცბიერება სათავეა უკეთურე-ბისა: „კაცი გულარძნილი (ე. ი. მზაკვარი, ცბიერი) გამოიღებნ ბოროტსა და ნაბერწყალი ზაკვისა ცეცხლებრ შეუდვის უკეთურთა...“ (იგ. სოლ. 16. 28). სიკეთე თავის თავს რომ დასცილდება, იბადება უკეთურება, რომელიც ყო-ველმხრივ მოწოდებულია და მომზადებულიც, რათა შეიძულოს მართალი და კეთილი, ბოროტება შეამთხვიოს ამ თვისებებით შემკულთ: „ბოროტი ცდი-ლობს, ბოროტი სადა შეამთხვიოს მართალსა და აძულენ ხმანი კეთილნი“ (იგ. სოლ. 11, 15). ბოროტების მაძიებელი ადვილად შეეყრება მას: „რომელი გამოეძიებს ბოროტსა, ეწიოს მასვე“ (იგ. სოლ. 11. 27). ბოროტმოქმედს ფა-თერაკი არ ასცდება: „ნუ ჰყოფ ბოროტსა და არა გეწიოს შენ ბოროტი“ (ზირ. 7, 1). უღვთო, ურჯულო, ცრუ, ავის მოქმედი დადის ბოროტებით დანაყრე-ბული, ხოლო მართალნი ვერ იტანენ სიცრუეს და ბოროტისმყოფლობას: „არა სთნავს მართალსა არა რაი ცრუი, ხოლო უღმრთონი განძლენ ბოროტითა“ (იგ. სოლ. 12, 21), „კაცი უგუნური და უშჯულო ვალნ გზათა გულარძნილ-თა“ (იგ. სოლ. 6, 11). „ვითარცა კაწახი ავნებნ კბილთა და კუამლი თვალთა, ეგრეთვე უსჯულოებამან ავნის, რომელნი მას ზედა ვალნ“ (იგ. სოლ. 10. 26). უგნურებას და უშჯულოებას კაცი ბოროტების გზით ეფსკრულის პირას მიჰ-ყავს: „კაცმან უგუნურმან ითხარის თავისა თვისისა წარსაწყმედელი და ბაგე-თაგან თვისთა ცეცხლი დაიუნჯის“ (იგ. სოლ. 16. 27), „კაცი უშჯულო გაბოც-დილ იქმნის მეგობართაგან და მიიყვანნის ივინი გზასა არაკეთილსა“ (იგ. სოლ. 16, 22). ქველმოქმედებისა და სიკეთისათვის სამაგიეროს მიზღვის ნაცვლად ბოროტისმყოფლობა და ავის მოქმედება სასტიკად აგებს პასუხს და განაჩე-ნიც სავსებით სამართლიანი თუ ლოგიკური იქნება: ბოროტმოქმედის სახლს არ მოაკლდება ავბედითობა, უკეთურება და უბედურება: „რომელმან ყოს კეთილისათვის ბოროტი, არა მოაკლდეს სახლსა მისსა ძვირი“ (იგ. სოლ. 17, 13). ის, ვინც შეეცდება თავისი ბოროტმოქმედებით სამარე უთხაროს სხვას, უპირველესად მასში თვითონვე ჩავარდება: „ხნარცვი თხარა და აღმოჰკუეთა და შთავარდეს იგი მთხრებელსა მას, რომელიცა ქმნა“ (ფს. 7, 16). იგივე აზ-რი პოეტურ ყალიბში ჩამოსხმულია ერთ-ერთ საინტერესო თხზულებაში:

„ხნარცვისა მთხრელი სხვისათვის
რა რომე გაათავებსა,
სხუა გადარჩება, ჩაიგდებს შიდა
თავისა თავებსა“.[113]

ლევიტელთა წიგნი გვასწავლის: „არა შესცვალო კეთილი ბოროტად, არცა ბოროტი კეთილად“ (ლევ. 27, 33). ამის მქმნელთ ვაი და ვიში მოელით: „ვაი, რომელნი იტყვიან ბოროტსა კეთილად და კეთილსა ბოროტად“ (ეს. 5, 20). ბოროტებაა ადამიანის სიყვარული საკუთარი თავისადმი, ნიადაგ იმის ძახილი, მე ვარ და სხვა, ჩემს გარდა, არ არსებობსო: „ფრიად არს სასოებაი სიბოროტისა შენისა, რამეთუ შენ სთქუ: მე ვარ და არა არს სხუაი“ (ეს. 47, 10). ე. ი. ბიბლიური ზნეთსწავლულებით, „უჩემოდ ვინ იმღერეთას“ დევიზი ადამიანისათვის დამღუპველია. ამის შესახებ სწუხდა თავის დროზე მეფე-პოეტი არჩილი: „ასრე სჯირს საქართველოსა, დიდებულთ, გინა მცირეთა. აზვავდებიან, იტყვიან: „უჩემოდ ვინ იმღერეთა“. სწორედ ამ სულისკვეთებით მოქმედებამ არაერთგზის თითქმის კატასტროფამდე მიიყვანა ჩვენი ერი წარსულში. სამწუხაროდ, ამ სენისაგან ვერც აწმყოში ვართ თავისუფალი. „მე ვარ და ჩენი ნაბადით“ ძალზე ძნელია რაიმეს მიღწევა როგორც პირად ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ბიბლია აფრთხილებს ბოროტმზარხველთ, ბოროტმოქმედთ, რომ ისინი სძულს უფალს, ამიტომ მათ უნდა მოიცილონ უსჯულო საქმიანობანი, უგნურება, სიცრუე, მოსისხლეობა და მზაკვრული ზრახვები: „მოიძულენ შენ ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი, წარწყმიდე შენ ყოველნი, რომელნი იტყვიან სიცრუესა, კაცი მოსისხლე და მზაკუარი სძაგს უფალსა“ (ფს. 5, 7). ბოროტმოქმედი გაურბის დღის სინათლეს და სიბნელისკენ მიილტვის, რათა იქ მოპოვებული თავშესაფრით დაფაროს თავისი ბინძური და უკეთური ქმედებანი: „რამეთუ ყოველი, რომელი ბოროტსა იქმს, ჰსძულს მას ნათელი და არა მოვალს ნათელსა, რათა არა ემხილნენ საქმენი მისნი“ (ი. 1, 20). ბიბლიური შეგონებით მოყვარე მტერს უნდა ვერიდოთ, ვინაიდან მისგან ბოროტების მეტს სხვა ხეირს ვერ მივიღებთ: „ნუ მტერ-მოყუარე ექმნები კაცსა ამაოსა, ნუუკუე ბოროტი რაიმე გიყოს შენ, ნუ მოიგებ კაცთა ბოროტთა მაყუედრებლად“ (იგ. სოლ. 3, 30). ადამიანის საბრძოლო მოქმედების პროგრამა ერთ მთავარ მიზანს უნდა ემსახურებოდეს — ბოროტებას სძლიოს, დათრგუნოს იგი სიკეთის ქმედებით: „ნუ იძლევი ბოროტისაგან, არამედ ჰსძლიე კეთილითა მით ბოროტსა მას“ (რომ. 12, 21). „ვეფხისტყაოსანი“ ხომ ბოროტზე კეთილის გამარჯვებას ზეიმობს: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

[113] ქილილა და დამანა, გვ. 645.

ბიბლიის თანახმად, ყველაზე უფრო საშიშია ქალის მიერ გამომჟღავნებული ბოროტება, რომელსაც ვერცერთი უკეთურება ვერ გაუტოლდება: „მცირე არს ყოველი სიბოროტე წინააღმდეგ სიბოროტესა დედაკაცისასა“ (ზირ. 16, 12). როგორც ძნელად წარმოსადგენია (ან ღიმილის მომგვრელი) საყურეებიანი ღორი, ისე უმსგავსო შთაბეჭდილებას ქმნის სახე — ბოროტი დედაკაცის სიკეთე: „ვითარცა საყური ყელსა ღორისასა — დედაკაცსა სახე-ბოროტსა — სიკეთე“ (იგ. სოლ. 11, 22). ბოროტ დედაკაცთან სიახლოვეს უნდა უფრთხილდეს ადამიანი, ვინაიდან მას ფათერაკი აღარ ასცდება, ამიტომ მისგან თავი უნდა დავიცვათ მუდამ: „შეიკრძალე თავი შენი დედაკაცისა უცხოსაგან და ბოროტისა, რაჯამს სიტყვითა საცთურსა შთაგთხევდეს“ (იგ. სოლ. 7, 5). კაცი უნდა ერიდოს ბოროტი სიტყვის თქმას: „სიტყუასა ბოროტსა ნუ წარმოიღებ პირით შენით, რამეთუ ვენახმან ეკალი არა გამოიღოს“.[114] ე. ი. კეთილ ადამიანს პირიდან არ უნდა დასცდეს ავი, ძვირი სიტყვა. ის უნდა მოქმედებდეს იმ პრინციპით, რომ ვენახი არასოდეს ეკალს არ გამოისხამს. რუსთაველიც გვარიგებს: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“. ბოროტისგან ბოროტმეტყველების გარდა რას უნდა მოველოდეთ, ხოლო კეთილისაგან ავი სიტყვის მბობა წარმოუდგენლად უნდა გვესახებოდეს: ბოროტნი გულსიტყვაობანი წარმოიშვებიან ოდენ მზაკვართაგან: „ვითარცა-იგი ვინ გუელი და ღრიაკალი შთაკრიბის ჭურჭელსა რასმე და ზედა დაჰკრძალით და და-რაი-ყოვნის მას შინა, დაწყუდის, ეგრეცა გულის-სიტყუანი ბოროტნი. რომელნი ეშმაკთა მიერ აღმოცენდებიან“.[115] არჩილი ბიბლიური ზნეთ-წავლულების გათვალისწინებით გვმოძღვრავს, რომ „იფქლსა ვეროდეს შეიკრებს, ვის ღვარძლი დაუთესია“.[116] ან კიდევ: „ძვირის მოქმედთა ძვირივე ბოროტად მოინადირებს“.[117]

ბიბლია ათეულობით საუკუნეთა მანძილზე ადამიანს შთააგონებდა ქველმოქმედებას, სიკეთისკენ სწრაფვას, მისთვის ბრძოლას, ბოროტული ზრახვების დათრგუნვას. ადამიანებს ერთმანეთის სიყვარულისკენ მოუწოდებდა: „განეშორენით ბოროტსა და შეეყუენით კეთილსა, ძმათ-მოყუარებითა ურთიერთას მოწყალე მოსურნე იყუენით; პატივის-ცემასა ერთი ერთსა უსწრობდით“ (რომ. 12, 9-10). ბიბლია დღესაც სწორუპოვრად გვარიგებს: „ისწაელეთ კეთილისა ქმნაი, გამოიძიეთ მშჯავრი, იხსენით მიმძლავრებული, უსაჯეთ ობოლსა და განამართლეთ ქერეი“ (ეს. 1, 17). ადამიანს თუ რამე იხსნის და გადაარჩენს, მხოლოდ და მხოლოდ ზრახვანი კეთილნი: „ზრახვამან კეთილმან

[114] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, გვ. 157.
[115] იქვე, გვ. 105.
[116] ქართული ბოგზია, ტ. III, გვ. 541.
[117] იქვე, გვ. 540.

დაგიცვას შენ და გონებამან წმიდამან დაგმარხოს შენ“ (იგ. სოლ. 2, 11). კაცს სულის მკურნალია კეთილი სიტყვა: „გოლი თაფლისაი სიტყუანი კეთილნი. ხოლო სიტკბოებაი შისი — სმენაი და კურნებაი სულისაი“ (იგ. სოლ. 16, 24). მუდამ კეთილს უნდა ვბაძავდეთ, კეთილი საქმიანობისთვის გარჯა არ უნდა გვეზარებოდეს: „კეთილ-არს ბაძვა კეთილისათვის მარადის“ (გალ. 4, 18), „ძმანო, ნუ გეწყინების კეთილის-ყოფად“ (II თეს. 3, 13). ადამიანის სიცოცხლეს ახანგრძლივებს სიკეთის ქმედება, კეთილად ცხოვრება, ხოლო კეთილი სახელის მოპოვებით ადამის ძე უკვდავების გვირგვინს დაიდგამს: „კეთილ ცხოვრება ჩიცხუნი დღეთანი და კეთილი სახელი უკუნისამდე დაადგრების“ (ზირ. 14, 21). „ვეფხისტყაოსანიც“ გვასწავლის: „მაგრა თქმულა: „კარგის ქმნელი კაცი ბოლოდ არ წახდების“.

მკითხველს შესაძლოა ერთი შეხედვით პარადოქსულად მოეჩვენოს ასეთი ბიბლიური მოწოდება: „ნუ მიაგებთ ბოროტსა ბოროტისა წილ, ნუცა გინებასა გინებისა წილ, არამედ წინაალმდგომსა აკურთხევდით“ (I ეპ. პ. 3, 9). ბოტანილი საილუსტრაციო მასალა აშკარა გამოხატულებაა ბიბლიურ-ქრისტიანული ჰუმანიზმისა. ბიბლიური ზნეთსწავლულებით, ბოროტებასთან ბოროტების დაპირისპირება მისივე არსთან დაბრუნებაა. უკეთურების, ბოროტმყოფლობის დონემდე დაშვებაა, ამიტომ გონიერი ადამიანი უნდა ეცადოს ბოროტების დათრგუნვას სიკეთის ქმედების საფუძველზე. ბოროტს უნდა დავუპირისპიროთ სიკეთე. ვინაიდან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქრისტიანული წარმოდგენით, ბოროტება არის სიკეთის ნაკლი, მისი დამახინჯება. ეს იმას გულისხმობს, რომ არსებობს ერთადერთი საწყისი — სიკეთე. ბოროტების საწყისობის პრობლემა მოხსნილია. ამდენად, ბოროტების ზეიმი სიკეთეზე შეუძლებელიცაა და წარმოუდგენელიც. რუსთაველის თქმისა არ იყოს, სიკეთის არსება გრძელია და მარადიული.

„შური სიკუდილი არს“

შური, მოშურნეობა ერთ-ერთი წინაპირობაა ბოროტმოქმედებისა. შურით დატენილი სულიერი სამყარო კაცისა მას ბოროტებისკენ უბიძგებს, შურის აზვავება აბოროტებს ადამიანს. დიდი ფილოსოფოსის, პლატონის აზრით, „შური შეჭირვებაი არს ცუდი“.[118] ეპიკურე გვარიგებს, რომ ადამიანს არავისი არაფერი არ უნდა შურდეს, კარგი პიროვნებანი არ იმსახურებენ შურს: „არავისი არ უნდა გშურდეთ. კარგნი არ არიან შურის ღირსნი, ცუდნი (ე. ი. -ნოშურნენი) კი, რაც უფრო მეტად ბედნიერნი არიან, მით უფრო მეტ ვნებას

[118] სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი, გვ. 72.

აყენებენ თავის თავს".[119] გრიგოლ ნოსელის თანახმად, შურს აბოროტებს სხვისი სიკეთე: „შურისა ძნელბედობაი არს არა თავისი ბოროტი, არამედ სხვისა კეთილი, ხოლო კეთილად ბედკეთილობაი არს არა თავისი კეთილი, არამედ მოყუსისა ბოროტი".[120] საგულისხმო და ყურადსაღები ახსნა-განმარტება მოგვცა შურისა ნემესიოს ემესელმა, რომელიც ზედმიწევნით გამოხატავს შურის და აქედან გამომდინარე უზნეო, შურიანი კაცის მავნე თვისებებს: „მწუხარებისა გუარნი ოთხ: ჰმუნვარებაი, დამძიმებაი, შური, წყალობაი, შური — წუხილი სხვისა კეთილთა-ზედა. წყალობაი — მწუხარებაი უცხოისაი ჭირთა-ზედა, რამეთუ ყოველი წუხილი — ბოროტ თვისითა ბუნებითა".[121] ის ვინც ნემესიოს ემესელის ნაშრომს — „ბუნებისა-თვის კაცისა" არ იცნობს, აღნიშნულ შეხედულებას შურზე სულხან-საბა ორბელიანს მიაწერს. ეს არ არის შემთხვევითი. დიდი ლექსიკოგრაფი თავის „სიტყვის კონაში" ასე განმარტავს შურს: „შური არს მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა".[122] როგორც ვხედავთ, სულხან-საბამ თავისი კონცეფცია შურის შესახებ ნემესიოს ემესელის შემწეობით გადმოგვცა. სხვათა შორის, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შურის განმარტებისას მოხმობილია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონიდან" ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებული ადგილი.[123]

ახლა ბიბლიაში გადავინაცვლოთ. საღმრთო წერილი მრავალგზის ამხელს შურიანი კაცის ბუნებას, მის თვისებებს, ავკაცობის, შურიანობის შედეგად ჩადენილ ბოროტმოქმედებას. სამოთხეში მყოფი ადამისა და ევას ბედნიერ ცხოვრებაში სატანის მიერ მსახვრალი ხელის ჩაყოფა, რომელსაც შედეგად მოჰყვა პირველქმნილი ცოდვა, უთუოდ შურის შედეგად შეიძლება მოინათლოს. ეშმაკს შეშურდა პირველ ადამიანთა უნეტარესი ყოფა სამოთხეში. მართალია, დაბადების წიგნი პირდაპირ არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, რომ სატანამ შურიანობის ნიადაგზე შეაცდინა პირველი ადამიანები, მაგრამ ამ შეგნების ამოკითხვა თვით ბიბლიური ეპიზოდის ქვეტექსტიდანაა შესაძლებელი. ამაზე დაფუძნებულად ამხელს საღვთო სჯულის სწავლების ერთერთი სახელმძღვანელო წიგნიც: „ეშმაკს შეშურდა ადამის და ევას ნეტარება და მოინ-

---

[119] დემოკრიტე. ეპიკურე. ფრაგმენტები. წერილები, თარგმანი ბერძნულიდან, კომენტარები და ნარკვევი დემოკრიტესა და ეპიკურეს ფილოსოფიის შესახებ თ. კუკავასი, თბ., 1959. გვ. 223.

[120] სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი, გვ. 59.

[121] ნემესიოს ემესელი, ბუნებისა-თვის კაცისა, გვ. 106.

[122] სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა, ს. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1949. გვ. 420.

[123] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, პროფ. ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა ს საერთო რედაქციით, თბ., 1962, გვ. 1462.

დომა მათი შეცდენა".[124] ბიბლიის მიხედვით, დედამიწაზე პირველი დაღვრილი სისხლის ღაღადისი შურიანობის ნიადაგზე მოხდა. მოშურნეობის შედეგად ძმამ ძმის სისხლით დაისვარა ხელი. მკითხველს ალბათ გაახსენდა კაენის და აბელის ეპიზოდი დაბადების წიგნიდან. კაენს შეშურდა ძმის — აბელის ხვედრი. საქმე იმაშია, რომ ძმათა მიერ ღვთისადმი შეწირული მსხვერპლიდან უზენაესმა არსებამ აბელის მსხვერპლი შეიწყნარა და კაენისა კი უარყო. ამან კაენის სულში აღაზევა შური ძმისადმი, „შეწუხნა კაინ ფრიად, და შეიჭუვნა (ე. ი. დამწუხრდა) პირი მისი" (დაბ. 4, 5). ე. ი. კაენში იფეთქა შურმა, ანუ წუხილმა აბელის სიკეთესა ზედა. მან გაიტყუა უდანაშაულო ძმა მინდორზე და ვერაგულად გამოასალმა სიცოცხლეს. ამდენად, კაენს შურმა ჩაადენინა ბოროტება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ბოროტება უპირველესად სათავეს შურიდან იღებს. კაენის შური ძმისადმი ასე გამოხატა დავით გურამიშვილმა:

„შესწირა მსხვერპლი აბელმან ღვთის მოსაწონი, ქებული,
თავის სამწყსოში პირველი, რჩეული, გასუქებული.
შეიქმნა კაინ შურითა დამწვარ, გულ-ჩათუთქებული,
სიმწუხარისა ოფლისა დენითა თავ-ხვითქებული.
ღმერთმან უბრძანა: კაინ, რად შეიჭვნა შენი პირია?
გულის წყრომისა ოფლითა სველხარ, ჩამოგდის მწვირია".[125]

„დავითიანიდან" ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ დავით გურამიშვილი მძაფრ ფერებში გვიხატავს შურიანი კაენის (და აქედან გამომდინარე, საერთოდ, შურიანი კაცის) შინაგან სამყაროს, მის საშიშ, სახიფათო ბუნებას. რომელიც მზადაა სიცოცხლე წაართვას ძმას, რათა ამით სულიერი კმაყოფილება მოიპოვოს და დააწყნაროს გამძვინვარებული შური. კიდევ ერთ საინტერესო ბიბლიურ თქმულებას მივმართოთ. იაკობს თავისი თორმეტი შვილიდან გამორჩევით უყვარდა წყნარი და მორჩილი იოსები. ამან ძმებში აღაძრა შური, რაც იოსებისადმი სასტიკ სიძულვილში გადაიზარდა. შურით გაბოროტებულმა ძმებმა იოსები ეგვიპტისკენ მიმავალ ვაჭრებს მიჰყიდეს.

ბიბლია საჭირო რჩევა-დარიგებებს გვაძლევს, თუ როგორ უნდა ვუფრთხილდებოდეთ შურიან კაცს, მისგან შორს უნდა ვიჭერდეთ თავს. შურიან ადამიანთან სუფრა არ უნდა გავიყოთ, ნურმც მის საჭმელს დავხარბდებით, რადგან იგი ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს: „ნუ სჭამ კაცისა თანა მოშურნისა, ნუ გული გითქუამნ საჭმელთა მისთა" (იგ. სოლ. 23, 6). შურიანის ერთ-

[124] პირველ-დაწყებითი დარიგება საღვთო სჯულის სწავლებაზე, შემდგენელი ნესტორ უბანეიშვილი, ქუთაისი, 1915, გვ. 16.

[125] დავით გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 176.

ერთი მთავარი მისწრაფებათაგანი სიმდიდრის დარგოვნებაში გამოიხატება. მისი უბედურება კი იმაშია, რომ არ გრძნობს თუ ამით რამდენად რჩება იგი უმომავლოდ. შური და გაუმაძღრობა იმდენად უბნელებს თვალს, რომ ვეღარ ჰვრეტს, თუ როგორ კარგავს მომავალს. მას საბოლოოდ მოწყალე კაცი დაიმონებს: „იწრაფინ განმდიდრებად კაცი მოშურნე და არა უწყინ. რამეთუ კაცმან მოწყალემან დაიპყრას იგი“ (იგ. სოლ. 28, 21). თითოეულმა მოშურნემ ყურად უნდა იღოს და გაითვალისწინოს ბიბლიური შეგონება, რომ თავისი უმსგავსო თვისებით იმოკლებს (ისევდაც მოკლე) სიცოცხლის დღეებს: „შური და გულის წყრომა დაამცრობენ დღეთა“ (ზირ. 12,17). როგორც ძუნწის სიმდიდრეს დაკარგული აქვს ღირსება და შნო, ისე მოშურნის ქონებაც ამაოა, პატივაყრილია და უსარგებლო: „ძვირისა (ე. ი. ძუნწისა) არა შეინიერ არს სიმდიდრე და კაცისა მოშურნისა რა არს ქონება“ (ზირ. 14, 3). ბიბლიური ზნეთმოწყალეულებით, უგნურს რისხვა იმსხვერპლებს, ხოლო ცოდომელს შური მოულებს ბოლოს. მოკლავს და იმქვეყნად გაისტუმრებს: „რამეთუ უგნური იგი რისხვამან მოკლის, ხოლო შეცთომელი იგი მოაკუდინოს შურმ..ნ“ (იობ. 5. 2). შური ღრღნის, ხრავს და შამს ადამიანის სულს. სხეულს. განაცვლევინებს უსაშველ შინაგან ტანჯვას. მწუხარებას სხვისი ბედნიერებისა თუ სიკეთის გამო: „შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე“ (ი. 1. 17). ბიბლია გვასწავლის, რომ ადამიანები ერთმანეთის მოყვარულნი უნდა იყვნენ და არა მოშურნე. დაბეზღებით. მოშურნეობით. ამპარტავნობით ერთმანეთს შევუმოკლებთ ცხოვრების დღეებს. მუდამ უნდა გვახსოვდეს მთავარი რამ — ცას არაფინ შეაბერდება და ვიდრე ვარსებობთ ღიზიერად. ერთმანეთს. უნდა გავუწოდოთ ეხმარების ხელი. ერთმანეთი უნდა გავიტანოთ. ვაკეთოთ ის. რაც ჩვენს ცხოვრებას შინაარსიანს. აზრიანს და ბედნიერს გახდის. ყური მივაპყროთ ამ სიბრძნეს: „ნუმცა ვართ მზუალობარ (ამაყი გოროზი. ამპარტავანი).ერთიერთთას ბეზრალობელ. ერთიერთთას მოშურნი“ (გალ. 5 26). სამწუხაროდ. ძალზე ხშირად ვავიწყდება, რომ შური ჩვენს ცხოვრებაში ხდის ავადმყოფობას. შფოთიანს. წინააღმდეგობებით აღსავსეს. გადამტრეებს საშიშროებებს აახავებ. ყოველგვარ ბოროტმოქმედებას უყრის საფუძველს. ამას ბევრი ჩვენგანი ყოველდღე ხედავს. ვრძნობს. განიცდის და მაინც შორის ტყვეობიდან ვერ ძერძმს თავის დაღწევა. ბიბლია არაორაზროვნად მსჯელობს იმაზე. რასაც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში საკუთარი ცხოვრებითა და თვალით ვაწყდებით: „ს

ინტერესს იწვევს ერთ-ერთი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულება — „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“. აქ ავტორი მოშურნე ადამიანებს მოუწოდებს, რათა განუდგნენ ისინი შურს, დათრგუნონ ეს მავნე სულიერი სენი, შეიგნონ, რომ შური სიკვდილის მომტანია, სხვა უპირატესობა მას არ გააჩნია. სიცოცხლის შესანარჩუნებლად, სიკვდილის არტახებიდან თავის დასაღწევად შურს მტრობა უნდა გამოუცხადონ, ვინაიდან შური — ეს არის სიკვდილის სიყვარული. გონების დამთრგუნველი: „მოშურნენო, განეყენე (ე. ი. განუდექი) შურსა, შური სიკუდილი არს, ეელტოდე მისგან, რაითა არა მოკუდე, ნუ შურობ წარმატებულთა სათნოებათა და აღიარე, ვითარმედ მოშურნე ხარ, ქებულ არს შური — სიყუარული იგი სიკუდილისათვის...[126] „იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „აღეტყინა შური მის ზედა და უფროის შესძინებდეს მიზიდვად მათდა სამწყოსთა მოძულენი იგი“.[127] ე. ი. იოვანეს ზედა მაშინ „აღეტყინა (აენთო) შური“, როდესაც მან ამხილა დიდ-დიდნი და მთავარნი. ამდენად, გამოდის, რომ ყოველ მამხილებელს და მართლის მთქმელს შური და ხიფათი აღარ ასცდება. დასახელებული თხზულება აფრთხილებს მოშურნეებს რომ მათ ღმერთი ვერ შეიყვარებს, გამოუცხადებს უნდობლობას და სიძულვილს: „ღმერთსა სძულს ყოველი მოშურნე“.[128] საკვლევ ბით სიმართლიანად წერდა თავის დროზე მეფე-პოეტი არჩილი, რომ ვისაც მოყვრის სიკეთე შურს, იგი ამით თავის თავს მოუტანს უბედურებას: „კაცი მოყვრისა მოშურნე მისგან თავს უფრო ივნებსა“.[129]

„ამპარტავნებაი დედაი არს უგუნურებისა“

ადამიანის მახინჯი, მიუღებელი თვისებებიდან შურთან ერთად საფათერაკოა ამპარტავნება და კადნიერება. სულხან-საბას განმარტებით, „ამპარტავნება ეს არს თვისის ნაქმარის მამწონებელი და უმსგავსო დიდების მოყუარე, გულ მაღალი და სწავლის მოთაკილე“.[130] „იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“ კონკრეტულად. ღრმაშინაარსიანად, ღრმააზროვნად არის ნათქვამი ამპარტავნების შესახებ, როგორც უგუნურების სათავეზე, უგნურების წარმომშობ მი-

[126] ძველები, I, გვ. 216.

[127] „იოვანე ოქროპირის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი და მისი თავისებურებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო რ. გ ვ ა რ ა მ ი ა მ, თბ., 1986, გვ. 60.

[128] იქვე.

[129] ქართული პოეზია, III. გვ. 546.

[130] ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, სიტყვის კონა, გვ. 26.

ზეზზე: „ამპარტავნებაი დედაი არს უგუნურებისაი".[131] ფსალმუნთა წიგნის თანახმად, ვინც მოყვარეზე ძვირს იტყვის, ვისაც მისი დაფასების უნარი არ გააჩნია, იმითაა დაკავებული, რომ იგი ცუდად დაახასიათოს და დღემუდამ აგინებდეს, ამის შესაძლებლობა ოდენ ამპარტავანს აქვს: „რომელი იტყვიან იდუმალ მოყურისა თვისისა ძვირსა, ესე წარსვდევნო. რომელი ამპარტავან იყო თუალთა, უძღებ გულითა, მის თანა არა ვჭამო" (ფს. 100, 5). ყველა ადამიანმა უნდა ირწმუნოს ბოლომდე, რომ ამპარტავნობა, ისევე როგორც სიმდიდრით განდიდება, წარმავალია. იგი წახდება, როგორც აჩრდილი და როგორც ამბავი მსრბოლი. ვნახოთ, რა შთამბეჭდავად არის ეს აზრი ჩამოყალიბებული ერთ-ერთ ბიბლიურ წიგნში: „რაი სარგებელ გვეყო ჩუენ ამპარტავნება და სიმდიდრე დიდებითა რაი მოგუეგო ჩვენ. წარხდეს ყოველნი იგი ვითარცა აჩრდილი და ვითარცა ამბავი მსრბოლი. ვითარცა ნავი განმავალი წყალსა მღელვარესა, რომლისა განსლვასა არა არს კუალი პოვნილად. არცა გზასა სლვისა მისისა ღელვასა შინა, ანუ ვითარცა მფრინველნი მფრინავი ჰაერსა ზედა, არცა ერთი იპოების სასწაული გზისა" (სიბ. სოლ. 5.9). ამპარტავნება წარწყმედისა და შფოთის მომტანია: „რამეთუ ამპარტავნებით არს წარწყმედა და შფოთი მრავალი და უხმარებითა დაკლება და [illegible] დიდი. რამეთუ უხმარება არს დედა სიყმილისა" (ტობ. 4, 14). ისო ზირაქის წიგნში ვკითხულობთ: „სამი სახილავი მოიძულა სულმან ჩემმან და ფრიად ჩემდა საძაგელ ცხოვრება მათი. **გლახაკი ამპარტავანი**, მდიდარი მტყუარი, და მოხუცებული მემრუეშე, მოკლებული გონებითა" (სირ. 16. 3).

ამპარტავნებასთან ერთად კადნიერებაც დამღუპველია კაცისათვის. იგი სათავეა ვნებათა და ბოროტებისა. ვნებათა შორის ყველაზე უბოროტესად კადნიერება გამოიყურება: „არარაი არს ბოროტეს ვნებათა შორის. ვითარ კადნიერებაი (მოურიდებლობა, თავხიდობა). რამეთუ მშობელ არს ყოველთა ბოროტთაი და ვნებათა".[132] ეს შეგონება საშუალებას აძლევს ადამიანს, ჩაიხედოს თავის თავში, გააკონტროლოს თავისი საქციელი. სძულდეს კადნიერებასა თვისსა და ამით მოიპოვოს შინაგანი სიმშვიდე. ყურად იღოს ბრძენკაცის რჩევა-ღარიგება, რომ კადნიერება დიდი ზიანისა და შფოთის მომტანია ადამიანისათვის. ასეთი პროვნება ცუდ სამსახურს გაუწევს არა ოდენ საკუთარ თავს. არამედ თვით საზოგადოებისთვისაც იგი მავნებელი და სახიფათოა ისევე, როგორც შურიანი და ამპარტავანი. შურიანობა, ამპარტავნობა, კადნიერება კი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, ბოროტმოქმედებისკენ უბიძგებს კაცს. ამიტომ ასეთი თვისებების მატარებელ ადამიანთა წინააღმდეგ არა მარტო ბრძოლაა საჭირო, არამედ თავდანვე (სიყრმიდანვე) მათი აღზრდა და განვ-

[131] „იოვანე ოქროპირის ცხოვრების" ძველი თარგმანი და მისი თავსებურებანი. გვ. 4.
[132] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, გვ. 111.

წმენდა ამ მავნე სენთაგან. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სწორედ ბიბლიურ ზნეთსწავლულებას. ბიბლიურ შეგონებათა გარდა, ამ სიბრძნის წიგნში წარმოჩენილია ამპარტავანთა და კადნიერთა ყოფა-ცხოვრება. ნაჩვენებია მათი ფათერაკიანი თავგადასავლები, რაც მათივე მავნე თვისებებითაა განპირობებული. შუა საუკუნეების ნოველების ერთ-ერთი ავტორი კადნიერებას ამსგავსებს ლერწმოვანებში გაჩაღებულ ცეცხლს: „კადნიერებაი და სიცილი მსგავს არს ცეცხლსა მგზებარესა ლერწმოანსა შინა“.[133] აღსანიშნავია, რომ დავით გურამიშვილი ქვეყნის წახდენის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ამპარტავნობას და შურს მიიჩნევდა: „შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა. **ამპარტავნობა** და **შური**, ურცხვად გატეხა პირისა“.

„მოუვარე ვეცხლისა ვერ განძღეს...“

ბოროტმოქმედების გამომწვევი მიზეზი სხვადასხვაგვარია, მათგან რამდენიმეს ზემოთ შევეხეთ: ცოდვის ჩადენა. შურიანობა, კადნიერება. ამპარტავნობა, უგნურება. გულისწყრომა („რამეთუ გულისწყრომა წიაღთა შინა უგუნურთასა განისვენებს“. ეკლ. 7, 10). ჩამოთვლილ მიზეზთაგან ანტიკური ხანის ფილოსოფოსნი. ხოლო მოგვიანებით ახალი აღთქმის ერთ-ერთი ავტორი შექრთამეობას. ანუ ვერცხლისმოყვარეობას ყოველგვარი ბოროტების საფუძვლად თვლიან: „ძირი ყოველთა ბოროტთაი — ვეცხლისმოყუარება“.[134] „ძირი არს ყოველთა ბოროტთა ვეცხლის-მოყვარება“ (I ტიმ. 6, 10). ფილოსოფოსი დიოგენი თავის ნააზრევში სათანადო ყურადღებას უთმობს ოქროსმოყვარეობის. სიმდიდრით გატაცების. ქონების დაგროვებისკენ ლტოლვის ჟინით აღძრულ ვნებებს. მისი საგულისხმო დაკვირვებით თუ ქადაგებით. უმჯობესია არაფრის მქონე იყო და ტკბილი ძილი. მშვიდი ცხოვრება გქონდეს. შიშის გრძნობისგან თავისუფალი დრო აწისრიგებდეს შენს ყოველდღიურ საქმიანობას. ვიდრე ოქრო-ვერცხლის. სიმდიდრის. აუწონელი ქონების შენახვის და ღაცვის გამო შიშით კვდებოდე. მოსვენებას კარგავდე. სიცოცხლის დღეებს იმოკლებდე: „უმჯობეს არს ქვათა ჯოდილთა ზედა წოლა და უშიშობა. ვიდრე ოქროისა ცხედრისა (ე. ი. ტახტისა) და შიში“.[135]

ბიბლიამ თვალნათლივ დაგვანახა. თუ რა ბოროტება შეიძლება მოყვეს შედეგად ვერცხლისმოყვარეობას. რომლის მსხვერპლი გახდა თვით იესო

[133] იქვე. გვ. 123.
[134] სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი, გვ, 29.
[135] სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი. გვ. 64.

ქრისტე. როდესაც ებრაელთა მღვდელმთავრებმა და მწიგნობრებმა გადაწყვიტეს მაცხოვრის სიკვდილით დასჯა, მათ დახმარება აღუთქვა იუდა ისკარიოტელმა (ქრისტეს ერთ-ერთმა მოციქულმა). ოღონდ მან ამისთვის გასამრჯელო (სასყიდელი) მოითხოვა. მღვდელმთავრებმა 30 ვერცხლი შეაძლიეს. სწორედ 30 ვერცხლს დახარბებულმა მოციქულმა ჩაუგდო ხელთ მღვდელმთავრებს და ფარისეველებს თავისი მოძღვარი. ამას კი შედეგად მოჰყვა მაცხოვრის ჯვარცმა, ხოლო იუდას მხრიდან — თავის ჩამოხრჩობა. ამ ტრაგიკული ეპიზოდის ჩვენებით სახარების ავტორმა გააფრთხილა ყველა მექრთამე, რათა შეიძულონ ვერცხლისმოყვარეობა და ამით აიცდინონ ყოველ წუთს მოსალოდნელი ფათერაკები. იუდა ისკარიოტელის ცხოვრების დასასრულის აღწერით (თვითმკვლელობა) მოციქული შთაგვაგონებს, რომ მექრთამეობით, ვერცხლისმოყვარეობით ადამიანის გატაცებას საიმედო ფინალი არ უწერია, გარდა ფიზიკური და ზნეობრივი მარცხისა.

ბიბლია უკრძალავს ადამის ძეს ქრთამის მიღებას, ვინაიდან იგი თვალსა და გონებას უხშობს კაცს, აბოროტებს „სიტყუათა მართალთა“, მექრთამის გამართლება დაუშვებელია. ისევე უნდა გავურბოდეთ ვერცხლისმოყვარეობას, როგორც ცრუმეტყველთა და უღმრთოთა: „ყოვლისა სიტყვისა ცრუისა განეშორო, უბრალო და მართალი არა მოაკუდინო და უღმრთოი არა განამართლო ქრთამისათჳს და ქრთამი არა მიიღო, რამეთუ ქრთამი დააბრმობს თუალთა მხედველთასა და განაბოროტებს სიტყუათა მართალთა“ (გამოს. 23, 7-8). სოლომონ წინასწარმეტყველი უდარებს რა ერთმანეთს ღარიბს და მდიდარს, მათ საქციელს და მოქმედებას, გამოაქვს დასკვნა, რომ გზა, რომელსაც მიუყვება გლახაკი, არის სწორი, უცოდველი, გულწრფელი. ამ გზით სიარული სასურველია და უმჯობესი, ვიდრე მდიდრის გულარძნილობა, მზაკვრობა, ცბიერება, გაუმაძღრობა და გულისხმიერებისთვის ზურგის შექცევა: „უმჯობეს არს გრახაკი (ღარიბი, ღატაკი), რომელი ვალს სიწრფოებასა (უცოდველობა, ერთგულება, გულწრფელობა) თვისსა, ვიდრეღა მდიდარი გულარძნილი (მზაკვარი, ცბიერი) ბაგეთა თვისითა და უგულისხმიერო“ (იგ. სოლ. 19, 1). სოლომონ ბრძენის თანახმად, ქრთამის მოძულე ცხონდეს, ე. ი. იხსნას, გადაარჩინოს თავისი თავი უბედურებისაგან, მოსალოდნელი ფათერაკისა და ბოროტებისაგან. ხოლო ქრთამის მიმღებმა კი წარწყმედა მოიმკოს შედეგად: „წარიწყმიდოს თავი, რომელმან მიიღოს ქრთამი, ხოლო რომელსა სძულდეს ქრთამი — იგი ცხონდეს“ (იგ. სოლ. 15, 27). იგავთა წიგნში დაწყეველილია მექრთამის გზა, ვინაიდან ქრთამის აღების საფუძველი სიცრუეა და გულარძნილობა, ეს არის სიმართლის გზის დათრგუნვა: „რომელი მიიღებდეს ქრთამსა წიაღთა სიცრუვით, არა წარემართნენ მას გზანი. რამეთუ გარდაჰგულარძნის გზანი სიმართლისანი“ (იგ. სოლ. 17, 23). ამავე წიგნში აღ-ეთ ბრძნულ

აზრს ვეცნობით: „არს ოქროი სიღრმე უფსკრულთა, ხოლო ჭურ პატიოსან არიან ბაგენი მეცნიერნი“ (იგ. სოლ. 20, 15). ქრთამის მიმღები ბიბლიაში ბევრგან არის დაწყევლილი. აი, ერთ-ერთი ფრაზა ამ სიბრძნის საგანძურიდან: „წყეულ იყავნ, რომელმან მიიღოს ქრთამი მოკვლად სულისა მართლისა“ (II სჯ 27. 25). ე. ი. ამ ფრაზაში მექრთამეობა დასახულია სულის მოკვლად, ანუ ზნეობრივ და მორალურ დეგრადაციად, სწორედ ამიტომაა იგი წყევლის ობიექტად ქცეული. ამავე წიგნში გატარებულია ჯანსაღი აზრი იმის შესახებ, რომ ქრთამი ბრძენსაც კი უბრმავებს თვალებს და გონებას უხშობს. უმრუდებს სიმართლის გზას, ამიტომ უნდა განუდგეს ადამიანი ვერცხლისმოყვარეობას და ამის საფუძველზე იაროს სიმართლის გზით, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი განსაცდელს ვერ ასცდება: „ნუცა მიიღებნ ქრთამსა, რამეთუ ძღუენმან და ქრთამმან დაუყვნის თუალნი ბრძენთანი და გარდააქცინის სიმართლისანი. სიმართლით სამართალსა შეუდექით, რათა სცხონდეთ“ (II, სჯ, 16, 19). ბიბლიური შეგონებით. ქრთამი ბილწია და წყეული, იგი სახლში არ უნდა შეიტანოს კაცმა. რათა არ წაბილწოს ოჯახი, ქრთამი საძაგელია და მახის დამრეცყმელი. ეს უნდა გაითვალისწინოს ყოველმა ადამიანმა, დათრგუნოს თავის თავში ოქროთი და ვერცხლით გამდიდრების წადილი: „ნუ გული — გითქუამ ოქროსა და ვერცხლსა მათსა ნუ მოიღებ თავისა შენისა, რათა არა საცთური გეყოს შენ ივი. რამეთუ საძაგელ არს შეიღო იგი სახლად შენდა, რამეთუ ბილწ არს, რათა არა მისთანა წყეულ იყოს, დამხობით დაამხუნე ივინი და განშორებით განიშორო ივი, რამეთუ წყეულ არს ივი ბილწ“ (II სჯ. 7, 25-26). უმჯობესია მცირე ქონება გქონდეს და იკმარო იგი. ვიდრე მდიდარი იყო და ძილი ღვიძილად გექცეს მასზე ფიქრითა და ჯავრით: „უკეთუ მცირედი გაქუნდეს. მცირედისაებრ ჰყოფდი, ნუ გეშინინ ყოფად მოწყალებისა“ (ტობ. 4.9). ან კიდევ: „ნაყოფისაგან შენისა ჰყოფდი ყოველსა საქმესა და ნო ანებებენ თუალნი შენნი. ოდესღა ჰყოფდე მოწყალებათა“ (ტობ. 4. 7). „ყმა ვიყავნ. რომელი-ივი გაქონდის“ (ებრ. 13, 5). იობის წიგნი მიქრთამითა სახლის ცეცხლში მიცემის მოსურნეა: „რამეთუ საწამებელი ლომრთოლა სიკოდილი არს, ხოლო ცეცხლმან დაწუნეს სახლნი მოქრთამეთანი“ (იობ. 15, 34).

ოქრო და სიმდიდრე არა მხოლოდ რიგით ადამიანს. არამედ თვით მეფეებსაც კი ააცდენს გზათა სავალთა: „მრავალნი წარსწყმიდნა ოქრომან ოა გულნი მეფეთანი მიდრეკნა“ (ზირ. 8. 4). თითოეულმა ჩვენთაგანმა ღმჯობესია ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობისთვის იზრუნოს და არა ოქროს მოპოვებისათვის. რადგან ქრთამით გატაცება თვით შეგვყრის სენსა და მოსურჩენელ ავადმყოფობას. ივი ჩვენივე სიცოცხლის გამამწარებელი იქნება და არა სარგებლობისა ოა სიკეთის მომტანი: „სიმართლე და ძლიერება უმჯობეს არს ყოველსა ოქროსა“ (ზირ. 12. 15). ვერცხლისმოყვარეობით დაავადებულმა,

ჯამდიდრების მოწადინემ უნდა შეიგნოს ის გარემოება, რომ ამით განსაცდელში ნებით იგდებს თავს, შეეყრება საფრთხეს, მოიმკის მავნებლობას, უცნაურ გულისთქმათა ტყვე გახდება, ემუქრება მოსრვა და წარწყმენდა: „რომელთა ჰნებავს სიმდიდრე, შეჰცვივან განსაცდელსა და საფრთხესა და გულისთქმათა მრავალთა უცნაურთა და მავნებელთა, რომელთა დანთქიან კაცნი მოსასრეველად და წარსაწყმედელად“ (I ტიმ. 6, 9).

ბიბლიური ზნეთსწავლულების საფუძველზე ოქროთი და ვერცხლით ყველაფერს იყიდის ადამიანი, მას ფულის განივთება და საჭირო საგანთა თუ ძვირფასეულობათა შეძენა არ გაუჭირდება. ერთადერთი ძალა, რომლის წინაშე ფულიც, ოქროც, ვერცხლიც თავის ფუნქციას და ფასს კარგავს, სადაც ქრთამი არ სჭრის, არის ღვთაება. ღვთის ნიჭისა და მადლის მოპოვება ფულით შეუძლებელია. ამ მხრივ საინტერესოა ერთი ეპიზოდი წიგნიდან „საქმე მოციქულთა“. გრძნეულმა სვიმონმა სულისწმიდის მოსაპოვებლად ქრთამი გაიღო, ვერცხლი შეაძლია პეტრე მოციქულს. ამ საქციელით გაბრაზებულმა პეტრემ სვიმონს რისხვით პირში მიახალა შემდეგი სიტყვები: „ვეცხლი იგე შენი შენთანავე იყავნ წარსაწყმედელად შენდა; რამეთუ ნიჭსა მას ღუთისასა ჰგონიერ ფასით მოპოვებად“ (მოც. 8, 20). ალბათ „აბოს მარტვილობის“ მკითხველს გაახსენდა თხზულების მთავარი პერსონაჟის სიტყვები: „ოქროი და ვეცხლი შენი შენ თანავე იყავნ წარსაწყმედელად თავისა შენის. მე პატივსა კაცთაგან არა ვიძიებ, რამეთუ მაქუს მე ნიჭი ქრისტესმიერი. ბოროტვინი ცხოვრებისა და უხრწნელებისა და პატივი საუკუნოი ცათა შინა“.[316] „ბალავარიანი“ გვასწავლის, რომ ვინც ამ ქვეყნად სიმდიდრესაა დახარბებული და მისი შოვნით გართული, შეიძენს ქონებას, ოქრო-ვერცხლს, მაგრამ იგი სულით, გონებით ლატაკად დარჩება და ვერ გაძღება: „რომელნი ეძიებს აქა სიმდიდრესა, მდიდარ თუ იყვნენ, ღატაკნი არიან გონებითა და ვერ განძღებიან“.[137]

ოქროს ყოვლისშემძლეობის შესახებ რუსთაველი წერდა:

„ნახე, თუ ოქრო რასა იქმ. კვერთხი ეშმაკთა ძირისა“.

„ვეფხისტყაოსანი“ გვასწავლის, რომ ოქრო-ვერცხლისმოყვარეობით ადამიანი დიდ ზიანს აყენებს სულსა და ხორცს, იგი სიხარბის მსხვერპლი ხდება:

„ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა.
დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქმნევს კბილთა ღრჭენასა:

---

[136] ძეგლები, I, გვ. 65.

[137] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შემდგენელი ს. ყუბანეიშვილი, თბ., 1946, გვ. 291.

შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა,
კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა".

მოწოდებასავით გაისმის დღესაც არჩილის სიტყვები:

„კაცს უნდა სძულდეს საფასე სხვის ქრთამად შემოძლეული".[138]

დავით გურამიშვილი გულისტკივილით მოთქვამდა იმის გამო, რომ ქრთამს სასულიერო ფენაშიც ჰქონდა გზა გაკაფული. იგი მღვდლებს მუხლმოყრილ ევედრება:

„ღვთის ნაწყალობევს ნუ დანაყვედრებ;
მკვდრისა პატრონსა სიკვდილის დროსა
ბევრს ნუ შეუკვეთთ სამარხს-სამკვდროსა.
ცოცხალი რომე პატარად ვღირდი,
მკვდარს რად მედების მე ფასი დიდი?

პოეტი აღშფოთებას ვერ ფარავს შინაგანად, მაგრამ გარეგნულად თითქოს მუდარის ხმით მღვდლებს ეუბნება, რომ სიკვდილის შემდეგ იგი, სამარცხვინოდ მათდა, ძვირად არ გაყიდონ:

„მღვდელო, შენს მადლსა, ძვირად ნუ მყიდი, —
რაც მოგითვალონ, მას მითვლიდი".[139]

ვერცხლისმოყვარეობა, ქრთამითა და სიმდიდრით გატაცება თავისთავად იწვევს ადამიანში გაუმაძღრობის ყინის გამძაფრებას, რაც განსაცდელში აგდებს მას. უფსკრულისაკენ მიმავალ გზას გაუყენებს. „იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში" გვაფრთხილებს: „ნეტარ გიყუარნ, ძმანო უფროის ღმრთისა, ვერცხლისმოყუარენი და სიმდიდრე განბაძრეთ, შეებასა და უძღებებასა, ჭამადსა ნუ თავს-იდებთ თქუენ, რამეთუ შეიბისა და საშმილისაგან იშვა ურჩებაი იგი ადამისი, რომელი ნაშობთა მისთა ზედა დადგრომილ არს. ამან გამოხადა იგი სამოთხისა მისგან საშეებელთაისა".[140] ამდენად, როგორც ვნახეთ, თხზულების ავტორი ადამიანს ურჩევს, რომ ღვთის სიყვარულზე მაღლა ვერცხლისმოყვარეობას ნე დააყენებს. ღვთის ტრფიალს არაფერი შეედრება. მასზე უფრო არაფერი არ უნდა უყვარდეს ადამის ძეს, მექრთამეობა და სიმდიდრე

---

[138] ქართული პოეზია. III. გვ. 551.
[139] დავით გურამიშვილი, დავითიანი, გვ. 269.
[140] ეგზეგეტი. I. გვ. 203.

უნდა შევურაცხყოთ, ნუ დავემორჩილებით გაუმაძღრობის ყინსა და საჭმელს, ვინაიდან სწორედ განცხრომამ, ფუფუნებამ და საჭმელმა დაბადა ბიბლიური ადამის ურჩება, რომელიც მის შთამომავლებშიცაა დასადგურებული. ამან დაატოვებინა განდევნის საფუძველზე ადამს სამოთხე. მოტანილ ფრაზაში საინტერესოა ერთი მომენტი. ადამს აკრძალული ხილის მირთმევისაკენ უბიძგა ოურმე „შუებამ და უძღებებამ". მაშასადამე, პირველქმნილი ცოდვის საფუძველი ადამიანის გაუმაძღარი ბუნებაა და მეტი არაფერი. საინტერესოა, რომ მეფე-პოეტი არჩილი თავის ვრცელ ლექსში — „გაბაასება კაცისა და სოფლისა" — პირველქმნილ ცოდვაზე მსჯელობისას ადანაშაულებს ადამიანის გაუმაძღარ ბუნებას.

გაუმაძღრობა სასტიკად არის დაგმობილი ბიბლიაში. გავეცნოთ ზოგიერთ აფორისტულ გამოთქმას საკითხთან დაკავშირებით. „უძღები კაცი შჯინ ცუდად" (იგ. სოლ. 28, 25). ვერცხლისმოყვარე გაუმაძღარია, ვინც ვერცხლს შეიყვარებს და სიმდიდრეს, უნდა ახსოვდეს, რომ ესეც ამაოებაა: „მოყვარე ვეცხლისა ვერ განძღეს ვეცხლითა და ვინ შეიყვარა სიმრავლესა შინა მათთა ნაყოფი. ესეცა ამაოება" (ეკლეს. 5, 9). როგორც თვალი ხედვით ვერ გაძღება და ყური სმენით ვეღარ აღივსება, ისე ქონებას დახარბებული სიმდიდრით ვერ გაძღება. გამძღარი კაცი ივიწყებს თავის შემოქმედ ღმერთს: „ჭამა იაკობ, განძღა და შეჰზრიობდა (ე. ი. განიწიხლებოდა) საყუარელი იგი, განსუქნა, განსხუა, განიშუა, დაუტევა ღმერთი შემოქმედი თვისი" (II სჯ. 32. 15). უძღებ კაცს კიდევ ერთი უბედური სენი სჭირს — სიმაძღრის ჟამს ავიწყდება ის პერიოდი თავისი ცხოვრებისა, როცა შიმშილი აწუხებდა, გამდიდრებისას აღარ ახსოვს ადრინდელი სიღარიბე და უპოვარება: „მოიხსენე ჟამი სიყმილისა (შიმშილისა) ჟამსა შინა სიმაძღრისასა. სიგლახაკე და უპოვარება დღესა შინა სიმდიდრისა".

გაუმაძღრობას უნდა დაუპირისპირდეს ზომიერების გრძნობა, ვინაიდან „უზომოსა ნდომისა ჭურჭელსა საფლავთა მიწის მეტი ვერა აავსებს რა და ნდომისა და სიხარბის თუალს სიკუდილის ძაფის მეტი ვერა შეჰკერავს რა".[141] ზომიერების გრძნობის დაკარგვით კაცი საქმეს წაიხდენს, გაიფუჭებს: უზომოს ნდომა საქმესა წაახდენს, გააცუდებსა, ზომიერება საწუთროს ედემსა ზე დაუდებსა".[142] ვისაც აღმოაჩნდა უნარი გაუმაძღრობისგან, ზედეტი ჭამადისაგან მუცლის დაცვისა, მასვე ძალუძს ენის შეკავებაც ავსიტყვაობისაგან: „რომელმან დაიმჭიროს (ე. ი. დაიცვას) მუცელი თვისი, მანვე შეუძლოს დამჭირვაი ენისაცა თვისისაი".[413] ნაყოვანებას უნდა ებრძოლოს კაცმა: „დედაი

[141] ქილილა და დამანა, გვ. 256.

[142] იქვე. გვ. 373.

[143] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, გვ. 56.

სიძვისაი არს ნაყროვანებაი და ხორცთა, განსუენებაი".[144] ვინც ნაყროვანებას მოერევა და დაძლევს, მას ძალუძს ვნებათა დათრგუნვა: „რომელმან სძლიოს ნაყროვანებასა, უძლეოიეს ვნებათა".[145] გაუმაძღრობასთან, ნაყროვანებასთან ერთად ადამიანისათვის დამღუპველია სიხარბე: „სიხარბე იგი ღორთაი და ზუაობაი იგი ცხენთაი იქმნა დაწყებაი სილაღისაი კაცთა შორის".[146] „ვეფხისტყაოსანში" ვკითხულობთ:

„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
გული ქამ-ქამად ყოველთა ჭირთა მთმო, ლხინთა მდომელი".

არჩილი ასე ახასიათებს ხარბ კაცს: „ხარბის კაცის წესი არის, თვით არ მოსცემს, სხვისგან იძლევს".[147]

„ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვამე, ვინ მამიფონებსა?"

ზემოთ საკმაოდ ვილაპარაკეთ მექრთამეობის, ვერცხლისმოყვარეობის, გაუმაძღრობის, ნაყროვანებისა და სიხარბის გარშემო. საგულისხმოა, რომ ნაყროვანებას თუ გაუმაძღრობას ნეტარი ავგუსტინე ცოდვას ეძახის. იგი, როგორც მემკვიდრეობითი ცოდვის შვილი (ასე ეძახდა თავის თავს), ამბობს: „კაცი ვარ მე და ცოდვილი ამის გამო", ან კიდევ: „ამ განსაცდელსა შინა ვარ და ყოველდღიურად ვებრძვი ნაყროვანების ცოდვას". „დასაბამიდან ეშმაკი სცოდავს, — იტყვის ახალი აღთქმის ერთ-ერთი ავტორი, — ძე ღვთისა იმიტომ გამოცხადდა, რომ დაარღვიოს საქმენი ეშმაკისანი" (I კათ. ეპ. 3, 8). თუ დასაბამიდან ეშმაკი სცოდავს, მაშინ ეს ეშმაკი საიდან მოვიდა, როგორც ამას ავგუსტინე გაკვირვებით კითხულობს: „ვინ დამბადა მე? ვინ შემქმნა მე? განა არა ღმერთმა ჩემმა, ვინაც არა თუ კეთილია, არამედ თავად არის სიკეთე? მაშ, საიდანღაა, რატომღაა ჩემში ეს სურვილი ცუდისა და არნდომა კარგისა? ხოლო თუკი მიზეზი ამისა ეშმაკია, მაშინ თავად ეშმაკი საიდანღაა?.. (აღსარება, VII, 3, 5). რაც არ უნდა უტრიალო ამ კითხვისთვის პასუხის გასაცემ აზრს, მას ეპირველესად სწორედ ადამიანის თანდაყოლილ გაუმაძღარ ბუნებამდე მივყავართ, რამაც ჩაადენინა მას ე. წ. პირველქმნილი ცოდვა.

განარჩევენ ცოდვის რამდენიმე სახეს, რომელთა შორის უმთავრესია მემ-

[144] შუა საუკუნეების ეროვნების ძველი ქართული თარგმანები, I, გვ. 56.
[145] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანება, II, გვ. 118.
[146] შატბერდის კრებული, გვ. 99.
[147] ქართული პოეზია, III, გვ. 202.

კვიდრეობითი ცოდვა. ადამისა და ევას პირველი შეცოდების სენი მემკვიდ-
ეობით გადაეცა კაცთა მოდგმას. ამდენად, აღიარებული თეოლოგიური შე-
ხედულებით, ყველა ადამიანი ცოდვილი არსებაა. ძველი აღთქმის ტექსტები
კონკრეტულად გვეუბნება, რომ უცოდველი კაცი არ არსებობს: „რამეთუ
არავინ არს კაცი, რომელმან არა ცოდოს“ (II ნეშტ. 6. 36). „არა არს კაცი,
რომელმან არა ცოდოს“ (III მეფ. 8. 46). ძველი აღთქმის აპოკრიფების ქარ-
თულ ვერსიებში საინტერესოდაა შენიშნული, უფრო სწორად, აღდგენილია
სასტიკი საყვედური ადამის მიმართ, რომლის ცთომის გამო დაისაჯა საზოგა-
დოდ ყველა ადამიანი: „რაი გიქმნიეს ადამ? უკუთუმცა შენ შეცოდებულ ხარ,
არა ერთისა შენდა იქმენ დაცემა, არამედ ჩუენიცა, რომელი შენგან გამოვე-
დით“.[148] კიდევ ერთი საყურადღებო მაგალითს მოვიტანთ პირველქმნილ ცოდ-
ვაზე ავგუსტინეს მიერ გამოთქმული აზრიდან: „პირველქმნილი ცოდვა თავის
თავში შეიცავს: 1. მემკვიდრეობით დანაშაულს და, როგორც მის შედეგს —
მოკვდაობას. 2. ადამიანის სულის მოუწესრიგებლობასა და უძლურებას, რაც
გამოიხატება ა) ნებელობის უღონობაში, რომელსაც არ ძალუძს სიკეთის
ქმნა გადაწყვიტოს. ბ) ღმერთისა და სიკეთის უცნობლობაში და გ) მის აქტი-
ურ მისწრაფებაში ბოროტისაკენ“. უმთავრესი ქრისტიანული დოგმატიკა, რომ-
ლის მიხედვით ყოველი ადამიანი, როგორც ადამისა და ევას შთამომავალი,
ცოდვილია. წითელ ზოლად გასდევს ქართულ სასულიერო მწერლობას. საი-
დანაც სათანადო მაგალითების ამოკრეფა ამ შემთხვევაში აუცილებლობად არ
გვესახება. აღვნიშნავთ მხოლოდ ერთ მომენტს. დავით გურამიშვილის პოეზი-
აში თავს იჩენს მემკვიდრეობითი ცოდვა, რომლის მხილებას არაერთი სტრი-
ქონი თუ სტროფი ეთმობა. პოეტი ბიბლიური ძიგლების თუ სასულიერო
მწერლობის ნიმუშების კვალობაზე ღრმად და ამაზრზენად იაზრებს პირველ-
ქმნილი ცოდვის ტრაგიკულ აქტს და მის შედეგს როგორც კაცობრიობისათვის,
ისე ქართველი ხალხისათვის. გარდა მემკვიდრეობითი ცოდვისა, „დავითიან-
ში“ სხვა სახის ცოდვებთანაც გვიწევს შეხვედრა. დ. გურამიშვილი ცოდვი-
ლად თვლის თავს, ვინაიდან თავის ქვეყანას ფიზიკურ მემკვიდრეს ვერ უტო-
ვებს:

„მომხსენებელი არ მრჩების, მაშფოთებს, ეს მაღონებ'ა;
ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვამე, ვინ მამიფონებსა?“

ბოეტი ცოდვილს უწოდებს სხვათა განმაქიქებელთა, განმკითხველთა და
მძრახველთა: „ჭეშმარიტად ცოდვა უძღვის კაცსა კაცის განმკითხავსა“. „ქარ-

[148] ძველი აღთქმის აპოკრიფების ვერსიები, წ. I, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, წი-
ნასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქ უ რ ც ი კ ი ძ ე მ, თბ., 1970, გვ. 369.

თლის ჭირში“ ქურდობაც ცოდვადაა შერაცხილი. დავით გურამიშვილი ღვთისადმი დაცდენილ საყვედურს ცოდვად თვლის. ასევე, პოეტის თანახმად, თაიის სამკვიდროს, სამშობლოს მოშორებული კაცი ცოდვილია:

„სხვის ქვეყნად სამკვიდროს ქვეყნით გამოძებული,
დაკარგული ცოდვით, არ მადლით მოძებული“.

დავით გურამიშვილი ბიბლიური ათი მცნების დამთრგუნველს ცოდვილად მიიჩნევს: „გავსტეხე ათი მცნება, მთლივ ვერ დავიმარხე, ცოდვასა შინა მოვკვდი. მიწად დავიმარხე“.

ბუნებრივად დაისმის კითხვა: სასულიერო მწერლობაში თუ „დავითიანში“ დასახელებული ((გნებავთ დაფიქსირებული) ცოდვის (ყოველგვარი ცოდვის) შემსუბუქება. ან მისგან გათავისუფლება რა გზითაა შესაძლებელი. საკითხის შესწავლა გვარწმუნებს, რომ ეს არის გზა ღვთისადმი ვედრებისა ცოდვათა მოსანანიებლად და მისატევებლად. ამას ისწავლება სახარებაც: „მომიტევენ ჩუენ ცოდუანი ჩუენნი, რამეთუ ჩუენცა მიუტევებთ ყოველთა თანამდებთა ჩუენთა და ნუ შემიყუანებთ ჩუენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩუენ ბოროტისაგან“ (ლ. 11. 4). ქრისტეს სისხლიც ხომ ადამიანთა ცოდვების მისატევებლად დაიღვარა. ქრისტეს სისხლი „მრავალთათვის დათხეული მისატევებლად ცოდუათა“ (მ. 26, 28). ამ თვალსაზრისით გადავხედოთ ქართულ სასულიერო მწერლობის ზოგიერთ ნიმუშს. ჯოჯიკი ასე მიმართავს შუშანიკს: „სძალო და მხევალო ქრისტესო, ითხოვე ღმრთისაგან. რაითა მომიტევნის მე მრავალნი შეცოდებანი“.[149] დავითი ლუკიანეს ეუბნება: „ვევედრნეთ ღმერთსა,... მოგვიტევნეს ღმერთმან აურაცხელნი ცოდვანი და ბრალნი ჩუენნი“ („დავით გარეჯელის ცხოვრება“).[150] გიორგი „პირსა ღმრთისასა პირის-პირ და მეოხ არს ჩვენთვის წინაშე მისსა შვილთა და მოწაფეთა თვისთათვის და ითხოვს მიტევებასა ცოდვათასა“ (გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“.[151] შიო „აწ მდგომარე წინაშე თუალთშეუდგამისა ნათლისა ევედრების სამარადისოდ მოტევებასა ცოდვათასა მთხოველი ჩუენთვის სამებისა ერთღმრთეებისა“ („შიო და ევაგრის ცხოვრება“). ცოდვათა მისატევებლად ღვთისადმი მუხლმოდრეკილი ვედრება ახალი ძალით წარმოჩნდა „დავითიანში“. ამას სპეციალურად იმიტომ გავხაზავთ, რომ პოეტის დროს განსაკუთრებით მთელი სიმწვავით დადგა საკითხი ღვთისადმი ერთგულების, ქრისტიანული მოძღვრების შედგარი დაცვისა. რაც სამშობლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა და

[149] ძეგლები, I, გვ. 26.
[150] ძეგლები, II, გვ. 193.
[151] ძეგლები, III, გვ. 170.

შაჰმადიანი მტრების გარემოცვისაგან ხსნა-გათავისუფლების სწორუპოვარ პირობად წარმოდგა. ასევე „დავითიანში“ ღვთისადმი ვედრების თემას განსაზღვრავდა „შუასაუკუნეობრიობა“, რაც მისი თხზულებების. განსაკუთრებით სასულიერო ხასიათის ძეგლების მასაზრდოებელი წყარო გახლდათ.

ქრისტიანულ მსოფლგაგებაში ერთ-ერთი ძირითადი ადგილი უჭირავს მორწმუნის არა მხოლოდ ვედრებას ღვთისადმი ცოდვათა შესანდობლად. არამედ უზენაესი არსების მხრივ მისთვის სინანულის გრძნობის სწავლებას: „ჰ. უფალო, შეგივრდები შენ ვედრებით, მასწავლე მე სინანული“ (იოანე ოქროპირი).[152]

ბიბლია სასტიკად გმობს ცოდვილ ადამიანს. იგი შთაგვაგონებს, რომ ცოდვის ქმნისგან შორს დავიჭიროთ თავი, ყოველმხრივ გავაანალიზოთ ჩვენი მოქმედება და ამით შევძლოთ ცოდვის თავიდან აცილება. ხოლო თუ ცოდვის საძაგელ და საზარელ შედეგს შეეგუებით, მაშინ ღირსნი ვართ ყოველგვარი უბედურებისა. ფსალმუნთა წიგნი მომხრეა ცოდვილთათვის გამოტანილი ასეთი სასჯელისა: „წვიმოს ცოდვილთა ზედა ცეცხლი და წუნწუბაი და სული ნიაღვარისა — ნაწილი სასუმელისა მათისა“ (ფს. 10,7). დავით წინასწარმეტყველი ბედნიერ და სანატრელ ადამიანს უწოდებს იმას, ვინც შორსაა უღმრთო ზრახვისაგან და ცოდვილთა გზით აღარ დადის. ე. ი. ფსალმუნთმგალობელი განადიდებს ღვთისნიერ და უცოდველ ადამის ძეს: „ნეტარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა უღმრთოთასა და გზასა ცოდვილთასა არა დადგა“ (ფს. 1, 1). ბიბლია გლახაკის შეურაცხმყოფელს შემცოდედ მიიჩნევს, ხოლო სანატრელად სახავს გლახაკთა შემწყნარებელს: „რომელი შეურაცხჰყოფდეს გლახაკსა, იგი ცოდავს, ხოლო რომელი სწყალობდეს გლახაკთა, იგი სანატრელ იყოს“ (იგ. სოლ. 14, 21). ბიბლიური მითითებით. როგორც უმწიფარი. მკვახე ხილის მჭამელს კბილები მოერღვევა, ისე შეუძლებელია კაცი თავისი ცოდვილი ბუნების გამო სიკვდილს გადაურჩეს. ეს საგულისხმო გაფრთხილებაა, რომელსაც ყოველი შემცოდე ადამიანი უნდა ითვალისწინებდეს: „არამედ კაცადი ცოდვასა შინა თვისსა მოკუდეს, ყოველი კაცი, კაწახის (უმწიფარი, მკვახე ხილი) მჭამელისანი მოლხუენ კბილნი“ (იერ. 31. 30). სიმართლის. მხილების მოწინააღმდეგე ცოდვის გზით მიდის: „მოძულე მხილებისა შეუდგეს ცოდვასა“ (ზირ. 12. 2). ბიბლია გვირჩევს, რომ ცოდვას არ უნდა დავემონოთ, მას ახლოს არ უნდა გავეკაროთ. ისო ზირაქის წიგნში ვკითხულობთ: „ვითარცა პირისაგან გუელისა, ივლტოდე ცოდვისაგან. რამეთუ უკეთუ მიეახლო მისა მიმართ. გიკბინოს შენ, კბილი ლომისა კბილნი მისნი“. ვისაც კეთილი საქმის გაკეთება შეუძლა და მისი განხორციელებისგან თავს იკა-

---

[152] მამათა სწავლანი, გვ. 63.

ვებს, ამით სცოდავს: „რომელმან იცოდეს კეთილისა საქმე და არა ჰქმნეს, ცოდუა არს მისსა“ (ეპ. იაკ. 4, 17). ან კიდევ: „ყოველი ცოდუა, რომელი ჰქმნეს კაცმან, გარეშე ხორცთა არს, ხოლო რომელი ისიძვიდეს, თვისთა მიმართ ხორცთა ჰსცოდავს“ (I კორ. 6, 18-19).

„გულისთქუმათა მოაკუდინიან მცონარი“

ბიბლიური მსოფლშეგრძნებით, ცოდვას არაერთი და ორი მშობელი ჰყავს. ცოდვის ერთ-ერთ მშობლად საღმრთო წერილი ასახელებს გულისთქმას. ადამიანი გამოიცდება მისივე გულისთქმის მიხედვით, გულისთქმა შობს ცოდვას, ცოდვა კი სიკვდილს. ამდენად, გულისთქმისთვის ანგარიშმიუცემლად მიმყოლი კაცი ფაქტიურად თავის წადილს კი არ იკმაყოფილებს, აოამედ სიკვდილისკენ იკაფვის გზას: „არამედ კაცად-კაცადი განიცდების თვისისაგან გულისთქმისა, მიიზიდავს და ჰსცთების. მერმე გულის-თქმა იგი მიუდგის და ჰშვის ცოდუაი და ცოდუაი იგი სრულ იქმნის და ჰშვის სიკუდილი“ (ეპ. იაკ. 1, 14-15). გულისთქმის მიმყოლი და მონა გამოირჩევა უმოქმედობით, უსაქმურობით, ცუდი საქციელით, მოცლილობით, ხოლო მხნეთა ხელები მოქმედებით, შრომით, მოღვაწეობით იმკიან სახელს: „გულისთქუმათა შინა არს ყოველი უქმი, ხოლო ხელნი მხნეთანი მოღუაწებათა შინა“ (იგ. სოლ. 13, 4). ნდომისთვის, გულისთქმისთვის მინდობა ზარმაცს სიკვდილის მახეში გაამბს, რადგან მას შრომა, საქმის კეთება ეზარება, არც სურს იმოქმედოს, თავისი ხელით რამე მოიმოღვაწოს: „გულისთქუმათა მოაკუდიან მცონარი (ე. ი. ზარმაცი), რამეთუ არა რაი უნებან ხელითა მისითა საქმედ“ (იგ. სოლ. 21, 25). სიკეთე და გულისთქმა ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს, გვქონდეს უნარი მათი ერთმანეთისაგან განსასხვავებლად. უკეთური დედაკაცისადმი დაქვემდებარებული წადილი ფათერაკს გვიმზადებს, რადგან მას ძალუძს პატიოსან მამაკაცთა სულის მონადირება: „შვილო, ნუ გარევინ სიკეთე გულისთქუმისა, ნუცა მოინადირებ თუალთაგან შენთა, ნუ შესცთები წამთა მისთა... რამეთუ დედაკაცმან უკეთურმან პატიოსანნი სულნი მამათანი მოინადირნის“ (იგ. სოლ. 6, 26).

ბიბლია მოგვიწოდებს ხორციელი გულისთქმისგან განშორებისკენ, მისი დათრგუნვისკენ, რათა ამით სულს მწუხარება არ მივანიჭოთ ჩვენივე ნებით: „განეშორენით გულის-თქმათაგან ხორციელთა, რომელნი ეწყუებიან (დამწუხრება) სულსა“ (I ეპ. პ. 2, 11). ხორციელი წადილისთვის გამოკიდება ბადებს სიძვას, მრუშობას, სიბილწეს, უწმინდურებას, მტრობას, შურს, ამპარტავნობას, შფოთს, კაცის მკვლელობას, გულ-წყრომას: „ხოლო ცხად არიან საქმე-

ნი ხორცთანი რომელ არიან: სიძვანი, მრუშობანი, არა-წმიდებანი, ბილწებანი, კერპთმსახურებანი, მწამლველობანი, მტერობანი, ხდომანი (ე. ი. წინააღმდეგობა, ცილობა, დავა, ბრძოლა, მტრობა), გულის წყრომანი, წვალებანი, შფოთებანი, შურნი, კაცის კლუანი, ლირწებანი (ე. ი. უწმინდურობა, ავხორცობა), მთვრალობანი, სიღოდანი" (ე. ი. უწესობა, სიბილწე) (გალ. 5, 19-21). ღრმა ფიქრების აღმძვრელია ბიბლიური შეგონება იმის თაობაზე, რომ ყველაფერი წარმავალია და მათ შორის პირველ რიგში ხორცთან წილნაყარი სიამოვნება. ზემოთ მოტანილ ბიბლიურ ფრაზაში გამოკვეთილად ჩანს ის უწმინდურება, სიბილწე და სიავე, რასაც ხორციელი მოთხოვნილებებისადმი დამონება იწვევს ადამის მოდგმაში. „გულის-თქმათაგან ხორციელთას" ამყოლთ უნდა ახსოვდეთ, რომ ხორცი ყვავილის მსგავსია, იგი ჭკნება და, ამდენად, წარმავალ არს. ამიტომ ვიდრე ხორცი ცოცხალია, იგი მისმა მფლობელმა წმინდად უნდა შეინახოს, ნაადრევად არ მოუღოს ბოლო, მოურჩენელ სენად არ შეჰყაროს მას სიბილწე, უკეთურება, შფოთი, უწმინდურება. ამას იგი მიაღწევს სულის ზრახვისთვის ყურის მიგდებით: „ყოველი ხორცი თივა და ყოველი დიდება კაცისა ვითარცა ყვავილი თივისა, გახმა თივა და ყვავილი დამოცვივა" (ეს. 13, 7). იგივე აზრი ზუსტად, სიტყვა-სიტყვით გამეორებულია ახალ აღთქმაში (შდრ. I ეპ. პ. 1, 24). ბიბლია გვასწავლის, რომ ხორცისთვის ზრუნვა ადამიანის მხრიდან იწვევს ღვთისადმი მტრობას, ვინაიდან მას აღარ შეუძლია „ჰსჯულსა მას ღუთისასა" დაემორჩილოს, ასევე ხორციელი მოთხოვნილებებისთვის ზრუნვა სიკვდილს უდრის, ხოლო თუ სურს კაცს მშვიდობიანი ცხოვრება მოიპოვოს, სულის სიკეთისთვის ზრუნვას უნდა შიჰყოს ხელი, რაც სიცოცხლეს და ღვთის სიყვარულს მოუტანს: „ზრახვა იგი ხორცითა სიკუდილი არს, ხოლო ზრახუა იგი სულისა ცხოვრება არს და მშვიდობა. რამეთუ ზრახუა იგი ხორცთა მტერობა არს ღუთისა. რამეთუ ჰსჯულსა მას ღუთისასა ვერ დაემორჩილების და ვერცა ძალუძს" (რომ. 8, 6-7). განხრწნადი ხორცი სულის დამამძიმებელია: „რამეთუ განხრწნადმან ხორცმან დამძიმოს სული, და შეესულიბის (დაბეცოს, გააოგნოს) მიწოანმან საყოფელმან გონება მრავალმზრახვალი" (სიბ. სოლ. 9, 15). ხორცის შვება და სილაღე სულის დაწვრილებას მოასწავებს და, პირიქით, ხორცის დაწვრილებით სული შვებას იხვეჭს: „რაიზომცა ხორცნი იშუებენ, სული დაწულილდების და რაიზომცა ხორცნი დაწულილდებინ, სული იშუებს".[153] ადამიანს ამ ქვეყანაზე ხორცზე უფრო დიდი მტერი არ ჰყავს, გულისთქმისთვის ხელ-ფეხის გახსნა, ხორციელი მისწრაფებებისათვის ზრუნვა დამღუპველია. ამიტომ საჭიროა დიდი სიფრთხილე და მორიდება, რათა ხორციელი ზრახვები დაითრგუნოს:

---

[153] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, გვ. 113.

„კრძალულებით (მორიდებით, სიფრთხილით) ვიდოდე ოდესვე და ხორცთ
შენთა დასცემდ რამეთუ მაგათსა უფროისი მტერი არა გივის შენ ცისა ქუ-
შე“.[154] ხორცის შვება, სილაღე და აღვირახსნილობა საწყისია ბოროტებ-
„დასაბამი ბოროტთაი არს ხორციელი განსუენებაი“.[155] ხორციელი ზრახვე-
ბის მოსპობით გზა დახშული აქვს ვნებიანობას: „მოაკუდინა სიმაღლე იგ-
ხორცთაი და დაფარა ქვიშასა შინა სიმდაბლისასა, ვინაი-იგი ვერ შეუძლებ-
აღმოცენებად საძოვარი ვნებათაი“.[156] გულისთქმის დათრგუნვა, ხორცის ზრ-
ხვების სულიერი მოთხოვნილებებისათვის დაქვემდებარება, წმიდა სულ-
ცხოვრება ადამიანს საშუალებას და გარანტს აძლევს ქრისტეს ქორწილში დ-
წრებისა, სასუფეველში დამკვიდრებისა და საუკუნო ცხოვრების მოპოვებ-
„იქმნენით წმინდაი ხორცითა, რაითა სულითა წმიდაიქმნნეთ და მხიარულ-
შეხვიდეთ ქორწილსა უფლისასა... და ნუ ჰგონებთ, თუმცა უჭირველად ცხ-
ვრებაი საუკუნოი ჰპოვეთ“.[157]

ადამიანის გულისთქმის, ნდომის, წადილის, ხორციელი ზრახვების დ-
ხასიათებაზე მსჯელობისას საჭიროდ მიგვაჩნია სპეციალური მოსაზრებ-
ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ დავით გურამიშვილის პოეზიაზე. კერძოდ, მხ-
დველობაში მაქვს მისი ლექსი — „საქონლის შეკრებისათვის“. პოეტის გ-
გებით, გულისთქმის, ნდობის ცნება შემდეგი შინაარსის დამტევია: ნდომ
ბნელს ნათლად აჩვენებს, ნათლად მხედველს კი დააბრმავებს, სხვის სწავლ-
მცნებას ახლოს არ გაიკარებს, ნდომა ჯაბანს გაამამაცებს. პოეტი გვაფრთხ-
ლებს, რომ გულისთქმის მიმყოლი ადამიანი სირცხვილნაჭამი დარჩება, წარ-
საწყმედელ საქმეს ჩაიდენს:

„ნდომა ბნელს ნათლად აჩვენებს, დანაბრმობს ნათლად მხედველსა:
ნდომა მხრდალს გაჰხდის მამაცად, შებედავს ძნელს საბედველსა;
ნდომა სხვის სწავლას მიიკრავს ეგრეთ, ვით ცერცვი კედელსა!
ნდომა მიიყვანს მიმყოლსა, შესარცხვენს, წარსაწყმედელსა“.[158]

გულისთქმა რყვნის კაცის სულიერ სამყაროს, ჰპირდება მას გამდიდრ-
ბას და სინამდვილეში კი სიღარიბეში აგდებს. ნდომის მიმნდობი — პატარ-
რამეს შოვნისას მადაგაღვიძებული, უფრო მეტს წაეპოტინება ხოლმე:

---

[154] შეა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, გვ. 109.
[155] იქვე, გვ. 169.
[156] ძეგლები, II, გვ. 12.
[157] ძეგლები, I, გვ. 226.
[158] დ ა ვ ი თ გ ურ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, გვ. 36.

„თუ კაცი ნდომას მიჰყვების, მიდღეში არ გამდიდრდება,
როცა პატარას იშოვნის, მერმე დიდს მაეკიდება“.[159]

სათანადო ციტატებს „დავითიანიდან“ იმიტომ მოვუხმეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ რა ამომწურავად აქვს პოეტს დახასიათებული გულისთქმა, ნდომა, წადილი და მისდამი მიდევნების მავნე შედეგი.

„მოწყალე კაცი სულგრძელ არს“

ბიბლია გვიქადაგებს, რომ ბოროტებას, სიცრუეს, ამპარტავნებას, კადნიერებას, მექრთამეობას, გულისთქმას, ნდომას უნდა დაუპირისპირდეს და მათზე გამარჯვება იზეიმოს სიკეთემ, სიმართლემ, თავმდაბლობამ, სულგრძელობამ, მოწყალებამ. იგავთა წიგნი განგვიმარტავს, რომ სულგრძელობის მშობელი არის მოწყალე ბუნება ადამიანისა: „მოწყალე კაცი სულგრძელ არს“ (იგ. სოლ. 19, 11). უწყალონი ხორცთა თვისთა განმხრწნელი და გადამგვარებელნი არიან, ხოლო მოწყალეთა თავიანთი სულისათვის სიკეთე მოაქვთ. ეს შეგონება უნდა ახსოვდეს ყველა ეპოქის ადამიანებს, ვინაიდან ამ თვისებიდან ეყრება შემდგომში საფუძველი ყოველგვარი სიკეთის გამოვლენას, ასევე მოკრძალებას, სიმდაბლეს, სულგრძელობას: „სულსა თვისსა კეთილი უყვის კაცმან მოწყალემან, ხოლო განხრწნის ხორცნი თვისნი უწყალომან“ (იგ. სოლ. 11, 17).

სიბრალული და მოწყალება ადამიანისა ადამიანისადმი უპირველესად გამოიხატება იმაში, თუ წაქცეულს ხელს შეაშველებ, ააყენებ, დავრდომილს ჭირს შეუმსუბუქებ, მწყურვალს წყალს მიაწოდებ, მშიერს დააპურებ, შიშველს შემოსავ და ა. შ. აი, რას ვვარჩევს ბიბლია: „პურისა შენისაგანი სცი მშიერსა და სამოსლისა შენისაგანი შიშველსა“ (ტობ. 4, 17). ან კიდევ: „დაუნეცვი (ე. ი. დაუფშვენი) მშიერსა პური შენი და გლახაკნი უსართულონი შეიყვანენ სახიდ შენდა, იხილო თუ შიშველი, შეჰმოსე და თვისთაგანი თესლისა შენისათა არა უგულებელს-ჰყო“ (ეს. 58. 7). აქვე შეუძლებელია არ გავიხსენოთ სულხან-საბა ორბელიანის ერთ-ერთი იგავი, რომლის თანახმად უწყალო, უსულგულო მდიდარი რა ავკაცურად მოექცა თავის მომყმარს: მაძღარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედა აყვედრიდა: რა ღორულად სჭამო“. იგავთა წიგნი გვასწავლის: „უმჯობეს არს კაცი, რომელი შეურაცხებასა შინა ჰმონებდეს თავსა თვისსა, ვიდრე რომელი ძატივსა ეძიე-

[159] იქვე. გვ. 36.

ბდეს თავისა თვისსა და ნაკლულევან იყოს პურითა“ (იგ. სოლ. 12, 9). ბიბ-ლიური ჰუმანიზმი და სულგრძელობა იმდენად შორს მიდის, რომ არღვევს საზღვრებს და ასეთ სიბრძნეს გვასიარებს: მოწყალებას უნდა ვიჩენდეთ არა მარტო მშიერი მოყვრის მიმართ, არამედ მშიერ და მწყურვალ მტერსაც უნ-და მივაწოდოთ საზრდო და სასმელი, რათა ამით იგი გონს მოეგოს, გააანა-ლიზოს მისივე მტრული ზრახვები, უარყოს იგი და გაჭირვების ჟამს მის ერთ-გულ თანამეგზამს სათანადო პატივი მიაგოს: „ჰშიოდეს თუ მტერსა შენსა, პური ეც მას, და ჰსწყუროდეს თუ, ასუ მას, რამეთუ ესე რა ჰყო, ნაკუერცხ-ალი ცეცხლისაი შეჰკრიბო თავსა მისსა“ (რომ. 12, 20). სხვისგან რამის სეს-ხებისას არც გულუხვობის გამოჩენაა საჭირო, მაგრამ მისი გადაუხდელობაც არ ეგების: „ნუ იქმნების ხელი შენი განმარტებულ სესხსა ზედა და მიცემად მომუჭულ“ (ზირ. 4, 17). მთავარია ის, რომ ნათესავებს ასესხებდე, ხოლო თვითონ კი არ სესხულობდე: „ავასხებდე შენ ნათესავთა მრავალთა, ხოლო შენ არა იკასხებდე“ (II სჯ. 28, 12). თუ გაგაჩნია იმის საშუალება, რომ ღარიბს, არაფრის მქონეს (თუნდაც ნაკლულევან ძმას) რაც აკლდეს, მას მის-ცემდე, ეს დიდი კეთილშობილებაა, მაგრამ ამ უზადო ადამიანურ სითბოს ღარსებას დაუკარგავს გულით შეწუხება, სინანული იმისა, თუ რატომ მივე-ცეო: „მიცემით მისცე მას („ნაკლულევან ძმას“), რავდენცა აკლდეს და არა შესწუხნე გულითა შენითა შემდგომად მიცემისა მის შენისა“ (II სჯ. 15, 10). სულგრძელობა უაღრესად კეთილი თვისებაა, მას ძალუძს სასჯელის ცეცხლის დაშრეტა, ხოლო უღვთო კი უფრო ააგიზგიზებს სასჯელის ალს: „სულგრძე-ლმან კაცმან დაშრიტოს სასჯელი, ხოლო უღმრთომან — აღაგზნის უფროის“ (იგ. სოლ. 15, 18). ან კიდევ: „კაცი გულმწყარალი განემზადების კვლად, ხო-ლო სულგრძელმან ყოფადიცა იგი დაამშვიდის“ (იგ. სოლ. 15, 17). კეთილ-შობილ და სულგრძელ კაცს კარგად აქვს შეგნებული ერთი სიბრძნე: ადამი-ანს ის სიკეთე უნდა უყო ყოველთვის, რაც შენ გინდა, რომ სხვამ გაგიკეთოს: „ყოველი რომელი გინდეს თქუენ, რათა გიყონ კაცთა, ეგრეცა, თქუენ ჰყავთ მითია მიმართ“ (მათე. 7. 12).ეს რჩევა-დარიგება მეორდება „ბალავარიანში“: „იყავ ყოველთა კაცთათვის ეგრეთ, ვითარცა შენ გნებავს ყოფაი მათი შენ-თვის, რამეთუ იგი არს მეგობარი კეთილი, რომელი არა ჭიქამან მოიკოს, არა-მედ გამოცდილებამან“.[160] ახლა „ქილილა და დამანაში“ ჩაეიხედოთ: „რას თავსა თვისსა უყოფდე. სხვათაცა ეგრე უყოფდე“.[161] „ბალავარიანი“ ასეც გვა-სწავლის: მიუწვდომელს ნუ ეპოტინები, ნურმც წასულ ამბავს ინანი და სხვას ნუ უზამ იმ ბოროტებას, რაც შენთვის აღარ გინდა ხოლმე: „აუწთომელსა

[160] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შემდგენელი ს. ყუბანეიშვილი, თბ., 1946, გვ. 304.

[161] ქილილა და დამანა, გვ. 316.

ნუ ეწუთები, გარდასრულსა ნუ ინანი და რომელი შენთვის არა გინდეს ბოროტი, სხუასა ნუ უზამ".[162] ბიბლიიდან მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს: „რომელი შენ გძულს, სხვასა ნუ ვის უყოფ. ღვინოსა მთვრალობით ნუ სუამ და ნუ იქცევინ შენ მთვრალობით ყოველთა შინა გზათა შენთა" (ტობ. 4, 16).

მოწყალე და სულგრძელ კაცს თავმდაბლობაც უხდება და ამშვენებს, რაც არ უნდა დიდი მიღწევები გქონდეს, მუდამ თავმდაბლურად უნდა იქცეოდე, თითქოსდა არც იმჩნევდე შენს სიდიდესა და სიდიადეს: „რაოდენცა დიდ იყო, ესოდენ დაიმდაბლე თავი თვისი" (იგ. სოლ. 16, 1). ამპარტავნობა, კადნიერება და ქედმაღლობა დამამცირებელია, მას სიკეთე და ხეირი არც ახლავს გვერდით, ხოლო თავმდაბლობა აამაღლებს ადამიანს: „რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, იგი ამაღლდეს" (მათე, 23, 12). ეს აზრი იგავთა წიგნში ასე ფიგურირებს: „უწინარეს სიმდაბლისა ამაღლდის გული კაცისა და უწინარეს დიდებისა დამდაბლდის" (იგ. სოლ. 18, 12). შენზე უმაღლესი და უძლიერესი არ უნდა განიკითხო და არც უდარესიც გამოეძიო: „უმაღლესობასა თავისა შენისასა ნუ ეძიებ და უძლიერესსა თავისად ნუ გამოეძიებ" (ზირ. 3, 14). ეს სიბრძნე შეუსისხლხორცებია იოანე საბანიძეს. იგი წერს: „უდარესსა შენსა ნუ გამოიძიებო და უძლიერესსა შენსა ნუ განიკითხავო".[163]

მოწყალება და სულგრძელობა უპირველესად ბრძენი კაცისთვის დამახასიათებელი თვისებებია, ხოლო ყოველგვარი სიბრძნის საფუძვლად ბრძენი ფილოსოფოსი პლატონი მოთმინებას მიიჩნევს: „ყოველგვარი სიბრძნის საფუძველია მოთმინება". ნებისმიერი ადამიანისთვის ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოსადეგ ბრძნულ აზრებს ვპოულობთ ახალი აღთქმის ფურცლებზე მოთმინებასთან დაკავშირებით, რაზეც ამჯერად ორიოდე სიტყვით გვსურს ყურადღებაზე შეჩერება. ჭირი აწრთობს ადამის მოდგმას, გამოუმუშავებს მას მოთმინების უნარს. მოთმინების საფუძველზე იგი იძენს გამოცდილებას, ეს უკანასკნელი კი იმედს, სასოებას მატებს. სასოებას ადამიანი სასახელო საქმემდე მიჰყავს: „ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინება გამოცდილებასა. ხოლო გამოცდილება სასოებასა, ხოლო სასოებამან არა არცხვინის, რამეთუ სიყუარული ღუთისა განფენილ არს, გულთა შინა ჩუენთა სულითა წმიდითა, რომელი იგი მოცემულ-არს ჩუენდა" (რომ. 5, 3-5). ეპისტოლეთა წიგნში ვკითხულობთ: „ხოლო მოთმინებასა მას საქმე სრული აქუნდინ, რათა იყუნეთ სრულ და ყოვლად ცოცხალ, და არა რაი ნაკლულევან" (ეპ. იაკ. 1, 4). სანატრელია კაცის ბუნება, რომელსაც აქვს ძალისხმევა ჭირის, განსაცდელის

---

[162] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 286.
[163] ძეგლები, I, გვ. 47.

დათმობისა, რასი საშუალებით გამოცდილებას მიიღებს, გამოცდილება კი ცხოვრების გვირგვინს მოაპოვებინებს. რაც ღმერთმა აღუთქვა მოყვრებს: „ნეტარ-არს კაცი, რომელმან დაუთმოს განსაცდელსა, რამეთუ გამოცდილ-იქმნეს და მოიღოს გვირგვინი ცხოვრებისაი, რომელი აღუთქუა ღმერთმან მოყუარეთა მისთა“ (ეპ. იაკ. 1, 12), სასოებასა გიხაროდენ, ჭირსა დაუთმობ-დით“ (რომ. 12, 12). გამოცდილების მშობელი, როგორც ზემოთაც ითქვა, მოთმინებაა. ამ უკანასკნელის უპირატესობა კი იმაში მდგომარეობს, რომ ჭირსა ღა განსაცდელს სიხარულაუ შეგაცვლევინებს და უბედურებისაგან გიხ-სნის: „ყოველივე სიხარულად შერაცხეთ, ძმანო ჩემნო, რაჟამს განსაცდელსა შეჰსცვიეთ პირად-პირადსა უწოდეთ, რამეთუ გამოცდილებამან მან სარწმ-ონებისა ღმერთისამან, შეჰქმნის მოთმინებაი“ (ეპ. იაკ. 1. 2-3).სწორედ ჭირ-ში ჩავარდნილს მართებს გონების სიფხიზლე, ძალთა მობილიზება, სიტუაცი-ის ყოველმხრივი გაანალიზება, მასში გარკვევის უჩვეულო უნარის მოხმობა. ყოველ წუთს უნდა გვახსოვდეს ბიბლიური მოწოდება: „უნჯი კეთილი დაი-უნჯო თავსა შენსა დღესა მას ჭირისასა“ (ტობ. 4, 10). ზემოთაც აღვნიშნეთ და კვლავაც გავიმეორებთ ბიბლიურ შთაგონებას, რომ კაცის ღირსების ერთ-ერთი განმსაზღვრელია გამოცდილების მიღება. როგორც ცეცხლის ალი, ანუ ბრძმედი გამოსცდის ოქროსა და ვერცხლს, ასევე კაცსაც — გამოცდილება. ვახტანგ მეექვსეს მოვუსმინოთ: „გამოსწმედს ბრძმედი ოქროსა და კაცსა გა-მოცდილება“.[164] ახლა საყურადღებოა მეფე-პოეტის წყაროებისკენ მიბრუნე-ბა. „ვითარცა გამოსცადნის ვეცხლი და ოქრო ბრძმედმან, ეგრეთვე იცნის ღმერთმან გულნი კაცთანი“ (იგ. 17, 3). ან კიდევ: „ცეცხლითა გამოიცადოს ოქრო, ეგრეთვე კაცი შერაცხილი სახუმილითა მით სიმდაბლისათა“ (ზირ. 1. 5).

„ᲫᲛᲣᲜᲕᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ ᲐᲬᲧᲔᲜᲡ ᲒᲣᲚᲡᲐ“

არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა ცხოვრების გზაზე, როცა მოწყალე, სულგრძელ, ქველმოქმედ კაცს თავისი კეთილშობილება არ უფასდება, სიკე-თის წილ სიავეს იმკის. ბუნებრივია, ეს მასში წუხილს, ჭმუნვას და სევდას აღძრავს. რუქას ნათქვამსაც ჭეშმარიტად შერაცხს და ვერც გაამტყუნებ: „არას კაცსა კარგის მოქმედებისათვის კარგი არ უქნია, მის ნაცვლად ავი მიუგიაო“. სედრაქი არ იზიარებს ამ აზრს: „კარგისათვის ავს ვინ უზამს კაც-სო“. მაგრამ რუქას დაკვირვებანიც ცხოვრებიდანაა აღებული და ამისი მომს-წრე ბევრი ჩვენგანიც ყოფილა. ე. ი. კაცს სიკეთე ბოროტებად უბრუნდება,

[164] ვ ა ხ ტ ა ნ გ მ ე ე ქ ვ ს ე. ლექსები და პოემები, გვ. 107.

ქველმოქმედება — ბოროტმოქმედებად. მართალია, ყოველივე ეს ალეგორიკურია და პარადოქსულიც. მაგრამ, სამწუხაროდ. ჭეშმარიტებაა და მას თვალებს ვერც მოუხუჭავ. ამით შეწუხებულ კეთილშობილ პიროვნებას სავსებით საშართლიანად აღმოხდება პირიდან ოხვრანარევი სიტყვები: რა ჭრელი ყოფილა და დაუნდობელი ეს ცხოვრებაო. ეს წუხილი, ეს სევდა მოუშუშებელია, ჭრილობაში ხელის ჩაყოფის ტოლფარდია. ამის შეგნებამ იერემია წინასწარმეტყველის გოდებამდე მიიყვანა გიორგი საკაძე, რაც ასე განგვაცდევინა „დიდმოურავიანის“ ავტორმა:

„ზოგთ ბაგრატოვანთ ასრე სჭირს, არ ახსომთ სამსახურია,
რაგინდ რომ ბევრი აამო, ბოლოს არ გიგდონ ყურია.
მაბეზღარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია“.

ვახტანგ მეექვსეც არაერთხელ ჩაუფიქრებია თვისტომთა, ნათესავთა, შოყვასთა ქვეგამხედველობას, უმადურობას:

„ყმაზი წამიხდა წყალობა, ცუდ რაცა სამსახურები,
ამხანაგებთან სიკეთე, სხვათაგან შისაშურები.
ძმათა და თვისთა მოყვრობა, რა ჩემგან მოსასურები!
განმაძეს ასე უბრალოდ, თვალთ ცრემლთა მონაწურები“.

მაგალითების მოჭარბება ძალზე შორს წაგვიყვანდა. ზოგადი დასკვნის გამოსატანად მარტო გიორგი საკაძისა და მეფე-პოეტის ვახტანგის მეუნვარება განა საკმარისი აღარ არის?

გარდა ამისა, ცხოვრება ადამიანს ათასგვარ წუხილს და ჭმუნვას აგემებს. სევდა სრულიად სხვადასხვაგვარია — მსოფლიო სევდა, პირადული სევდა, სოციალ-პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული კეშანი, ეროვნული ტკივილის საფუძველზე მოგვრილი სევდა და სხვ. ადამიანის მოვალეობა ამ სევდა-მწუხარების შინობაში ყოფნა კი არ არის, არამედ დათრგუნვა, დაძლევა მისი. კაცი უნდა მოერიოს ჭირს, მწუხარებას სულიერი ძალისხმევითა და შემართებით. თუ მოწყალენი, სულგრძელნი, ქველმოქმედნი ვართ და სანაცვლოდ სიყვარულს, სიავეს ვიმკით, ამან გული არ უნდა გაგვიტეხოს. საჭიროა ქრისტიანული მოთმინებისა და კაცთმოყვარეობის გამოჩენა — მხოლოდ კეთილმოქმედება, ქველმოქმედება უნდა იდგეს ჩვენი ცხოვრების ღოის წისრიგში, ვინაიდან სანთელსაკმეველი თავის გზას მაინც გაიკაფავს. მწუხარებისთვის ქვედისმოხრით უსათუოდ ცხოვრების ისედაც მოკლე დღეებს კიდევ უფრო შევიმოკლებთ.

ბიბლიური ზნეთსწავლულებით, როგორც სამოსელს ხრავს მღილი და

მატლი — ძელს, ისე ჭმუნვა კაცის გულს აზიანებს: „ვითარცა მღილი სამოსელსა შინა და მატლი ძელსა შინა, ეგრეთ ჭმუნვა კაცისა აწყენს გულსა“ (იგ. სოლ. 17. 13). გულის მჭუნვარება სულზეც მოქმედებს, სასტიკად შეაწუხებს მას, ამიტომ უნდა ვეცადოთ მწუხარებისგან გულის გათავისუფლებას, რაც თავისთავად მოაშორებს ჭმუნვისაგან გულის ხსნასაც: „გული კაცისა ჰჭმუნვარე შემაწუხებელ არს სულისა თვისისა, ხოლო ოდეს მხიარულ იქმნას, არა ზიარ იქმნას მტერობისა“ (იგ. სოლ. 14, 10). ბიბლია გვაფრთხილებს და საკუთარ სულში ღრმად ჩაგვახედებს იმის შესაგნებლად, რომ თუ მწუხარებას მივეცემით და გულს სიხარულს აღარ გავაკარებთ, ნაცვლად ამისა მოვიმკით ძვალთა ჩვენთა სიგამხმრეს: „გულმან მხიარულმან კეთილ და ბრწყინვალე ქმნის, ხოლო კაცისა მწუხარებისაგან ხმებიან ძუალნი“ (იგ. სოლ. 17, 22). მხიარული გულის პატრონს სახე-პირიც უცინის, მწუხარე კაცის სახეც დამწუხრებულია: „გულისა მხიარულისაგან პირიცა მხიარულ არნ, ხოლო რომელნი მწუხარებასა შინა არიედ. მათი პირიცა მწუხარე არნ“ (იგ. სოლ. 15, 13). ბიბლია შეგვახსენებს, რომ ამქვეყნად მუდმივი არაფერია — სიხარულს მწუხარება ცვლის და, პირიქით, მჭუნვარებას — ბედნიერება და სიამე. შესაბრალისია ის, ვისაც ეს სიბრძნე ავიწყდება: „მხიარულებასა თანა ჰყვიან მწუხარებანი და სიხარულსა შეუდგეს გლოვა“ (იგ. სოლ. 14, 13). ბიბლიური ზნეთსწავლულებით, კაცი კაცის წამალია. ჩვენი მთავარი ვალია დავრდომილს, მწუხარეს გავუწიოთ თანადგომა. შევუმსუბუქოთ ჭირი და მჭმუნვარება. სიხარულის გაზიარების ნიჭთან ერთად მწუხარეთათვის მხარში ამოდგომის უნარიც უნდა გვწყალობდეს: „გიხაროდენ მოხარულთა თანა და ჰსტიროდით მტირალთა თანა“ (რომ. 12. 15). მწუხარებას და ნიადაგ შეჭირვებას კაცი გულისწყრომამდე მიჰყავს. რაც მისდა უნებურად სიავეს ჩააფინებს. გულისწყრომა არ უხდება ადამიანს, აუნოებს მას, ამიტომ ყოველმხრივ უნდა ეცადოს მისგან განტვირთვას: „სული კურთხეული ყოველივე წრფელ, ხოლო კაცი გულმწყრალი არა შეენიერ“ (იგ. სოლ. 11, 25).

„...საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია“

უკვე ვისაუბრეთ ადამიანის მწუხარებაზე, მჭუნვარებაზე, კერძოდ, თუ რა მავნე ზეგავლენას ახდენს იგი ადამიანის სულზე, მის ცხოვრებაზე. ასევე მოვუხმეთ საკითხთან დაკავშირებით ბიბლიურ შეგონებებს. თანაც აღვნიშნეთ მჭმუნვარების აღმძვრელი მიზეზები. ადამიანის გულსა და სულში მწუხარების მშობელი უმთავრესი მიზეზი არის ე. წ. მსოფლიო სივდა, რომლითაც შეპყრობილნი არიან არა ერთი და ორი ეროვნების წარმომადგენელნი, არა-

მედ მსოფლიოს ყველა კუთხის მკვიდრნი. მსოფლიო სევდის გამომწვევი მიზეზი კი სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა და წუთისოფლის წარმავლობის განცდაა. საინტერესოა თუ რა ადგილი უჭირავს აღნიშნულ საკითხებს ბიბლიაში. მივმართოთ სათანადო საილუსტრაციო ნიმუშების ჩვენებას.

ბიბლიურ-ქრისტიანული მოძღვრებით სიკვდილის სათავე გახდა ადამის მიერ აკრძალული ხილით დანაყრება. ცოდვილი ადამი ასე დაწყევლა ღმერთმა: „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისაგან მოღებულ იქმენ, რამეთუ მიწაი ხარ და მიწადცა მიიქცე“ (დაბ. 3, 19). ამ კონცეფციის მიხედვით, სიკვდილი ადამიანს ღმერთმა კი არ დაუბედა, არამედ თვითონვე მოიმკო იგი თავისი უმსგავსო საქციელით, რაც უზენაესი არსების მცნებისადმი დაუმორჩილებლობამ განაპირობა. აქედან მოკიდებული ადამისა და ევას შთამომავალნი მწვავედ განიცდიან წუთისოფლის წარმავლობას. სიკვდილის შეცილობას. ეკ. როგორ აფასებს თავის მოკვდავ ბუნებას იობი: „შიშველ გამოვედ მუცლისაგან დედისა ჩემისა, შიშველივე მივიქცე მუნვე ქუეყანად...“ (იობ. 1. 21). იობი შერიგებულია სიკვდილის მმუსრველ ძალას. რომ ყოველი მოკვდავის სამუდამო ბინა სამარეა: „რამეთუ სიკუდილმან შემმუსროს მე, რამეთუ სახლ ყოვლისა მოკუდავისა მიწაი არს“ (იობ. 30. 23). იობი ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებას ნისლსა და აჩრდილს ადარებს: „განვიდა ჩემგან სასოება ვითარცა ქარი და ვითარცა ნისლი ცხოვრება ჩემი“ (იობ. 12, 15), „რამეთუ საწუთონი ვართ და არა ვიცით, რამეთუ აჩრდილ არს ქუეყანასა ზედა ცხოვრებაი ჩუენი“ (იობ. 8, 9). სიკვდილით დაცემის შემდეგ კაცი თითქოსდა იყო და არა იყო რა: „ხოლო კაცი ღა აღესრულა, წარსდგა, დაეცა და არღა რა იყოს“ (იობ. 14. 10). კაცის ცხოვრება ამ წუთისოფელში ისედაც მოკლეა და ისიც რისხვითაა აღსავსე, როგორც აყვავებული ვარდი თავისი ჟამის მოსვლისას დაცვივდება, ისე გაქრება ადამის მოდგმის ცხოვრება: „რამეთუ კაცი ნაშობი დედათაი, მცირედ ცხორებული და სავსე რისხვითა. გინა თუ ვითარცა ყუავილითა ყუავინ და დასცვივის. წარხდა, ვითარცა აჩრდილი“ (იობ. 14, 1-2). როგორც ვხედავთ, იობის წიგნში მრავალი საინტერესო შეხედულებაა გამოთქმული სიკვდილის რაობისა და წუთისოფლის წარმავლობის თაობაზე. ახლა კიდევ ერთ საგულისხმო ნიმუშს მოვუხმოთ დასახელებული წიგნიდან, სადაც ცხოვრება მალემსრბოლთან (შიკრიკთან) არის შედარებული. აქვე ნათქვანია, რომ ვითარცა ზღვაზე მრავალი ნავის კვალი ქრება უმალვე და ცაზე მფრინავი ორბის კვალი გამოუსახავია, ეგრეთ წამიერად იშლება და ქრება ადამიანის ცხოვრება: „ხოლო ცხოვრებაი ჩემი უმალეს არს მსრბოლისა, წარივლტოდეს და არა იხილეს, ანუ არს ნავისა კუალი გზისაი, ანუ თუ ორბისა მფრინვალისაი, რომელი ეძიებენ საჴმელსა“ (იობ. 25-25). ხორციელი კაცის ცხოვრებას ამაოე-

ბად რაცხს დავით ფსალმუნთმგალობელი: „რამეთუ ყოველითავე ამავო არს ყოველი კაცი ხორციელი“ (ფს. 38, 6). იობის წიგნის წაბაძვით დავით წინასწარმეტყველი ცხოვრების დღეებს აჩრდილად ნათლავს, ადარებს მას თივას, რომელსაც გახმობა ელის: „დღენი ჩემნი, ვითარცა აჩრდილი, წარხდეს, და მე ვითარცა თივაი განვხემ“ (ფს. 101, 12). ან კიდევ: „კაცი ამავოებასა მიემსგავსა და დღენი მისნი, ვითარცა აჩრდილნი, წარვლენ“ (ფს. 143, 4). ადამიანები ცხოვრების პერიოდში ერთმანეთს უნდა ედგნენ მხარში, ჭირვარამს უმსუბუქებდნენ, რათა ცოტათი მაინც გაიხანგრძლივონ ისედაც მოკლე და ამაო ცხოვრება: „მომეც ჩუენ შეწევნა ჭირსა, რამეთუ ამაო არს ცხოვრებაი კაცისა“ (ფს. 107, 13). ბიბლიაში მოთქმაა ჩართული იმის გამო, რომ კაცის ცხოვრება დღემოკლეა და მაშინაც კი მკმუნვარებაში უწევს ყოფნა: „მცირე არს და საჭმუნავ ცხოვრება ჩუენი“ (სიბ. სოლ. 3, 1). ცხოვრება შედარებულია ცაზე ღრუბლის კვალის გაქრობასთან: „წარვალნ ცხორება ჩუენი, ვითარცა კვალი ღრუბელთა“ (სიბ. სოლ. 2, 4). საყოველთაოდ ცნობილია ბიბლიური გოდება ამაოებათა შესახებ: „ამაოება ამაოთა, ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო“ (ეკლ. 1, 2), „ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს და ქუეყანა უკუნისამდე ჰგიეს“ (ეკლ. 1, 4). მკითხველს ალბათ გაახსენდა „ვეფხისტყაოსნის“ ასეთი სტრიქონი: „იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“. ცოდვილმა საგზლად სიკვდილი მოიმკო: „საგზალი ცოდვილისა სიკუდილი არს“ (რომ. 6, 23).

ზემო თრამდენიმე საილუსტრაციო მასალა მოვიტანეთ ძველი აღთქმიდან, სადაც ცხოვრების წარმავლობა შედარებულია აჩრდილთან, ნისლთან, ზღვაზე მავალი ნავის, ცაზე მფრინავი ორბის, ცას დაუფლებული ღრუბლის კვალთან და ა. შ. ახალი აღთქმაც მოტანილი მაგალითების წაბაძვით ამქვეყნიურ ცხოვრებას ადარებს კვამლს, რომელიც ცოტა ხანს ჩანს და განქარვება ელის: ვითარ არს ცხოვრება თქუენი? ვითარცა კუამლი ხართ, რომელი მცირედ ჟამ ჰსჩანან და მერმე განქარდის“ (ეპ. იაკ. 4, 14).

ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართულ ვერსიებიდან ამოვკრეფთ რამდენიმე მაგალითს: „მცირე არს და მწუხარე ცხოვრებაი ჩუენი“,[165] „და წარვალთ სოფლისა ამისგან ვითარცა მკალნი, და ცხოვრებაი ჩუენი, ვითარცა კუამლი“.[166]

სპეციალურმა დაკვირვებამ დაგვარწმუნა, რომ ცხოვრების, წუთისოფლის წარმავლობის პრობლემის გაცნობიერებისას ქართული სასულიერო და საერო მწერლობა, ასევე ხალხური შემოქმედება დიდადაა დავალებული ბიბლიური მსოფლშეგრძნებით, ბიბლიაში გატარებული აზრებით. ქვემოთ ოდენ

[165] ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, გვ. 188.

[166] იქვე, გვ. 335.

ზოგიერთი საილუსტრაციო მასალის მოტანით დავკმაყოფილდებით თქმულის ნათელსაყოფად. „შუშანიკის წამებაში“ ვკითხულობთ: „ესე ყოველი ცხოვრებაი, ვითარცა ყვავილი ველთაი წარმავალ-არს და დაუდგომელ...“[167] აქ აშკარად გამოსჩვივის ბიბლიური გავლენის კვალი (შდრ. იობ. 14, 1-2). „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“ წუხილით იმეორებს ბიბლიურ კონცეფციას, რომ ადამის მიერ ღვთის მცნების დაუცველობამ და შებღალვამ დაუბედა მის მოდგმას ეკლიანი ცხოვრება ამ ქვეყანაზე და ბოლოს — სიკვდილი: „უკეთუმცა სჯული იგი მარხვისაი დაემარხა (ადამს. ტ. მ.), არამცა მოცემულ იყო ჩუენდა ეკლოვანი ესე ქუეყანაი, არამცა სიკუდილი უფლებდა ჩუენ ზედა“.[168] „შიო და ევაგრეს ცხოვრება“ გვინმტკიცებს ბიბლიურ ჭეშმარიტებას, რომ ამქვეყნიური ყველაფერი წარმავალია და მხოლოდ მარადიულია საუკუნოი იგი: „უწყოდეთ, ძმანო ჩემნო, რამეთუ იქაი ესე ყოველი წარმავალ არს, ბოლო საუკუნოი წარუვალ“.[169] თხზულება გვირჩევს: ნუ გაგვიტაცებს ამქვეყნიური პატივი და დიდება, უნდა ვზრუნავდეთ მარადიული, საუკუნო პატივისა და დიდებისათვის: „განქარვებადისა წილ საწუთროისა და განსვენებისა საუკუნოი დიდებაი და განსუენებაი მიიღე“.[170] რადგანაც „ყოველი ნივთი ქუეყანიერნი ცვალებად და წარმავალ არიან“.[171] „ილარიონ ქართველის ცხოვრება“ ცხადად. გამჭვირვალედ გვეუბნება: „დიდებაი ესე ამის სოფლისაი მომატყუებელ არს საუკუნოისა მის შეურაცხებისა“.[172] ამქვეყნიურ დიდებას „ბალავარიანი“ არარაობად რაცხს, რომელიც აჩრდილივით და კვამლივით განქარვებადიაო: „არა რაი არს სოფლისა ამის დიდებაი, რამეთუ ვითარცა აჩრდილი წარმავალს და ვითარცა კუამლი განქარდების“.[173]

„ბალავარიანში“ სიკვდილ-სიცოცხლის, წუთისოფლის წარმავლობის პრობლემებთან დაკავშირებით უაღრესად საყურადღებო მოსაზრებები მოგვეპოვება. სადაც ბიბლიურ კონცეფციათა აშკარა ზეგავლენაც გამოსჩვივის, თუმცა მას ეს ხელს არ უშლის აღნიშნულ საკითხთა გაცნობიერებისას იყოს სრულიად ორიგინალური და თავ-სთავადი. ამ მხრივ სპეციალურად შევარჩევთ ერთ მომენტს თხზულებიდან, სადაც მოცემულია დიალოგი მეფის ძესა და ბალავარს შორის. დაწვრილებით შევჩერდეთ მასზე. იგავის მოკლე შინაარსი ასეთია: საწუთრო ჰგავს კაცს, რომელსაც ამრეზილი სპილო მისდევს და

---

[167] ძეგლები, I, გვ. 27.
[168] ძეგლები, გვ. 203.
[169] იქვე, გვ. 226.
[170] იქვე, გვ. 227.
[171] იქვე, გვ. 231.
[172] ძეგლები, II, გვ. 17.
[173] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გვ. 277.

საშინელ ჯურღმულში ამწყვდევს. კაცმა გამოსავალი პოვა აქვე ხის ხილვით. ხეზე ასვლისას მან დაინახა შავი და თეთრი თაგვი, რომლებიც ხის ძირს ჭრიდნენ. ხეზე ასულმა კაცმა ჯურღმულს ჩახედა და იხილა ვეშაპი, რომელსაც პირი დაეღო მისი შთანთქმის განზრახვით. კაცმა ზევით აიხედა, დაინახა ხის წვერიდან ჩამომავალი თაფლი და მისი ლოკვით გაერთო, რამაც გადააავიწყა განსაცდელში ყოფნა. ამასობაში თაგვებმა ხე უკვე მოჭრეს, დაცემული კაცი სპილომ აიტაცა და მიუგდო ვეშაპს. ამ იგავის დასასრულს ახსნილია, რომ ალეგორიულად სპილო არის სიკვდილის სახე, რომელიც ნიადაგ დასდევს კაცს, ხე — საწუთროა, თეთრი და შავი თაგვები — დღე და ღამეა, ხოლო თაფლი — საწუთროს სიტკბოება, ვეშაპი კაცის ჯოჯოხეთში შთანთქმელი ძალაა".[174] „ბალავარიანი" გვარწმუნებს, რომ ვინც სოფელი გამოსცადა, მანვე მყისვე იგრძნო მისი უსარგებლობა და წარმავლობა: „გამოსცადეს სოფელი ესე და პოვეს ყოველი ურგებად და წარმავლად".[175] სოფელი არვის შერჩება, მისი მუდმივი მკვიდრი არავინ იქნება, არცა ძლიერი და არცა უძლური, არცა დიდი და მცირე, არცა ბრძენი და სულელი: „არავინ დაადგრების მას (ე. ი. სოფელს — ტ. მ.) შინა, არცა დიდი და არცა მცირე, არცა ძლიერი და არცა უძლური, არცა ბრძენი და არცა სულელი".[176] კაცის ცხოვრება მსწრაფლ განქარვებადია, ვითარცა მტვერი და ნაცარი, ამიტომ ამაოა ხორცისთვის ზრუნვა: „არა რაი არს კაცი, გარნა მატლი და წუთხი, მტუერი და ნაცარი განქარვებადი მსწრაფლ, და ამისთვის არა ეზრუნავ ხორცთათვის".[177] საინტერესოა, რომ „ბალავარიანის" ავტორი სოფელს მეძავ ქალს ადარებს: „მეძავ არს სოფელი ესე და სიყუარულსა ერთისა თანა არა დაადგრების".[178] „ბალავარიანის" ეს მრავლისმთქმელი ფრაზა ასე გაუთავისებია ვახტანგ მეექვსეს:

„ეს სოფელია დიაცი სიძვისა მიმაყოლელი,
თავსა კეკლუცად გვაჩვენებს, ბოლო აქვს დასაქოლელი.
ხან შენს უბეთა მძინარი, ხან სხვასთან არის მწოლელი".[179]

აქვე შეუძლებელია არ გავიხსენოთ „ქილილა და დამანადან" ასეთი სტრიქონი:

„ურიცხვია ესე სოფელი, ვითა როსკიპი დედანი".[180]

---

[174] იქვე, გვ. 283.
[175] იქვე, გვ. 285.
[176] იქვე, გვ. 287.
[177] იქვე, გვ. 290.
[178] იქვე, გვ. 292.
[179] ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, გვ. 130.
[180] ქილილა და დამანა, გვ. 545.

წუთისოფლის საქმენი „იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში“ ობობას ქსელთანაა შედარებული: „საქმენი ამის სოფლისანი უმედგრეს არიან დედაზარდლისა ქსლისა“.[181] ამ ქვეყანაზე კაცის ცხოვრება განსაცდელია და მეტი არაფერი: „განსაცდელ არს ცხოვრებაი კაცისაი ქუეყანასა ზედა“.[182]

ჰიმნოგრაფს ღრმად აქვს შეგნებული სოფლის ზღვის მღელვარება ცოდვის ტალღებით და ქრისტესკენ მიილტვის, რათა მასთან ჰპოვოს ნავსაყუდელი. ეს განცდა დიდი პოეტური ძალისხმევით ასეა გამოხატული ერთ-ერთ ძლისპირნში: „სოფლისა ზღუაი აღძრულ არს ღელვათა ცოდვისათა და საშინელად დამთქამს მე და მოვილტვი შენდა ნავთსაყუდელისა“[183] (მიემართება ქრისტეს — ტ. მ.).

წუთისოფლის წარმავლობის განცდა მოუშუშებელ ტკივილად გასდევს ქართულ სასულიერო პოეზიას. ამ მხრივ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ერთ-ერთი ჰიმნი, სადაც ამომწურავად არის პასუხი გაცემული სოფლის რაობის შესახებ. უცნობი ოპიზარი მგოსნის თანახმად, ეს ცხოვრება წარმავალია, მშვენიერება და დიდება დაჭნობას ვერ გადაურჩება, სიმდიდრე ლპობადია და წარსაწყმენდი... რა უნდა გვაამპარტავნებდეს. როცა მოკვდავნი ვართ და სამარის ბინადარნი. მომავალი კაცისა მიწა, ნაცარი და თიხაქმნილებაა, რაც სიცოცხლეში გვავიწყდება და შურიანობით, ცილობით, კინკლაობით, ამპარტავნობით, მაბეზღრობით, ძვირის ხსენებით, ხორცთა გულისთქმისთვის მიდევნებით ვიმოკლებთ ცხოვრების დღეებს. უმჯობესია ჰიმნოგრაფს მოვუსმინოთ. „გალობანი სულისანი“ მთლიანად გადმოვიწერეთ:

„ცხორებაი ესე წარვალს და განილევის,
შუენიერებაი და დიდებაი დაჭკნების,
ხოლო სიმდიდრე დალპების და წარწყმდების,
რასა ცუდად ვმაღლოით. ოდეს ყოველნი
მოკუდაენი ვართ და მიწად მიქცევადნი!
მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავთა,
სადა არს შური, საოცრებაი და ხდომაი.
სადა არს ძვირის ხსენებაი და ზუაობაი
და ხორცთა გულის-თქუმანი, აჰა, ესერა
მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი“.[184]

---

181 „იოვანე ოქროპირის ცხოვრება“, გვ. 5.

182 შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, გვ. 111.

183 ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1971, გვ. 22.

184 ქართული პოეზია ჩვიდმეტ ტომად, ტ. I, შემდგენელი ს. ცაიშვილი, თბ., 1979,

ქართული ჰიმნოგრაფია (ორიგინალური, თარგმანი) სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემისა და წუთისოფლისი რაობის გაცნობიერებისას ბიბლიისგანაა დავალებული და ეს არცაა გასაკვირი. ამ ქვეყანაზე სიხარულსა და შვებას აჩრდილივით დაჰყვება მწუხარება, დიდებით ყოფნას ხანგრძლივი სიცოცხლე არ უწერია. ეს ყველაფერი აჩრდილზე უუძლურესია და სიზმარზე უფრო მაცდური, რადგან ერთ წამში ყველაფრის იავარმქმნელია სიკვდილი: „რომელი შუება სოფლისა დაადგრების თვინიერ მწუხარებისა, რომელი დიდებაი ჰგიეა ქუეყანასა ზედა შეუცვალებლად? ყოველივე აჩრდილისა უუძლურეს არს, ყოველივე სიზმრისა უმაცთურეს არს, ერთი წამი — და ამას ყოველსა სიკუდილი უჩინო ჰყოფს".[185] საკითხთან დაკავშირებით იოანე დამასკელის თხზულების ქართულ თარგმანში ბიბლიური სუნთქვა გვესმის: „გულის-ხმაი ვყოთ წუთი ესე ცხოვრებაი ჩუენი ყოველივე ესე იქმნა სიზმარ და აჩრდილ".[186]

ახლა ორიოდე ნიმუშს ამოვიწერთ „ვისრამიანიდან": „საწუთროისა საქმე და მუხთლობა დაუთვალავია; საწუთრო აარე ნასკუთა შეჰკრავს, რომელ ათაი ცნობა და გონება იყოს, ველარ გახსნის".[187] „საწუთროისა წესი და საქმე ესე არს, რომელ მისთა მოყუარეთა ემტერების".[188] იოანე პეტრიწი ბიბლიური კონცეფციის შუქზე გვმოძღვრავს, რომ „არარაი არს სოფელსა შინა მტკიცე, ყოველივე მაწრაფლ წარმავალ არს სრულიად: არცა სიმდიდრე, არცა სიგლახაკე და არცა დიდება! — აჩრდილი და სიზმარი".[189]

რუსთაველი „სოფლის საქმეს" ასე ახასიათებს: „დღეს საწუთრომან ლახვარსა მიმცა, დანასა მახია, აწყა ვცან. საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია".

წუთისოფლის რაობასთან დაკავშირებით საგულისხმო დაკვირვებები გვხვდება თეიმურაზ პირველის, არჩილის, ვახტანგ მეექვსის, დავით გურამიშვილი- და ალორძინების პერიოდის სხვა შემოქმედთა თხზულებებში, მაგრამ ეს მათზე სიტყვას ალარ გავაგრძელებთ.

„ზეიყუარო მოყუასი ზენი"

როგორც აღინიშნა, ბიბლიურ-ქრისტიანული კონცეფციის მიხედვით, ამქვეყნიერ სიკვდილის გაჩენის საფუძველთა საფუძველია ადამისა და ევას მიერ ღვთის მცნებათა უგულებელყოფა და პირველქმნილი ცოდვა. ამის შემდეგ

[185] ქართული პოეზია, I, გვ. 137.
[186] იქვე, გვ. 139.
[187] ვისრამიანი, გვ. 142.
[188] იქვე, გვ. 163.
[189] იოანე პეტრიწი. სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1968, გვ. 173.

ადამის მოდგმის დღის წესრიგში ადგილს იმკვიდრებს სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა, წუთისოფლის წარმავლობის განცდა. რით შეუძლია ადამის ძეს ამ არასასიამოვნო განცდის დათრგუნვა და სიცოცხლის დღეთა გახანგრძლივება? ეს უპირველესად შესაძლებელია ადამიანის მიერ ადამიანისადმი სიყვარულით, მოყვასისადმი სიყვარულისა და თავდადების შეგნებით. ბიბლია გულმოდგინეთ ქადაგებს ადამიანთა ერთმანეთისადმი სიყვარულს, დანდობას, ერთმანეთის გატანას, მოყვასის დაფასებასა და მისადმი ერთგულებას. ამ საკითხს წინამდებარე მოკრძალებული ნაშრომის დასაწყისშივე შევეხეთ ნაწილობრივ (იხ. „ვთქვა მიჯნურობა პირველი...“). ხშირად გაიგონებთ: ცხოვრება აუტანელია. მოუწყობელი, ვერაგი, ნერვიული, საშინელი და ა. შ. ეს აზრი არაა სწორი. ცხოვრებას სწორედ ჩვენ, ადამიანები, ვხდით საშინელს, გაუტანელს, ნერვიულს და მოუწყობელს, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში არა ვეწყობით ერთმანეთს, არ ვინდობთ, მხარში არ ვუდგავართ ერთურთს. ურთიერთსიყვარულის ნაცვლად შურით, კაბინიერებით, ამპარტავნობით, მაბეზღრობით, ავმზრახველობით, ბოროტმოქმედებით ვაქუცმაცებთ ვშლით ერთმანეთს ფიზიკურად, სულიერად, ვიდრე „მიწადვე მივიქცეოდეთ“. ბიბლიის ბრძენი ავტორები ნათლად ხედავდნენ და ღრმად გრძნობდნენ ამას. ისინი სწორედ ამიტომ ქადაგებდნენ: „საყუარელნო! ვიყუარებოდეთ ურთიერთს...“ (I იოან. ი. 4. 7). „იყუარებოდეთ ურთიერთას. ვითარცა მე (ე. ი. ღმერთმა — ტ. ბ.) შეგიყუარენ შენ. რათა თქუენცა იყუარებოდეთ ურთიერთას“ (ი. 13. 34). კიდევ ერთ საინტერესო პასუხს მოვუხმოთ: „ღმერთი არა სადა ვის უხილავს. უკეთუ ვიყუარებოდეთ ურთიერთას, ღმერთი ჩუენ შორის ჰგიეს. და სიყუარული მისი ჩუენ შორის აღსრულებულ-არს“

ბიბლიური ხნოვნწავლულების ერთ-ერთი ძირითადი არსი მდგომარეობს მოყვასისადმი სიყვარულის გამოხატულებაში. ვინაიდან მასში გამარჯვების მოპოვება უცილობელი გარანტი არის, საერთოდ, ადამიანის ტრფიალში წარძღვებათა ზეიმია. „არა ხვიდოდი ზაკვით ნათესავთა შორის შენსა. არა შეერთო სისხლსა მოყუასისა შენისასა“ (ლევიტ. 19, 16). ხელები შურისძიებისთვის არ უნდა იქნას გამოყენებული. საკუთარი თავიანთ უნდა შევიყვაროთ მოყვარე: „და არცა შური იძიოს ხელმან და არცა ძვირი იხსენო ძეთა თჳსთა ერისა შენისათა და შეიყუარო მოყუასი შენი. ვითარცა თავი თჳსი? (ლევიტ. 19. 18). იგივე აზრი გამეორებულია ახალ აღთქმაშიც: „შეიყუარო მოყუასი შენი. ვითარცა თავი თჳსი. კეთილად ჰყოფთ“ (ეპ. იაკ. 2. 8).[100] საბართლის წინაშე არ უნდა იცრუო, არ უნდა გამოიჩინო მიკერძოება როგორც

---

[100] შდრ. მათე, 22, 39.

დავრდომილთა. გლახაკთა, ისე ძლიერთა წინაშე, რაც მთავარია, მოყვარე სიმართლით უნდა განისაჯოს: „არა ჰქმნეთ ცრუ სარჩელსა შინა, არცა თუალ-ახუნე გლახაკსა, არცა თუალ-ახუნე პირსა ძლიერისასა. სიმართლით განსაჯო მოყუასი შენი“ (ლევიტ. 19, 15). მოყვასისათვის სიკეთის ქმნაა მთავარი და არა ვნება: „არა ავნო მოყუასსა შენსა და არცაღა მო-რაი-სტაცო“ (ლევიტ. 19, 13). ძმა უნდა გვიყვარდეს, მოყვასის წინაშე ცოდვას ნუ ჩავიდენთ, ხოლო მხილებით უნდა ვამხილოთ იგი: „არა გძულდეს ძმაი შენი გონებითა შენითა, მხილებით ამხილო მოყუასსა შენსა და არა მიიღო მისთვის ცოდვაი“ (ლევიტ. 19, 17). მეგობარზე დაუმსახურებელი აუგის თქმა არ ეგების, მის ღირსებას და პატივს გაფრთხილება უნდა: „ნუ ზრახავ მეგობრისა შენისათვის ძვირსა, რომელი შეყოფილ და მოსავ იყოს შენდა“ (იგ. სოლ. 3, 29). შუბზე, მახვილზე და ისარზე უფრო მკვეთრი ჩანს კაცი, რომელიც მეგობარს ცილს დასწამებს: „შუბი. მახვილი და ისარი მკვეთრი, ეგრეთ კაციცა, რომელი წამებს მეგობარსა თვისსა ზედა წამებასა სიცრუვისასა“ (იგ. სოლ. 16, 19). „რკინა რკინასა გალესავს, ხოლო კაცსა აღლესავს პირი მეგობრისა“ (იგ. სოლ. 18. 17). ძმის ვალია ჭირში ჩავარდნილ ძმას უშველოს: „ძმანი ჭირსა შინა სახმარ არიან, ამისთვისცა იშვნიან“ (იგ. სოლ. 17, 17). მკითხველს ალბათ ბოაგონდა ქართული ანდაზა: „ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“. ცხოვრებაში შესაძლოა კაცს ისეთი მომენტი დაუდგეს, რომ ძმაზე უფრო მოყვასი შეიყვაროს, უფრო სწორად, მეგობარმა განსაცდელის ჟამს უკეთესი დახმარება გაუწიოს, ვიდრე ღვიძლმა ძმამ: „კაცი მოყვარული მოყვარისა უფროსად საყუარელ იყოს, ვიდრეღა ძმაი“ (იგ. სოლ. 18, 24). აქ მოცემული სიბრძნის უშუალო მხილველი ყოფილა სულხან-საბა ორბელიანი, რომლის შესახებ ამბობს: „მე მრავალი კარგი კაცი მინახავს მამაშვილობასა და ძმობას გაჰყოროდეს და ამხანაგს შესწყობოდეს“ („სიბრძნე სიცრუისა“).

ბიბლია გვასწავლის, რომ ყველასთან მეგობრობა როდია შესაძლებელი. ამ სიბრძნის წიგნის რჩევით, მრისხანე და გულმწყრალ კაცთან მეგობრობას არ უნდა შეეცადო. რადგან იგი ზიანის მეტს სიკეთეს აღარ მოგიტანს: „ნუ ექმნები მოყუას კაცსა გულმწყრალსა და მეგობარსა მრისხანესა ნუ თანაექცევი“ (იგ. სოლ. 22, 24). ასევე უნდა ვერიდოთ გულფიცხელ კაცს: „ნუ იქმნები მოყუას კაცისა გულ-მწყრალისა და მეგობრისა თანა გულ ფიცხელისა ნუ განერეულნებ“ (იგ. სოლ. 13, 15). ბიბლია წყევლას არ იშურებს იმათ მიმართ, რომლებიც მეგობარს ვერაგობით ტანჯვას მიაყენებენ: „წყეულ იყავნ, რომელმან გუემოს მოყუასი თვისი ზაკვით“ (II სჯ. 27. 24). ასევე წყევლის ღირსნი არიან ისინი, რომელთაც ძალუძთ მოყვრის გაცვლა სხვაზე: „წყეულ იყავნ, რომელმან ცვალნეს საზღვარნი მოყუასისა თვისისანი“ (IIსჯ. 27, 18). ბიბლია ასეთ რჩევასაც გვაძლევს: თუ მოყვარის ვენახში შეხვალ, ყურძენი

შიირთვი, რამდენიც გნებავს, ოღონდ სამარცხვინო საქმედ ჩაგეთვლება ყურძნის უბეში ჩადება, ან რაიმე ჭურჭლით მისი წაღება: „შთა-თუ-ჰხდე ვენახსა მოყურისა შენისასა ჭამად ყურძნისა, ჭამე, რავდენცა უნდეს სულსა შენსა, წიაღთა ნუ ჩაიდებ, ნუცა სხუასა რას ჭურჭელსა“ (II სჭ. 23, 25). ღარიბ ძმას მატერიალური დახმარება უნდა გაეწიოს, ასესხე მას, რაც სჭირდება და სხვაგან, შენგან შორს ნუ გაუშვებ ამისთვის: „უკეთუ ვინმე იყოს შენ შორის ნაკლულევანი ძმათა შენთაგანი რომელსავე ერთსა ქალაქთა შენთაგანსა, არა გარე მიიქცეო გული შენი მისგან, არცაღა კრულ-ჰყო ხელი შენი ძმისა მის შენისა ნაკლულევანისა, არამედ ხსნილ-ჰყო ხელი შენი მისთვის და ავასხო მას რავდენცა უხმდეს“ (II სჯ. 15, 7-8). კეთილი და ქველმოქმედი მუდამ მეგობრის პატივისმცემელი და მორჩილი იქნება: „კაცი სახიერი თავდებ იქნების შოყუასისა“ (ზირ. 20, 17). მეგობრის კეთილშობილური ვალია მოყვასის სიხარული და ჭირი თანაბრად გაიზიაროს, მის სასარგებლოდ საჭიროების შემთხვევაში „წინა ბრძოლისა“ მის დასაცავად აიღოს ფარი, ქონებამ მეგობარი არ უნდა დაგავიწყოს, მას მუდამ სულში უნდა მიეჩინოს ადგილი: „მოყუასი სიხარულისთვის მეგობრისა თანა იხარებს და ჟამსა შინა ჭირისასა წინააღმდეგ იყოს, მოყუასი მეგობართა თანა დაშურების მუცლისათვის და წინაშე ბრძოლისა აღიღოს ფარი. ნუ დაივიწყებ მეგობარსა სულსა შინა შენსა და ნუცა ღაივიწყებ მას ქონებასა შინა შენსა“ (ზირ. 19, 4). ძველი მეგობრის მოვლა და დაფასებაა საჭირო, არ უნდა განვუდგეთ მას ახალი მოყვრის შეძენის სურვილით. ახალი მეგობარი ახალ ღვინოსა ჰგავს. დაძველებული ღვინო კი ამოა დასალევად: „ნუ დაუტოვებ მეგობარსა ძველსა, რამეთუ არა არს ახალი ჰსგავს მისა, ღვინო ახალი მეგობარი ახალი, უკეთუ დაძველდეს, სიხარულით სვა იგი“ (ზირ. 9, 12). აქ ქართული ხალხური ანდაზაც შეგვახსენებს თავს: „ნუ დაკარგავ ძველსა გზასა, ნუცა ძველსა მეგობარსა“. ძმის ოქროზე გაცელას, უსარგებლობისათვის მეგობართან განშორებას კეთილშობილებასთან საერთო არაფერი გააჩნია, იგი ზიანის მოტანია და დამღუპველიც: „ნუ გამოიცვლი მეგობარსა უსარგებლობისათვის, ნუცა ძმასა სამარადისოსა ოქროსა ზედა საფირონითა...“ (ზირ. 7. 11). სარწმუნო და სანდო მეგობარი წამალია ცხოვრებისა, მის მპოვნელს საუნჯესთან სწვევია ზიარება. სარწმუნო მეგობრის შემცვლელი ძნელად მოიპოვება, მის სიკეთეს საზღვარი არ გააჩნია: „მეგობარი სარწმუნო საფარდოული ძლიერი, ხოლო რომელმან პოოს იგი, უპოვნიეს საუნჯე, მეგობრისა საწმუნოსა არა არს ნაცვალი და არა არს საზომი სიკეთისა მისისა. მეგობარი სარწმუნო წამალ ცხოვრებისა“ (ზირ. 6, 14). ყოველ ადამიანს სჭირდება უპირველესად ბიბლიური დარიგების გათვალისწინება, რომლის თანახმად, მეგობარი განსაცდელში უნდა შეიძინო, სწრაფად ნუ ირწმუნებ მის ერთგულებას, ვინაიდან ადვილი შესაძლებელია იგი ახლო მო-

შაკალში სასინანულო გაგიხდეს: „უკეთუ მოიგებდე (ე. ი. შეიძენდე) მეგობარსა, განსაცდელსა შინა მოიგე იგი და ნუ მსწრაფლ გრწმენინ მისი“ (ზირ. 6, 7). მეგობრის მომრავლების უმთავრესი პირობაა კეთილი გული და ტკბილი ენა: „სასა ტკბილი განამრავლებს მეგობართა თვისთა და ენა კეთილ მეტყველი განამრავლებს კეთილ მეტყველებასა“ „ზირ. 6, 5). მხოლოდ მეგობრობის დიადი გრძნობით არის შესაძლებელი, რათა „ძოვდეს მგელი კრავთა თანა, და ვეფხი თკანთა თანა განისუენებდეს, და ზუარაკი, ლომი და კუროი ერთად ძოვდნენ, და ხარი დათვისა თანა ძოვდნენ, და თანად იყვნენ ყრმანი მათნი, ლომი, ვითარცა ხარი, ბზესა ჭამდეს“ (ეი. 11, 6-7).[191] როგორც მკითხველი ხვდება, აქ ავტორს ჩამოთვლილ ცხოველთა დამოყვრების ბედი კი არ აინტერესებს, არამედ იგავურად მასში ერთმანეთს დაპირისპირებულთა, გადამტერებულთა დამეგობრების ხვედრი ამოძრავებს. საოცარ ჰუმანიზმს ქადაგებს ახალი აღთქმის წიგნი. შეიყვარო მოყვასი შენი და მტერი მოიძულო, ეს ერთი შეხედვით თითქოს გამართლებულია, რადგან სასურველია მეგობრისთვის სამაგიეროს მიგება, მტრისთვის კი ზიზღისა და სიძულვილის არ დაშურება. მაგრამ ეს ოდენ ერთი შეხედვით ჩანს მიზანშეწონილი. ბიბლიური ჰუმანიზმი უფრო შორს მიდის და ღრმად იჭრება ადამიანის უმთავრესი მოვალეობის შეგნების საუფლოში. უდიდესი კაცობაა მტრის შეყვარებაც კი. ასევე შენს მწყევლელთა კურთხევა და მოძულეთათვის კეთილის ყოფა: „გესმის. რამეთუ თქმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოიძულო მტერი შენი. ხოლო მე გეტყვი თქუენ: გიყუარდეთ მტერნი თქუენნი, და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა. და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა“ (მათე, 5. 43-44). ამ სტრიქონების კითხვისას მისი შინაარსის აღქმისთვის მოუმზადებელ პიროვნებას მოცემული სიბრძნის სიმართლე არარაობად მოეჩვენება და მყისვე აღმოხდება ბაგიდან: ამის განხორციელება ხომ სისულელეა და შეუძლებელი. დიახ, ჯერ ისე უნდა ამაღლდეს ადამიანის შეგნება. მასში კაცთმოყვარეობის გრძნობის სიდიადის ჭეშმარიტება, რომ დამოწმებული ბიბლიური პასაჟის სიმართლე ირწმუნოს და მისი ხორცშესხმის აუცილებლობა დაისახოს ცხოვრების მიზნად. სწორედ მაშინ იქნება მოგვარებული ადამიანთა ერთმანეთისადმი სიყვარული, იქნება მიღწეული ზნეობრივი კათარზისი და ღმერთიც ადამიანებს შორის დამკვიდრებული. სწორედ ამ სიბრძნის შეუგნებლობის შედეგად იღვრება საუკუნეების მანძილზე ადამიანთა სისხლი, ხდება მათი ფიზიკური და სულიერი განადგურება, უსაზღვრო ძალა და ენერგია იფიტება ამაოდ. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთ შეგონებას ამოვიწერთ ახალი აღთქმიდან: „გესმა, რამეთუ თქმულ არს: თუალი თუალისა წილ, და კბილი კბილისა.

---

[191] შდრ. წ. ეს. 65, 25.

წილ.[192] ხოლო მე გეტყვი თქუენ: არა-წინააღმდგომად ბოროტსა არამედ რომელმან გცეს შენ ყურიმალსა შენსა მარჯუენესა, მიუპყარ მას ერთ კერძოცა“ (მათე, 5, 38-39).

ბიბლია ამხელს ორგულ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ თვალებში მორს, ძელს ვერ ამჩნევენ და ძმისა თუ მოყვრის თვალებში ნაწვერალს ეძებენ მის განსაქიქებლად. ასეთები, სამწუხაროდ, სოკოებივით მომრავლდნენ ჩვენს დროში. ასეთ ორგულთა დასარიგებლად მათეს სახარების სიტყვები შოწოდებასავით გაისმის, რათა ავკაცთა ჯერ თავიანთი თვალები გაათავისუფლონ ძელისაგან და მერე განიკითხონ ძმის თვალებში მოქცეული ნაწვერალი: „ანუ რასა ჰხედავ წუელსა (ე. ი. ნაწვერალს) თუალსა შინა ძმისა შენისასა და დვირესა (ე. ი. მორი, ძელი) თუალსა შინა შენსა არა განიცდი?“ (მათე, 7, 3). „ორგულო! აღმოიღე პირველად დვირე თუალისაგან შენისა, და მაშინ იხილო აღმოღებად წუელი თუალისაგან ძმისა შენისა“ (მათე, 7, 5). მოყვარემ თავი უნდა გასწიროს მეგობრისთვის. ცხვართათვის თავდადებული კეთილი მწყემსივით: „მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის“ (ი. 10, 11). ან კიდევ: „ყოვლითა სიმდაბლითა და სიმშვიდითა და სულგრძელებითა, თავს-იდებდით ურთიერთას სიყვარულითა“ (ეფ. 4. 2). აქ ბიბლიის გავლენით დაწერილი რუსთაველური აფორიზმი უნდა დავიმოწმოთ უსათუოდ: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“. ბიბლიური რჩევა-დარიგებით, მოყვასის სიყვარული სჯულის აღსრულების ტოლფარდია: „ნურა რაამეცა ვისი თანა გაშს, გარნა ურთიერთას სიყუარული: რამეთუ რომელსა უყუარდეს მოყუასი თვისი, მან სჯული აღასრულა“ (რომ. 13, 8). ჭეშმარიტი სულის მორჩილებითაა შესაძლებელი ზნეობრივი კათარზისი, რომლის განმსაზღვრელი შეუვალი პირობაა ძმის, მოყვასის სიყვარულისათვის ერთგულება. ადამიანთა ერთმანეთისადმი წმინდა გულით სიყვარულის გამოხატულება: „სულნი თქუენნი განიწმიდენით მორჩილებითა ჭეშმარიტებისაითა სულითა, ძმათმოყუარეობისათვის შეუორგულებელ იყუენით, გულითა წმიდითა ურთიერთას იყუარებოდეთ განმარტებულად“ (I ეპ. პ. 1, 22). კაცი ქრისტიანობას იჩემებდეს, ნათელში ყოფნით თავი მოჰქონდეს და თავისი ძმა სძულდეს, იგი ურწმუნოა, ურჯულოა და გადაგვარებული, ანუ ბიბლიური გამოთქმით, ბნელში ზის: „რომელმან ჰრქუას ნათელსა შინა ყოფაი, და ძმაი თვისი ჰსძულ-

---

[192] შდრ. „ნუ პრიდებნ თუალი შენი ეგევითარისა მას, სული სულისა წილ, თუალი თუალისა წილ, კბილი კბილისა წილ, ხელი ხელისა წილ, ფერხი ფერხისა წილ, რაიცა ვინ უყოს მოყუასსსა თვისსა, მიეგოს მას“ (II სჯ. 9, 21).

დეს, იგი ბნელსა შინა არს, ვიდრე აქამომდე“ (I ეპ. ი. 2, 9). უფრო მეტიც, ბიბლია ძმის მოძულეს არა მარტო ურჯულოდ, ბნელში მჯდომარედ სახავს, არამედ კაცისმკვლელად თელის მას, რომელსაც ჯოჯოხეთში მოკალათება ელის. ამის პასუხად: „ყოველსა, რომელსა ჰსძულდეს ძმაი თვისი, იგი კაცისმკულელი არს; და იცის, რამეთუ ყოველსა კაცის-მკულელსა არა აქუს ცხოვრებაი საუკუნოი მისთანა დადგრომილად“ (I ეპ. ი. 3, 15). საინტერესოა ბიბლიური ჰუმანიზმის კიდევ ერთი გამოხატულება, რომ ღვთისმსახურების შესრულებისას უნდა გვახსოვდეს ძმათმოყვარეობა, მისადმი სიყუარული: „ჰყავთ ღუთის მსახურებასა შინა ძმათ — მოყუარებაი და ძმათ-მოყუარებასა შინა სიყუარული“ (II ეპ. პ. 1, 7). ვინც მოყუასს სიკეთეს ასწავლის, იგი ამით სიკეთეს თავის თავსაც ასწავლის: „რომელი ეგე ასწავებ მოყუასსა, თავსა თვისსა არა ასწავებ?“ (რომ. 2, 21). სჯულის აღმასრულებელი სიყვარულია, მან მოყვარეს ბოროტი არა უყოს რა: „სიყუარულმან მოყუასსა თვისსა ბოროტი არაი უყოს; აღმასრულებელი სჯულისა სიყუარული არს“ (რომ. 13, 10). ბიბლია გვასწავლის, რომ ქრისტეს რჯულის აღსრულებას მაშინ შევძლებთ, როდესაც ერთმანეთს ცხოვრების მძიმე ტვირთს შევუმსუბუქებთ: „ურთიერთას სიმძიმე იტვირთეთ, და ესრეთ აღასრულეთ ჰსჯული იგი ქრისტესი“ (გალ. 6, 2). გარდა ურთიერთსიყუარულისა, ადამიანებს ვერავითარი სხვა ძალა ვერ იხსნის. თუ ერთმანეთის კბენით და ჭამით ვიმოქმედებთ, ამით ერთმანეთს ძალღონეს გამოვაცლით, დავილევით და ასე დატანჯულნი ჩავბარდებით სიკვდილს: „უკუეთუ ურთიერთას იკბინებოდეთ და შეიჭმებოდეთ, იხილეთ ნუ უკუე ურთიერთას განილინეთ“ (გალ. 5, 15). მოყვარე ეს ის ძალაა, რომელსაც შეუძლია ცხოვრება გაგვიხანგრძლივოს, ან დამსახურებისამებრ სიკვდილი მოგვიახლოვოს: „მოყუსისაგან არს ცხორებაი და სიკუდილი“.[193] მოყვარეს ქება არ სჭირდება. ვინაიდან მას კეთილი საქმეები თავად აქებს და განადიდებს. მოყვასისადმი ქებას დუმილი სჯობია, რადგან ქებით მას ერთგვარად გაუფერმკრთალდება ის ღირსება. რაც გააჩნია: „უკუეთუ კეთილ არსა ქებაი მოყუასისაი? და მან თქუა: უკეთეს არს დუმილი“.[194] „იოვანე ოქროპირის ცხოვრება“ შთაგვაგონებს, რომ მოყვარის დამბეზღებელი ფაქტიურად მკვლელია მისი „რომელმან შეასმინოს (ე. ი. დაამბეზღოს) მოყუასი თვისი, არს იგი ვითარცა მკვლელი მისი“.[195] რუსთაველის გენია ასე გვმოძღვრავს: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“. რუსთაველის ბრძნული შეგონება ყველას უნდა ახსოვდეს, რომლის გათვალისწინებით მხოლოდ წარმატებებს მოიმკის მეგობრობისა და ცხოვრების გზაზე:

[193] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, გვ. 9.
[194] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, გვ. 169.
[195] „იოვანე ოქროპირის ცხოვრება“ ძველი ქართული თარგმანი, გვ. 46.

„სამი არის მოყვრისაგან მოყვრობისა ეამოჩენა:
პირველ, ნდომა სიახლისა, სიშორისა ვერ მოთმენა:
მიცემა და არა შური, ჩუქებისა არ მოწყენა.
გაელენა და მოხმარება, მისად რგებად ველთა რბენა“.

ბიბლიური შეგონების კვალობაზე არჩილი წერს, რომ ღვთისმოყვარეობა გულისხმობს ადამიანთა ერთმანეთისადმი სიყვარულს:

„ღვთის მოყვარება ეს არის, კაცს ყოველ კაცი უყვარდეს“.[196]

არჩილისავე ზნეთსწავლულებით, მეგობარი ბევრი უნდა გყავდეს. მაგრამ შეუძლებელია ყველა შენი თანამზრახი იყოს. ადამიანს მრჩეველად მხოლოდ ერთი მეგობარი სჭირდება: „მეგობარი ბევრი უნდა, თანამზახრ(ე. ი. მრჩეველი) ერთი ოდენ“.[197] „ქილილა და დამანას“ მიხედვით ათასი კაცის ერთგულება ვერ გადასწონის ერთი კაცის მტრობა: „ათასისა კაცის ერთგულება ერთის კაცისა მტრობასა ვერ წაეჭარბება“.[198] ისევ არჩილს დაეუბრუნდეთ მეგობრის დახასიათებასთან დაკავშირებით:

„მეგობრის ბრძნის და სარწმუნოს არ იპოება ნაცვალი.
ახარებს თვალსა და გულსა ვით მარგალიტის მარცვალი.
ლხინად შეგიცვლის ჭმუნვასა, ეემართოს ვისმე რაც ვალი“.

ვინც მოყვარეს ორმოს გაუთხრის, არჩილის აზრით, იგი თვითონვე ჩავარდება მასში. ვინც მეგობარს ხაფანგს დაუგებს, პირველ რიგში თვითონვე გაებმება მასში: „ვინ საბრხე უყოს მოყვასსა შთავარდეს დ.ი.დ.სა ვნებასა“.[199] „ვინ მოყვასს მთხრელი უთხაროს, თვითვე თავს ჩაიყარებენ“.[200]

კეთილ, მართალ, მოყვარე კაცს მრავალი მტერი ჰყავს. მტერი მტერია, მაგრამ განსაკუთრებით საშიშია მოყვარე მტერი. მოყვარე მტრის მოტივი წითელ ზოლად გასდევს ქართულ მწერლობას. ეს არ არის შემთხვევითი ფაქტორი. ქართველებს საუკუნეების მანძილზე არაერთგზის უგემიათ მოყვარე მტრის მსახვრალი ხელი. საქართველოსთვის გარეშე მტერზე ნაკლები ზარა-

---

[196] ქართული პოეზია, III, გვ. 550.
[197] იქვე, გვ. 548.
[198] ქილილა და დამანა, გვ. 391.
[199] ქართული პოეზია, III, გვ. 548.
[200] იქვე, გვ. 491.

ლი არ მიუყენებია შინაურ მტრებს, მოყვარე მტრებს. ცხადია, წარმოუდგენელი იყო ამას თავი არ ეჩინა მწერლობაში. ჩვენ ამჯერად ზოგიერთი საილუსტრაციო მაგალითის ჩვენებით შემოვიფარგლებით, რაც სრულიად საკმარისი ჩანს მოყვარე მტრის პორტრეტის, მისი ბუნების გასაცნობიერებლად. მითუმეტეს. მოყვარე მტრები ასე ბარაქიანად მომრავლდნენ ჩვენს დროში, ჩვენს სამშობლოშიც, რასაც სასტიკი ბრძოლით უნდა გაუსწორდეს გონებაფხიზელი საზოგადოება, წინაალმდეგ შემთხვევაში იგი კატასტროფამდე მიგვიყვანს. იგავთა წიგნი ასე გვმოძღვრავს: „ნუ მტერმოყუარე ექმნები კაცსა ამაოსა, ნუ-უკუე ბოროტი რაიმე გიყოს შენ, ნუ მოიგებ კაცთა ბოროტთა მაყუედრებლად“ (იგ. სოლ. 3, 30). რუსთაველი ასე ახასიათებს მოყვარე მტერს: „მოყვარე მტერი ყოველსა მტრისაგან უფრო მტერია“. არჩილის მიხედვით მატყუარა მოყვარეს უფრო მეტი ზიანი და ვნება მოაქვს, ვიდრე მართლის მთქმელ მტერს:

„მოყვარეს მატყუარასა ვნება მოაქვს, არ პირ-მთქმელსა,
მართლის მთქმელის მტერისაგან უფრო ნახავ სარგებელსა“.[201]

მატყუარა, ცრუ, პირფერა მეგობარს მტერი გერჩივნოს, ვინაიდან დანამდვილებით იცი მტრის ზრახვები და ფხიზელი ხარ ყოველ წუთს, მზად ხარ მტერს მტრულად დაუხვდე. მოყვარე მტერი კი აუნაზღაურებელი ზიანის მომტანია:

მტრობა სჯობს მოყვრისას ცრუდ სიტყვით მოფერებასა“.[202]

„ქილილა და დამანაში“ შესანიშნავადაა გამოხატული მოყვარე მტრის რაობა:

„ეგრე მტრისა არ მეშინის, რადგან ცხადად მაწყინარობს,
მოყუარესა მტერსა უფრთხი, მემოყურება, მოცინარობს“.[203]

ძმათა და მოყვასთა სიყვარულზე. მოყვარე მტრის მავნებლობაზე კიდევ არა ერთი საილუსტრაციო ნიმუშის მოტანა შეიძლებოდა ბიბლიიდან, ჩვენი ეროვნული მწერლობიდან, მაგრამ წარმოჩენილი მაგალითებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად თუ რა ძალა და იმედია მეგობარი კაცისათვის. ასევე რა საზიანოა მეგობრობის უმანკო გრძნობაში სიცრუვის, უნდობლობის, ღალატის გარევა და მოყვარე მტრის სახელის დაგდება.

---

[201] ქართული პოეზია, III, გვ. 262.
[202] იქვე, გვ. 549.
[203] ქილილა და დამანა, გვ. 526.

დუმილის მიზეზი მრავალგვარია: 1. დუმილის ჩვეულებად ქცევა, 2. დუმილის ადამიანის სულიერი მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობა, 3. სულიერი ძალისხმევის უქონლობის, უღონობის გამო გაჩუმება, 4. თევზის თქმისა არ იყოს, სალაპარაკო გაქვს, მაგრამ პირი წყლითაა სავსე და ამიტომ დუმხარ, 5. ძალით, დამუქრებით, დაშინებით დადუმება და ა. შ. დუმილის ზემოთ ჩამოთვლილი მრავალსახეობიდან განსაკუთრებული ფასი და ღირსება გააჩნია სიბრძნით გასხივოსნებულ დუმილს. ე. ი. როცა დუმილი სიბრძნის ტოლფარდია, ანუ. უფრო სწორად, დუმილი სიბრძნის ნაყოფია, მისი შედეგი.

იობის წიგნი მოგვიწოდებს, რათა გვპატრონობდეს, გვეუფლებოდეს ადამიანებს დუმილი, რომელიც სიბრძნედ შეგვერაცხება: „იყავნ თქუენდა დუმილი და შეგერაცხოს თქუენ სიბრძნედ“ (იობ. 13. 5). დუმილს სძულს მრავალსიტყვაობა, რადგან ეს ეწინააღმდეგება ბრძენკაცის ბუნებას: „არს დუმილი მომპოვებელი სიბრძნისა და არს მოძულე მრავლისაგან მეტყუველებისა“ (ზირ. 11, 3). დუმილი სულიერი სიბრძნის დედაა, ამაში გამოიხატება სიკეთე მისი: „კეთილ არს დუმილი. რამეთუ დედაი არს სიბრძნისა სულიერისაი“.[204] დუმილი იუნჯებს, ხოლო ზრახვაი განაბნევს“.[205] დუმილის საწინააღმდეგო მოქმედებისას, ე. ი. მრავალსიტყვაობით ცოდვას ვერ გადაურჩები, ეს ოდენ ოგნურთა ხვედრია. ხოლო ვინც გონიერებას იჩენს. ის დუმილს არჩევს: „მრავლისმეტყუველებისაგან ვერ განერე ცოდვასა, ხოლო ერიდებოდი თუ ბაგითა, გონიერ იყო“ (იგ. 10. 19).

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დაფიქსირებულია ბიბლიური სიბრძნე, რომლის თანახმად. ბრძნულად მეტყველება ვერცხლთანაა შედარებული, ხოლო დუმილი კი რჩეულ ოქროსთან: „აწ სულელნი სიბრძნის-მეტყუველებენ, ხოლო თვისსა და ბრძენთა ქნეს დუმილი. ვერ გულისხმა-ყვეს, ვითარმედ „ბრძნად მეტყუველებაი ვერცხლი არს წმიდაი, ხოლო დუმილი ოქროი რჩეულ“, ვითარცა თქუა სოლომონ“.[206] იოანე პეტრიწი შემდეგნაირად იმეორებს ამ სიბრძნეს: „დუმვა უმჯობეს არს მეტყუველებისა, კეთილისაც თუ იყოს, ვინაითგან ცთომა შეუდგს მეტყუველებასა, ხოლო დუმილსა არა არცხუენს ყოველადვე“[207]

ვისაც სულიერი სიბრძნის წყალობით დუმილის, ვითარცა რჩეული ოქროს, უნარი აქვს გამომუშავებული, სულიერი სიმშვიდეც მისი ხვედრია. ბიბ-

---

[204] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, გვ. 20.

[205] იქვე, გვ. 51.

[206] ძეგლები, I. გვ. 248.

[207] ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, სათნოებათა კიბე, გვ. 194.

ლია გვასწავლის, რომ მშვიდი კაცი გულის მკურნალი წამალია: „მშვიდი კაცი გულისა მკურნალი არს და კურნებაი ძუალთა გული მეცნიერებისაი“ (იგ. 14, 30). ყველა ადამის ძეს უნდა ახსოვდეს ბიბლიური სიბრძნე, რომელიც გვირჩევს, გვასწავლის, რომ უკეთესია ერთი ტკბილი ლუკმის მირთმევა სიმშვიდით, ვიდრე სახლი სიმდიდრით გჭონდეს გატენილი და შფოთი გზარავდეს: „უმჯობეს არს ლუკმა ერთი ტკბილი სიმშვიდით უფროს, ვიდრეღა სახლსა სავსესა სანოვაგეთა და შფოთითა“ (იგ. 17, 1). სანატრელია მშვიდი კაცის ბუნება, ვინაიდან სასუფეველში დამკვიდრება ოდენ მას მოუწევს: „ნეტარ იყვნენ მშვიდნი. რამეთუ მათ დაიმკვიდრონ ქუეყანაი“ (მათე, 5. 5). ადამიანი ყოველგვარ განსაცდელს მშვიდად უნდა შეხვდეს. ეს რა თქმა უნდა, უდარდელობას, არაგულისხმიერებას კი არ ნიშნავს, ანდა უპასუხისმგებლობას, არამედ მოთმინებით და სიმშვიდის წყალობით უკეთეს მობილიზაციას უზამს საკუთარ ძალებს განსაცდელისგან თავის დასაღწევად.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები

როგორც მკითხველმა დაინახა, ზემოთ ცალ-ცალკე გამოვყავით ბიბლიური ზნეთსწავლულების რიგი საკითხებისა. ქვემოთ კი შეეცდებით თავი მოვუყაროთ ბიბლიურ აფორისტულ გამოთქმებს, ბრძნული აზრების წყებას, რომლებიც ეხებიან არაერთ მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ მოვლენებს, ადამიანის შინაგანი სულიერი თვისებების სიავკარგეს. სიკეთის დამკვიდრებისა და ბოროტმოქმედების, სიავკაცის გამოსწორების გზებს. ამ ბიბლიური სენტენციების ღრმად გააზრება, გაშინაგანება და მისი პრაქტიკული გამოყენება უთუოდ წყალულს, სინს მოურჩენს ავკაცური თვისებებით დამუხტულთ, ხოლო კეთილ ადამიანებს, იოანე საბანიძისა არ იყოს, კიდევ უფრო განამტკიცებს და განმტკიცებულთ კი განამხიარულებს. მაშ, გავეცნოთ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ბიბლიურ ტექსტთა ავტორების ნაფიქრალ-ნააზრევს.

* * *

ბიბლია წყევლა-კრულვას არ აკლებს იმ შვილთა სიაუგეს, რომლებიც დედ-მამას არასაკადრისად, უპატიოდ ექცევიან, სიკვდილით ემუქრება სამარცხვინო შვილებს, რომელთა უგუნურების აღზევება მშობლების ფიზიკური შეურაცხყოფის აღმაშფოთებელ ფაქტამდეა დასული: „რომელმან სცეს მამაჰა თვისსა, ანუ დედასა, სიკუდილით მოკუდეს“ (გამოს 21, 15). ანათემაში გა-

-დაცემის ტონი მოისმის ქვემოთ მოტანილ სიტყვებში: წყეულ იყავნ. რომელმან შეურაცხყოს მამაი თვისი გინა თუ დედაი“ (II სჯ. 27, 16). ბიბლია მოუწოდებს შვილებს მშობელთა ნების მორჩილებისაკენ, მათი პატივისცემისკენ. რითაც უფლის მხრიდან სათნოებას მიიღებენ: „შვილნო, დაემორჩილენით მამა-დედათა თქუენთა ყოველითავე, რამეთუ ესე არს სათნო უფლისა მიერ“ (კოლ. 3. 20). „ილარიონ ქართველის ცხოვრებაც“ შეგვახსენებს: „პატივისცემაი მშობილთაი განწესებულ არს შჯულსა შინა ძველსა და ახალსა“.[203]

* * *

ბიბლია იმასაც მიგვახვედრებს, რომ ყოველი ჩვენთაგანი საკუთარი ცოდვების გამო აღვესრულებით, ამიტომ უაზრობაა, ამაოებასთან წილნაყარია მშობლის მხრიდან შვილის გამო სიკვდილი და, პირიქით, შვილის მამის წილ კვდომა: „ნუ მოკუდებიან მამაი შვილსა წილ, ნუცა შვილი მამისა წილ, არამედ კაცად-კაცადი თვისითა ცოდვითა მოკუედინ“ (II სჯ. 24, 16).

* * *

საღმრთო წერილი გვასწავლის ხანდაზმულისადმი კეთილად მოპყრობას, გვიყრძალავს მის შეურაცხყოფას, გვახედებს საკუთარ სულში იმის შეგნებამდე დაყვანით, რომ ჩვენც მოვხუცდებით. ე. ი. ბერიკაცისათვის არასაკადრისად მოპყრობა საკუთარი თავისადმი უპატიოდ მოპყრობის გარანტი არის — ოღონდ ასაკის გადმოწევით, რადგან ყველას გზა (ღმერთმა ქნას) სიბერისკენ მიდის: „ნუ უპატიო ჰყოფ კაცსა სიბერესა შინა მისსა. რამეთუ შენცა თვით დაჰბერდები“ (ზირ. 8. 7). მოხუცს დალოცვის წილ რისხვა არ უნდა ღავატეხოთ: „მოხუცებულსა ნუ ჰრისხავ, არამედ. ჰლოცევდ. ვითარცა მამასა“ (I ტიმ. 5. 1). ასაკით (და არა მარტო ასაკით) უფროსთა წრეში ყოფნისას სიტყვაძუნწი უნდა ვიყოთ. მრავალსიტყვაობა უტაქტობის. უზნეობის გამჟღავნების ჩიხში მოგვამწყვდევს: „სადაც არიან უხუცესნი (ე. ი. უფროსნი, უხნესნი, ან მოხუცებულნი), ნუ მრავალ მეტყუელებ“ (ზირ. 15, 10).

* * *

ბიბლიური ზნეთსწავლულებით, ადამიანი უპირველესად ფასდება გონების ძალისხმევით. გონებაა ყველაფრის საწყისი, საფუძველი. ღვთის შესა-

---

[203] ძეგლები. II, გვ. 15.

ყვარებლად გულთან და ძალთან ერთად მთავარია გონებას მოუხმოს მორწმუ-ნემ: „და შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვ-ლითა გონებითა შენითა და ყოვლითა ძალითა შენითა“ (II სჯ. 6, 5). გონიე-რება ცხოვრების წყაროა, მისი საფუძველთა საფუძველია: „წყაროი ცხორე-ბისა გონიერებაი, რომელთა მოუგიეს იგი: ხოლო სწავლაი უგუნურთა — ბოროტ“ (იგ. სოლ. 16, 22). გონიერი კაცის თვისებაა სულგრძელობა, უგნუ-რისა, გონებასმოკლებულისა კი — სულმოკლეობა: „სულგრძელი კაცი დიდ არს გონებითა, ხოლო სულმოკლე ძლიერად უგუნურ“ (იგ. სოლ. 14, 29). გო-ნებამახინჯი კაცი მოქალაქეთა შეურაცხმყოფელია, ხოლო გონებაჯანსაღი კი მყუდროა და მშვიდი თავის საქციელში: „შეურაცხ-ყვნის მოქალაქენი ნაკლუ-ლევანმან გონებითა, ხოლო კაცი გონიერი მყუდროებით იქცევინ“ (იგ. სოლ. 11. 12). სიტყვათა განმაჭიქებელი გონებაა, ისე როგორც საჭმლის გემოს სასა გამოცდის: „რამეთუ გონებამან სიტყუანი განიკითხნის და სასამან გემოი ცნის ჭამადისა“ (იობ. 12, 11). სწავლებას, რჩევას გონიერი კაცისგან უნდა ელო-ოდე: „ზრახებასა (ე. ი. სწავლებას, რჩევას) ყოველგან გონიერთა ეძიებდ და ნუ შეურაცხჰყოფ ყოველსა ზრახებასა“ (ტობ. 4, 19). ღვთის მიერ კაცი ფას-დება გონიერებით, სიტყვითა და საქმით: „ეძიებს ღმერთი კაცისაგან გონება-სა. სიტყუასა და საქმესა“.[209]

* * *

მათეს სახარება შეგვახსენებს ბიბლიურ ერთ მცნებას — „არა კაც ჰკლა“ და იქვე უმატებს: ამ კანონის დამრღვევნი, უგულებელმყოფელნი სასჯელის მოვალენი არიან: „გესმა, რამეთუ ითქუა პირველთა მათ მიმართ: არა კაც ჰკლა: ხოლო რომელმან მოჰკლის, თანამდებ არს სასჯელისა“ (მათე. 5. 21).

ყოველმა კაცმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს, მხრები იმ ტვირთს შეეყენოს, რომლის აწევა და გაწევა ძალუძს: „კაცად კაცადმან თავისი ტვირ-თი იტვირთოს“ (გალ. 6, 5).

* * *

უძლურ-უღონოთა ხსნა და გადარჩენა შესაძლებელია ოდენ ძლიერთა ხელით: „უძლური იგი განერის ხელისაგან ძლიერისა“ (იობ. 5, 15). ძლიერი

---

[209] შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, I, გვ. 124.

კაცი უძლურთა იმედი და სასოება უნდა იყოს, რაშიც გამოიხატება კაცთმოყვარეობის დიადი შეგრძნება: „იყავნ უძლურისა მის სასოებაი და ცრუისა მის პირი დაიყავნ“ (იობ. 5, 16). სასოების მთავარი წყარო ლოცვაა: „ხოლო ლოცვაი შენი, ვითარცა მთიები იყოს და შუასამხრის გამოგიბრწყინდეს შენ ცხორებაი და გულპყრობილ იყო, ვითარმედ არს შენდა სასოება, გულისსიტყვისაგან[210] და ზრუნვისა გამოგიჩნდეს შენ მშვიდობა“ (იობ. 11, 17). ცხოვრებაში დგება ისეთი მომენტიც, როცა ძლიერთა მშვილდები დაუძლურდებიან და უძლურნი ძალებს მოიკრებენ: „მშვიდობი ძლიერთა მოუძლურდა, და უძლურნი შეიმოსნეს ძალითა“ (I მეფ. 2, 4).

* * *

ადამიანს რაც მოსწონს, მისაღებად და შესაწყნარებლად მიაჩნია, რაც ეკისრება, ის უნდა გააკეთოს, ამის მიხედვით უნდა იმოქმედოს: „ეგრე ყავ, რაიცა სათნო გიჩნს“ (I მეფ. 1, 23). კაცის მოქმედება უნდა იყოს არა სტიქიური, არამედ მოფიქრებული, წინასწარ გააზრებული და დაგეგმილი, წინააღმდეგ შემთხვევაში ფეხს წაიტეხს: „ნუსადა წრსცე ქვასა ფერხი შენი“ (ფს. 90, 12).

* * *

ცხოვრების სწორი გზით მატარებელი არის სწავლა-ცოდნა და სიმართლის ქება, სიმახინჯის მხილება: „რამეთუ სანთელი — მცნებაი, ხოლო მჯული — ნათელი, და გზაი ცხორებისა — მჭილებაი და სწავლაი“ (იგ. სოლ. 6, 23). ადამიანის უმთავრესი მოვალეობაა ამ მცნების შეგნების კვალობაზე იცხოვროს და იმოქმედოს.

* * *

ერთგულებით, პირდაპირობით, გულწრფელობით მოსიარულე კაცის თანმხლებია მუდამ იმედი, ვინც ამ გზას გაამრუდებს, ის მხილებულ უნდა იქნას: „რომელი ვიდოდის სიწრფოებით, ვალს იგი სასოებით, ხოლო რომელი განსდრეკდეს გზასა თვისსა, საცნაურ იყოს“ (იგ. სოლ. 10, 9).

---

[210] ბიბლიის 1884 წლის ქართულ გამოცემაში „გულისსიტყვისაგან“-ის ნაცვლად წერია — „რუდუნებისაგან“.

* * *

ძლიერი არსება ძლიერმა უნდა ეძიოს და განიკითხოს: „ხოლო ძლიერი ძლიერისა გამომძიებელ იყუნეს“ (სიბ. სოლ. 6, 7).

* * *

* * *

„ნუ ჰხნავ ხარითა და ვირითა ერთად, ნუ შეიმოს სამოსელსა, რომლისაი მატყლი და სელი შერთულად მოქსოვილ იყოს“ (II სჯ. 22, 10). ამ მეტყველი სიბრძნის გათვალისწინება ძალიან ბევრს მართებს ყოველდღიური ცხოვბაში.

* * *

ბიბლია წყევლის მათ, ვინც დაამახინჯებს, გაამრუდებს მწირთა, ობოლთა და ქვრივთა სამართალს: „წყეულ იყავნ, რომელმან დრიკო სასჯელი (აქ — სამართალი — ტ. მ.) მწირსა, ობოლსა და ქურივისა“ (II სჯ. 27, 17).

* * *

ბიბლია ძალზე ხშირად მოუწოდებს ადამიანებს გამხნევებისაკენ, გაძლიერებისკენ — განსაკუთრებით განსაცდელის ჟამს. ეს მოწოდება სიტყვასიტყვით ხშირად ჟღერს ქართული მწერლობის ძეგლებში: „მხნე იყავ, განბლიერდი“ (II სჯ. 31, 6). გავიხსენოთ, იაკობ ხუცესი სატანჯველში ჩავარდნილ შუშანიკს თუ როგორ ამხნევებს: „მხნე იყავ, მოთმინე და სულგრძელი“. ერთი ნიმუში „დავითიანიდანაც“: „მხნე იყავ და გაძლიერდი, დავითს რაც უთქვამს, სწორია“.

* * *

ბიბლიაში არის ერთი (და განა ერთი?) საგულისხმო პასაჟი, რომელშიაც უდიდესი სიყვარული და პატივისცემა ჩანს ბუნების მიმართ. აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მტერს სამაგიერო უნდა გადაუხადო, ბოროტება არ უნდა შეარჩინო, თავს დაესხა, მოსპო და გაანადგურო სასტიკად. ხოლო იქვე საღმრთო

წერილის ავტორი აფრთხილებს მებრძოლთ, რომ ხილის გამომღებ ხეებს ხელი არ ახლონ, არ დაჭრან მახვილით, უნაყოფო ხენი კი გაანადგურონ: „უკეთუ მიხვიდე და გარემოადგე რომელსამე ქალაქსა, და მოიცვა იგი და ჰბრძოდი მას ბრძოლითა მრავალ დღე, ნუ დაჰკაფ შენ ნერგსა მათსა მახვილითა შენითა, არამედ სჭამით შჭამდე შენ მათ, ნუ მოჰკვეთ შენ ხესა ხილისა გამომღებელსა პატნეზად (ზღუდე, კედელი), შესაცველად გამოსაპყრობელად მისა, არამედ იგი ძელი მოჰკაფო, რომელი უწყოდი, ვითარმედ არა ხილისა გამომღებელი იყოს“ (II სჯ. 10, 19-20). ე. ი. აქ. ნაყოფის გამომღები ხე თავისი კეთილი ღირსებით მაღლაა დაყენებული, ვიდრე უკეთური ადამიანი.

* * *

სიბერეში მოპოვებული მიღწევების საფუძველი სიჭაბუკის წლებია. თუ ცხოვრების ეს საუკეთესო პერიოდი უქმად განვლე, ხანდაზმულობისას ამის ანაზღაურებაზე ოცნებაც კი ამაოა: „რომელნი სიჭაბუკესა შინა არა შეიკრიბენ, მისი ვითარ ძალგიც პოვნად სიბერესა შინა შენსა“ (ზირ. 16, 5).

* * *

მტრის მკვდრით გახარება ნუ მოგანიჭებს სიამოვნებას, უნდა გახსოვდეს, რომ ყოველი კაცი მოკვდავია: „ნუ იხარებ მკუდართათვის მემტერეთაი შენთა, მოიხსენე, რამეთუ, ყოველნი მოვჰკუდებით“ (ზირ. 8, 8).

* * *

დაწინაურებამ, წინამძღოლად დაყენებამ არ უნდა გამოიწვიოს ადამიანში ქედმაღლობა და ამპარტავნობა, არამედ სწორედ მაშინ მართებს მას თავმდაბლობის გამოჩენა, ადამიანთა წრეში ყოფნა, „ვითარცა ერთი მათგანისა“: „წინამძღუარ თუ დაგადგინეს შენ, ნუ ამაღლდები (ქედმაღლობაზეა აქცენტი გაკეთებული — ტ. მ.), არამედ იქმენ მათ შორის, ვითარცა ერთი მათგანი“ (ზირ. 15, 1).

* * *

ბიბლია აქილიკებს სიზმრის მორწმუნეს. ეს საინტერესოა. მოვუსმინოთ საღმრთო წერილის ერთ-ერთ ავტორს: „ვითარც შემპყრობელი ჩრდილისა და მდევარი ქარისა, ეგრეთ მორწმუნე სიზმრისა“ (ზირ. 16, 2). ე. ი. როგორც

ჩრდილის შემპყრობელს ხელში არაფერი შერჩება და ქარის მდევარი სასაცილო მდგომარეობაში ვარდება, იგივე ხვედრი ელის სიზმრის მორწმუნეს.

* * *

საკუთარ სახლში ლომის თვისებებით ყოფნას, ხოლო მონებს შორის გულფიცხელობის და ცბიერების გამოვლინებას გმობს ბიბლია: „ნუ იქმნები ვითარცა ლომი სახლსა შინა შენსა და ფიცხელ ცბიერი მონათა შორის შენთა“ (ზირ. 4, 15).

* * *

მშიშარას მახეში გაბმა ელის, იგი საფრთხეს ვერ გადაურჩება: „მტოლვარე პირისაგან შიშისა შთავარდეს მთხრებლსა და აღმოსრული მთხრებლით შეპყრობილ იქმნეს საბრხითა მით“ (იერ. 48, 44)

* * *

ბიბლიის თანახმად, ნათესავმა ნათესავსა ზედა არ უნდა აღმართოს მახვილი, ბრძოლით მისი სისხლი არ უნდა დაღვაროს, მახვილები უნდა გადაკეთდეს სახნისად და ლახვრები — ნამგლად: „დაშჭირდენ მახვილებსა მათსა სახნისად და ლახუარებსა მათსა ნამგლად, და არა აღიღოს ნათესავმან ნათესავსა ზედა მახვილი და არღა ისწავებდნენ მერმე ბრძოლასა“ (ეს. 2, 4).

* * *

ბევრია ცნობილი, გამოჩენილი ადამიანი, მაგრამ ცოტაა რჩეული: „მრავალნი არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“ (მათე, 20, 16).

თუ ბრმას უწინამძღვრა ბრმამ, ორივეს ეს გზა ორმოში ჩაიყვანს: „ბრმა ბრმასა თუ წინა უძღვინ, ორნივე მთხრებლსა შთაცვივიან“ (მათე, 15, 14).

* * *

ავსულ, უკეთურ კაცს რაც არ უნდა პატივი სცე და უერთგულო, იგი მაინც არ შეიგნებს ამას, პირიქით, ფეხით გაგითელავს ზრუნვას შენსას და გულსაც მოგიკლავს. ამიტომ წინასწარ უნდა განსაზღვრო, თუ ვის ერთგულობ და ვისთვის ირჯები. აი ესაა ალეგორიულად გამოხატული მათეს სახა-

რების ერთ-ერი პასაჟში: „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუ უკუე დაჰსთრგუნონ იგი ფერხითა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ“ (მათე, 7, 6).

* * *

სხვათა განმაქიქებელს თვითონვე არ აცდება განქიქება: „ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“ (მათე, 7, 1).

* * *

სახარება გვირჩევს, მთხოვნელს მივცეთ და მსესხებელს ვასესხოთ: „რომელი გთხოვდეს შენ, მიეც. რა რომელსა უნდეს სესხებად შენგან, ნუ გარეშიიქცევი“ (მათე, 5, 42).

* * *

მთავარია ცხოვრებაში ყოველი ადამიანისთვის კუთვნილი ადგილის პოვნა, რითაც მას შეუძლია მოსალოდნელი სარგებლის მოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი პოტენციური შესაძლებლობანი ამაოდ დაიხარჯება და დაშვრება. ბიბლიური იგავთმეტყველების მიხედვით, ანთებული სანთლის ადგილი სასანთლეა და არა ხვიმირი. სწორედ სასანთლიდან ანათებს იგი ყველაფერს, რაც ოთახში იმყოფება: „არცა აღანთიან სანთელი და დაჰსდგიან ქუეშე ხვიმირსა, არამედ სასანთლესა ზედა ჰნათობნ იგი ყოველთა, რომელნი იყუნიან სახლსა შინა (მათე, 5. 15).

* * *

დაწყებულ საქმეს დასრულება უნდა, დასახულ მიზანა მისი განხორციელება ამშვენებს: „ნუ უკუე დადუას საფუძველი და ვერ შეუძლოს აღსრულებად მისა, და ყოველნი რომელნი ჰხედვიდენ მას, იწყონ კიცხვად მისა“ (ლ. 14, 29).

* * *

ყველამ თავისი საქმე უნდა აკითოს მოწოდების საფუძველზე, არ უნდა წაეპოტინო ქრთამის საშუალებით შენთვის შეუფერებელ ადგილს, სადაც დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ გაართმევ. მითუმეტეს, თუ ქვეყნის ხელმძღვანელობა არ ძალგიძს, წინასწარ არ უნდა გასწირო მისი მკვიდრნი დასა-

ლუპავად, მტრისთვის ხელში ჩასაგდებად. სწორედ ამაზე მიგვანიშნებს ალეგორიულად იოანეს სახარების ერთ-ერთი პასაჟი: „ხოლო სასყიდლით დადგინებულმან, რომელი არა არნ მწყემსი, რომლისა არა არიედ ცხოვარნი თვისნი, იხილოს რა მგელი მომავალი, დაუტევნის ცხოვარნი, და იელტინ, და მგელმან წარიტაცნის იგინი, და განიბნინის ცხოვარნი" (ი. 10, 12).

* * *

სტუმართმოყვარეობა აუცილებელი თვისებათაგანია ადამიანისა: „სახმარსა წმიდათასა ეზიარებოდეთ; სტუმრის-მოყუარებასა შეუდექითო" (რომ. 12, 13).

* * *

მტრობის დამფარველი ვერაგობისა და ღალატის ნიადაგს ამზადებს: „რომელი ჰფარავს მტერობასა, შეამზადებს ზაკუასა" (იგ. სოლ. 17, 17).

* * *

გზა, რომლითაც მივდივართ, შესაძლოა, ერთი შეხედვით სწორი იყოს, მართალი და გულწრფელი, მაგრამ დასასრული ჯოჯოხეთის ორმოში ედოს. ამიტომ დიდი წინდახედულება და სიფრთხილეა საჭირო გზის არჩევისას: „გზა არს რამე, რომელი წინაშე თვალთა კაცთასა წრფელ იყოს, ხოლო დასასრული მისი მომყვანებელი მთხრებლსა ჯოჯოხეთისად" (იგ. სოლ. 13, 12).

* * *

საფრთხისგან თავის დასაღწევად დიდი სიფხიზლეა საჭირო: „ნუ სცემ ძილსა თუალთა შენთა, ნუცა ჰრულის წამსა შენსა, რათა განერე, ვითარცა ქურციკი საფრთხესა და ვითარცა მფრინველი მახესა" (იგ. სოლ. 6, 4-5).

თუ ხის ძირი წმინდაა, მისი ტოტებიც წმინდანი არიან: „უკეთუ ძირი იგი წმინდა არს, და რტონიცა მისნი" (რომ. 11, 16).

სარჩევი

წინდაწინ	3
„ვთქვა მიჯნურობა პირველი“	4
„ხელობანი ქვენანი“	9
„სიყრმითგან შენსა შეიკრიბე სწავლულება“	13
„სიბრძნეს ვერ სწორავს ვერა რა“	25
„ხოლო შრომითა მით ანგელოზ იქმნის“	30
„საცნობლად თავისადაო“	39
„ქმნა მართლისა სამართლისა“	42
„ენითა შენითა ნუ მოინადირები“	46
„ყოველივე სიცრუე ცოდუა არს“	51
„მოიქეც ბოროტისაგან და ქმენ კეთილი“	55
„შური სიკუდილი არს“	62
„ამპარტავნებაი დედაი არს უგუნურებისა“	66
„მოყვარე ვეცხლისა ვერ განძღეს“	68
„ცოდვის მუხრუჭით შეკრულსა, ვამე, ვინ მამიფონებსა“	74
„გულისთქუმათა მოაკუდინიან მცონარი“	78
„მოწყალე კაცი სულგრძელ არს“	81
„ჰმუნვა კაცისა აწყენს გულსა“	84
„საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია“	86
„შეიყუარო მოყუასი შენი“	92
„კეთილ არს დუმილი“	101
ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრები	102

Титэ Мамиевич Мосна

БИБЛЕЙСКОЕ НРАВОУЧЕНИЕ

На грузинском языке

გამოდის ავტორის ხარჯით

რედაქტორი მ. ხურცილავა
მხატვარი პ. ცქვიტარია
ტექნიკური რედაქტორი ლ. ევმენოვი
კორექტორი ნ. ჯანაშია
ასოთამწყობი მ. ყურაშვილი

გადაეცა ასაწყობად 15.08.91 წ, ხელმოწერილია დასაბეჭდად 18. 02. 92 წ., ზომა 70X90 1/2 8, ლიტ. გარნიტურა, მაღალი ბეჭდვა, ფიზ. ნაბეჭდ. თაბახი 7,0. პირ. ნაბეჭდი თაბახი 8,19, საღებავ-ანაბეჭდი 8,4. სააღრ.-საგამომც თაბ. რაოდენობა 6,18. შეკვეთის № 1786. ტირაჟი 3 000. სახელშეკრულებო ფასი.

გამომცემლობა „ალაშარა“, სოხუმი, ლენინის ქ., № 9

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სამმართველო, პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანება. სოხუმი, ეშბას ქ. № 168.